

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრი

## დავის ალტერნატიული გადაწყვეტა

წელწილეული

2016



უნივერსიტეტის  
გამომცემლობა

## არბიტრაჟის ბალარჩენა განვითარებად მსოფლიოში: საქართველოს განსაკუთრებული შემთხვევა\*\*

საქართველოში არბიტრაჟის არსებობას ხანგრძლივი და საინტერესო ისტორია აქვს. კრიმინალურ სამყაროსთან „სატელეფონო სამართლიდან“ კანონიერებამდე ქართული არბიტრაჟი გადაურჩა მრავალ იტერაციას. ამჟამად, ვინაიდან საქართველო იწყებს ევროკავშირთან გაერთიანების პროცესს, მას აქვს ახალი საარბიტრაჟო კანონი, რომელიც აერთიანებს საერთაშორისო ნორმებს. წინამდებარე სტატიაში გაანალიზებულია კანონი, არბიტრაჟის განვითარების გზა და მიმდინარე გამოწვევები. ავტორი იყენებს შეერთებული შტატების პრაქტიკულ გამოცდილებას, ასევე გამოცდილებას, რომელიც უკავშირდება სამართლებრივი რეფორმების პროგრამების დანერგვას საქართველოსა და სხვა ქვეყნებში, გვთავაზობს რამდენიმე მნიშვნელოვან ცვლილებას საქართველოს ახალ საარბიტრაჟო სამართლებრივ რეჟიმში. განსაკუთრებული პრობლემა მომხმარებლისთვის სავალდებულო არბიტრაჟის ასახვა ორგანიზაციების სტანდარტული პირობებით შედგენილ ხელშეკრულებებში. რამდენიმე შესწორებით არბიტრაჟი საქართველოში შეიძლება გახდეს მოდელი სხვა განვითარებადი ქვეყნისათვის, რაც ორგანიზაციების კომერციულ საჭიროებებს დააბალანსებს სამართლიანობასა და ქართული საზოგადოების სოციალურ საჭიროებებთან. ავტორი დაასკვნის, რომ მისი რეკომენდაციების გათვალისწინებით სხვა განვითარებადი ქვეყნები შეძლებენ, პრაქტიკულად შეისწავლონ და გამოიყენონ არბიტრაჟი ეფექტიანობისა და ინვესტიციების ზრდის მიზნით, ინდივიდების უფლებათა დაცვის შენარჩუნებით.

**საკვანძო სიტყვები:** არბიტრაჟი, სავალდებულო არბიტრაჟი, საქართველო, დავის გადაწყვეტა, რუსეთი, საბჭოთა კავშირი, UNCITRAL, მოდელური კანონი საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟზე, საარბიტრაჟო ტრიბუნალი, დროებითი ღონისძიებები, დანიშვნა, საარბიტრაჟო პროცესი, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება.

\* სტივენ ოსტერმილერი იყო აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) USAID-ის მიერ მხარდაჭერილი პროგრამის – კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში (PROLoG) – იურიდიული განათლების მიმართულების ხელმძღვანელი და თსუ-ის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრის (NCADR) დირექტორთა საბჭოს წევრი საქართველოში. ოსტერმილერი ამჟამად არის საერთაშორისო განვითარების უფროსი ექსპერტი სამხრეთ კაროლინის უნივერსიტეტის პროექტი (Rule of Law Collaborative). იგი მართავს პროგრამებს, რომლებიც ეხება დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალებებს (ADR), კომერციულ სამართალს, იურიდიულ და პროფესიულ განათლებას. იგი აგრეთვე ხელმძღვანელობდა კანონის უზენაესობის მხარდაჭერისა და რეფორმირების პროექტებს კამბოჯაში, ბოსნია და ჰერცეგოვინაში, ხორვატიასა და სხვა ქვეყნებში. პრაქტიკული მოღვაწეობის დაწყებამდე იგი იყო ჩიკაგოს Pedersen & Houpt-ის სავაჭრო იურიდიული ფირმის პარტნიორი. ოსტერმილერი არის ჩრდილოეთ-დასავლეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული (პოლიტიკურ მეცნიერებათა ბაკალავრი) და ჩრდილოეთ-დასავლეთის საუნივერსიტეტო სამართლის სკოლის კურსდამთავრებული (სამართლის დოქტორი). ამ სტატიაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და არ გამოხატავს EWMI-ის, USAID-ის, NCADR-ის, აშშ-ის სამთავრობო ან რომელიმე სხვა ორგანიზაციის შეხედულებებს. ავტორი მადლობას უხდის სოფიო ტყემალაძეს, სოფიო ფანჯიკიძეს, გიორგი ვაშაკიძეს, ლანა ჩხარტიშვილსა და ემი ოსტერმილერს მათ მიერ გაწეული დახმარებისთვის.

<sup>1</sup> ეს სტატია პირველად გამოქვეყნდა ჟურნალში: Arizona Journal of International & Comparative Law, Vol. 32, No. 3, 2015.

## I. შესავალი

არბიტრაჟი ბევრ ქვეყანაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს დავების გადაწყვეტაში. მას ხანგრძლივი ისტორია აქვს<sup>2</sup> – მეოცე საუკუნეში კი პირველად გამოჩნდა როგორც თანამედროვე ეკონომიკის ძირითადი მექანიზმი. განვითარებული მსოფლიოს სამართლის სპეციალისტების უმრავლესობისთვის ცნობილია მისი უამრავი უპირატესობა, როგორებიცაა: შედარებით დაბალი ხარჯები, უფრო სწრაფი გადაწყვეტა, პრეცედენტული დასრულება, საერთაშორისო ზენოლა, კონფიდენციალობა, პროცედურული მოქნილობა, არაფორმალობა და მიუკერძოებელი, მხარეების მიერ არჩეული, დამოუკიდებელი ექსპერტი. თუმცა განვითარებულ ქვეყნებში<sup>3</sup> ახლა ყველგან არის არბიტრაჟი, ბევრი სუსტად განვითარებული ქვეყანა სწორედ ახლა იწყებს არბიტრაჟის შეტანას თავიანთი დავების გადაწყვეტის პროგრამებში.<sup>4</sup> ნარმატივით განხორციელების შემთხვევაში, არბიტრაჟმა შეიძლება შეამციროს სასამართლოების დატვირთვა,<sup>5</sup> გაზარდოს უცხოური ინვესტიციები<sup>6</sup> და უცხო ქვეყნის დახმარება<sup>7</sup> მიმღები ქვეყნისთვის, ხელი შეუწყოს საერთო ეკონომიკურ განვითარებას.<sup>8</sup>

თუმცა ბევრია დანერგილი ADR-ზე (დავების ალტერნატიული გადაწყვეტაზე) განვითარებად ქვეყნებში, სამეცნიერო ლიტერატურაში მაინც არის ინფორმაციის დეფიციტი არბიტრაჟის დანერგვაზე.<sup>9</sup> საჭიროა, გამოკვლევულ იქნეს, არის არბიტრაჟი სასარგებლო ინსტრუ-

<sup>2</sup> Steven C. Bennett, *Arbitration: Essential Concepts* 9 (ALM ed., 2002).

<sup>3</sup> Katherine V.W. Stone & Richard A. Bales, *Arbitration Law* 3 (2d ed. 2010).

<sup>4</sup> *ob. Roberto Danino, The Importance of the Rule of Law and Respect for Contractual Rights in Transition Countries*, 17 Eur. Bus. L. Rev. 327, 333 (2006) (noting arbitration growth in developing and transition countries over past decade).

<sup>5</sup> Kiarie Njoroge, *Judiciary Moves to Cut Case Backlog Through Arbitrators*, Bus. Daily (July 28, 2014, 7:48 PM), <http://www.businessdailyafrica.com/Judiciary-moves-to-cut-case-backlog/-/539546/2400826/-/av3arqz/-/index.html>; *Arbitration Center in Nairobi to Reduce Case Backlog*, Standard Rep. (Sept. 30, 2014), [http://www.standardmedia.co.ke/article/2000136635/arbitration-centre-in-nairobi-to-reduce-case-backlog?articleID=2000136635&story\\_title=arbitration-centre-in-nairobi-to-reduce-case-backlog&pageNo=](http://www.standardmedia.co.ke/article/2000136635/arbitration-centre-in-nairobi-to-reduce-case-backlog?articleID=2000136635&story_title=arbitration-centre-in-nairobi-to-reduce-case-backlog&pageNo=)

<sup>6</sup> Felix O. Okpe, *Endangered Elements of ICSID Arbitral Practice: Investment Treaty Arbitration, Foreign Direct Investment, and the Promise of Economic Development and Host States*, 13 Rich. J. Global L. & Bus. 217, 249 (2014).

<sup>7</sup> საერთაშორისო საფინანსო ლიდერი ორგანიზაციების უმრავლესობა, როგორებიცაა: მსოფლიო ბანკი, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD) და აზიის განვითარების ბანკი, მოითხოვს არბიტრაჟს კონტრაქტების განხორციელებისას. Position Paper on Arbitration in Thailand, Am. Chamber Com. Thail., Oct. 2009, <<http://www.amchamthailand.com/acct/asp/default.asp>>, (follow “Position Papers” hyperlink under “Resources and Archive” tab).

<sup>8</sup> Christian Buhning-Uhle, Lars Kirchhoff & Gabriele Scherer, *Arbitration and Mediation in International Business* 57-60 (2d ed. 2006).

<sup>9</sup> ლიტერატურის დიდ ნაწილში ყურადღება გამახვილებულია მედიაციასა და მის ტიპებზე. *ob. Scott Brown, et al., Alternative Dispute Resolution Practitioner’s Guide* (Ctr. for Democracy and Governance, USAID 1998), <http://www.usaid.gov/sites/default/files/documents/1868/200sbe.pdf> (last visited Sept. 13, 2015); Emily Stewart Haynes, *Mediation as an Alternative to Emerging Post-Socialist Legal Institutions in Central and Eastern Europe*, 15 Ohio St. J. Disp. Resol. 257 (1999); Nancy Erbe, *The Global Popularity and Promise of Facilitative ADR*, 18 Temp. Int’l & Comp. L.J. 343 (2004); Steven Austermler, *Mediation in Bosnia and Herzegovina: A Second Application*, 9 Yale Hum.Rts. & Dev. L.J. 132 (2006); Cynthia Alkon, *The Cookie Cutter Syndrome: Legal Reform Assistance Under Post-Communist Democratization Programs*, 2002 J. Disp. Resol. 327 (2002); Minh Day, *Alternative Dispute Resolution and Customary Law: Resolving Property Disputes in Post-Conflict Nations, A Case Study of Rwanda*, 16 Geo. Immigr. L.J. 235 (2001); William Davis & Helga Turku, *Access to Justice and Alternative Dispute Resolution*, 2011 J. Disp. Resol. 47 (2011); Amy J. Cohen, *Debating the Globalization of U.S. Mediation: Politics, Power, and Practice in Nepal*, 11 Harv. Negot. L. Rev. 295 (2006); Eduardo R. C. Capulong, *Mediation and the Neocolonial Legal Order: Access to Justice and Self-Determination in the Philippines*, 27 Ohio St. J. on Disp. Resol. 641 (2012); Nancy D. Erbe, *Appreciating Mediation’s Global Role in Promoting Good Governance*, 11 Harv. Negot. L. Rev. 355 (2006). განვითარებად ქვეყნებში არბიტრაჟის დანერგვის შესახებ მცირე რაოდენობით სტატია არსებობს. *ob. Arnoldo Wald, Patrick Schellenberg & Keith S. Rosenn, Some Controversial Aspects of the New Brazilian Arbitration Law*, 31 U. Miami Inter-Am. L. Rev. 223 (2000); Julio C. Barbosa, *Arbitration Law in Brazil: An Inevitable Reality*, 9 Sw. J. L. & Trade Am. 131 (2002); Hoda Atia, *Egypt’s New Commercial Arbitration Framework: Problems and Prospects for the Future of Foreign Investment*, 5 Int’l. Trade & Bus. L. Ann.

მენტი ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის, თუ იგი საერთაშორისო მონაწილეების მიერ შემოტანილი დასავლეთის არასასურველი ტრანსპლანტაცია.<sup>10</sup> წინამდებარე სტატია არის მცდელობა, წვლილი შეიტანოს ამ საკითხის განხილვაში განვითარებადი ქვეყნების საინტერესო შემთხვევაზე, კერძოდ, საქართველოში არბიტრაჟის მაგალითზე ყურადღების გამახვილებით. საქართველო არის პოსტკომუნისტური, ომისშემდგომი ქვეყანა, რომელმაც განახორციელა ფართო სტრუქტურული რეფორმები და ამჟამად არის ევროკავშირის წევრობის წინა ეტაპზე.

პირველი ნაწილი ეთმობა მოკლე ისტორიულ შეჯამებას; მეორე ნაწილი განიხილავს დავების გადაწყვეტის მრავალფეროვან, მაგრამ სავალალო ისტორიას. იგი იკვლევს რუსული და საბჭოთა 200-წლიანი ბატონობის შედეგებს არბიტრაჟის განვითარებაზე საქართველოში; მესამე ნაწილი დეტალურად განიხილავს ახალ ქართულ საარბიტრაჟო კანონს, რომელიც მოქმედებაში შევიდა 2010 წელს, და მის განხორციელებას ამჟამად. იგი ეფუძნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომისიის ტიპურ კანონს საერთაშორისო ვაჭრობის სამართალზე (UNCITRAL).<sup>11</sup> მიუხედავად ნაკლოვანი მხარეებისა, იგი მაინც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს საქართველოს ადრეულ მცდელობებს არბიტრაჟზე; მეოთხე ნაწილში განხილულია რეკომენდაციები კანონის გასაუმჯობესებლად დებულებების გადასინჯვასა და განმარტებებზე ფოკუსირებით; მეხუთე ნაწილში საუბარია საარბიტრაჟო სისტემის ყველაზე მნიშვნელოვან ნაკლოვან მხარეზე – კლიენტისთვის სავალდებულო არბიტრაჟის გამოყენებაზე. სტატია გვთავაზობს კომპლექსურ რეკომენდაციებს ამ დეფექტებზე რეაგირებისათვის; მეექვსე ნაწილში მოცემული დასკვნის მიხედვით, არ არის ძალიან დაგვიანებული, რომ არბიტრაჟმა დადებითი ზეგავლენა მოახდინოს საქართველოში მიმდინარე პროცესებზე. მას შეუძლია, შეასრულოს როგორც ბიზნესების, ასევე კლიენტების მოთხოვნები, რამდენადაც პოლიტიკური ნებაა რეფორმების განხორციელება. თუმცა ეს დასკვნები დამოკიდებულია ქვეყნებზე: საქართველოს გამოცდილება და ეს ანალიზი, სავარაუდოდ, ერთგვარი გაკვეთილი იქნება სხვა განვითარებადი ქვეყნებისთვის.

## II. სანყისი ინფორმაცია და ისტორიული კონტექსტი

საქართველო არის პატარა ქვეყანა, დაახლოებით სამხრეთ კაროლინის სიდიდისა. იგი მდებარეობს მნიშვნელოვან გზაჯვარედინზე ევროპას, აზიასა და შუა აღმოსავლეთს შორის და არის იმ რეგიონის ერთ-ერთი ქვეყანა, რომელიც ცნობილია კავკასიის სახელით. საქართველო, რომელიც მდებარეობს შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაპირზე, გამოყოფს რუსეთს შუა აღმოსავლეთისაგან. მოსახლეობა შეადგენს დაახლოებით 5 მილიონს.<sup>12</sup> მისმა მეზობლებმა – თურ-

---

1 (2000); Abudllah Khaled Al-Sofani, *Theoretic Study in Light of the Jordanian Arbitration Law: The Problem of Arbitration Clauses*, 32 Bus. L. Rev. 253 (2011); Rafael T. Boza, *Caveat Arbitrator: The U.S.-Peru Trade Promotion Agreement, Peruvian Arbitration Law, and the Extension of the Arbitration Agreement to Non-Signatories – Has Peru Gone Too Far*, 17 Currents: Int'l Trade L.J. 65 (2009); Tracy S. Work, *India Satisfies its Jones for Arbitration: New Arbitration Law in India*, 10 Transnat'l Law. 217 (1997). ვრცელი ლიტერატურა არსებობს საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების თაობაზე ნიუ-იორკის კონვენციის მიხედვით (Convention on the Recognition and Enforcement of Foreign Arbitral Awards (1958), 330 U.N.T.S. 38; 21 U.S.T. 2517; 7 I.L.M. 1046 (1968), [http://www.uncitral.org/uncitral/en/uncitral\\_texts/arbitration/NYConvention.html](http://www.uncitral.org/uncitral/en/uncitral_texts/arbitration/NYConvention.html) (last visited Feb. 23, 2015)). არსებობს აგრეთვე ბევრი მასალა, რომლებიც ეხება საინვესტიციო ხელშეკრულებებთან დაკავშირებულ დავებს განვითარებად ქვეყნებში, მაგრამ აღნიშნული საკითხი სცდება წინამდებარე სტატიის კვლევის ფარგლებს.

<sup>10</sup> Carrie Menkel-Meadow, *Correspondences and Contradictions in International and Domestic Conflict Resolution: Lessons from General and Varied Contexts*, 2003 J. Disp. Resol. 319, 341 (2003).

<sup>11</sup> იხ. ქვემოთ, სქოლიო 105.

<sup>12</sup> Central Intelligence Agency, *World Factbook: Georgia*, 2014, <https://www.cia.gov/library/publications/the-world-factbook/geos/gg.html> (last modified Sept. 24, 2015) [შემდგომში – World Factbook].

ქეთმა, ირანმა/სპარსეთმა სამხრეთის მხრიდან და რუსეთმა ჩრდილოეთის მხრიდან – დიდი როლი შეასრულეს მის კულტურასა და ისტორიაში.

საქართველოს ისტორიისთვის დამახასიათებელია გაერთიანებებისა და დაშლის პერიოდები.<sup>13</sup> მეათე საუკუნეში მეფე ბაგრატ მესამემ გააერთიანა რამდენიმე სამთავრო და შექმნა თანამედროვე ქართული სახელმწიფო, დაიმორჩილა ტერიტორია და მოიტანა სიმდიდრე და ძალაუფლება.<sup>14</sup> ეს გაგრძელდა რამდენიმე ასეულ წელს, სანამ მონღოლების შემოსევა დაანგრევდა იმპერიას.<sup>15</sup> მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში რუსეთმა განახორციელა ქართული მიწების დიდი ნაწილის ანექსია.<sup>16</sup> 1917 წლის რუსეთის თებერვლის რევოლუციის შემდეგ საქართველომ ხანმოკლე პერიოდით განიცადა დამოუკიდებლობა,<sup>17</sup> სანამ რუსული ჯარები შემოიჭრებოდა და დაიკავებდა ქვეყანას 1921 წელს.<sup>18</sup> შემდეგი 70 წლის განმავლობაში საქართველო რჩებოდა საბჭოთა კავშირის ნაწილად და მოგვცა ორი მნიშვნელოვანი ლიდერი: იოსებ სტალინი (მართავდა 1924 წლიდან 1953 წლამდე) და ედუარდ შევარდნაძე (80-იან წლებში საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი, რომელმაც ხელი შეუწყო ლიბერალურ პოლიტიკებს – „გლასნოსტსა“ და „პერესტროიკას“)<sup>19</sup>.

1991 წელს, როდესაც საბჭოთა კავშირმა დაიწყო დაშლა, საქართველომ გამოაცხადა დამოუკიდებლობა, რასაც მოჰყვა არამდგრადობის პერიოდი. ოპოზიციურმა ძალებმა გააძევეს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია 1992 წლის დასაწყისში.<sup>20</sup> კონსტიტუციური ცვლილებების შემდეგ პრეზიდენტად აირჩიეს ედუარდ შევარდნაძე. 2003 წელს ეგრეთ წოდებული *ვარდების რევოლუციის* შედეგად იგი გადააყენეს პრეზიდენტობიდან. შემდეგი არჩევნების შედეგად პრეზიდენტი გახდა მიხეილ სააკაშვილი და სახელმწიფოს სათავეში ჩაუდგა რეფორმებზე ორიენტირებული ერთიანი ნაციონალური მოძრაობა. 2008 წლის ხელახალ არჩევნებში გამარჯვების შემდეგ სააკაშვილმა და ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ წააგეს 2012 წლის არჩევნები კოალიცია *ქართულ ოცნებასთან*, რომელსაც ხელმძღვანელობდა მილიონერი ბიძინა ივანიშვილი. ეს იყო ქვეყნისთვის ძალაუფლების პირველი მშვიდობიანი გადაცემა.

მთელი პოსტსაბჭოთა პერიოდის განმავლობაში საქართველო იტანჯებოდა არასტაბილურობით, რაც გამოწვეული იყო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული მოძრაობებით კონტროლირებადი რეგიონებით. პოლიტიკურმა გადატრიალებამ წარმოშვა რამდენიმე ომი,<sup>21</sup> მათ შორის 2008 წლის აგვისტოს ომი რუსეთსა და საქართველოს შორის, რამაც გამოიწვია ამ რეგიონების დაკარგვა.<sup>22</sup> ორივე რეგიონმა გამოაცხადა დამოუკიდებლობა<sup>23</sup> და ამჟამად

<sup>13</sup> იხ. ზოგადად Donald Rayfield, *Edge of Empires: A History of Georgia* (2012).

<sup>14</sup> იქვე, 74.

<sup>15</sup> იხ. Donald Rayfield *ზემოაღნიშნული სქოლიო* 13, 118-31.

<sup>16</sup> Giorgi Intskirveli, *The Constitution of Independent Georgia*, 22 Rev. Cent. & E. Eur. L. 1, 1 (1996).

<sup>17</sup> Ferdinand Feldbrugge, *The Law of the Republic of Georgia*, 18 Rev. Cent. & E. Eur. L. 367, 368-69 (1992) [შემდგომში – *Feldbrugge, Law*].

<sup>18</sup> საქართველოს კონსტიტუცია ოფიციალურად მიღებულ იქნა მხოლოდ სამი დღით ადრე, სანამ წითელი არმია დაიკავებდა თბილისს. Ferdinand Feldbrugge, *The New Constitution of Georgia*, 22 Rev. Cent. & E. Eur. L. 9, 9-10 (1996).

<sup>19</sup> რუსული ტერმინები ლიაობისა და რეკონსტრუირების მნიშვნელობით, შესაბამისად.

<sup>20</sup> Ferdinand Feldbrugge, *სამართალი, ზემოაღნიშნული სქოლიო* 177, 371.

<sup>21</sup> სამხრეთ ოსეთში იყო სამი ომი, 1991-1992, 2004 და 2008 წლებში. Charles King, *The Five-Day War*, 87 Foreign Aff. 4 (Nov.-Dec., 2008), <<http://www.foreignaffairs.com/articles/64602/charles-king/the-five-day-war>>. აფხაზეთში ომი მიმდინარეობდა 1992-1993 და 2008 წლებში. იხ., ზოგადად, David Aphrasidze & David Siroky, *Frozen Transitions and Unfrozen Conflicts, Or What Went Wrong in Georgia?*, 5 Yale J. Int'l Aff. 121 (2010).

<sup>22</sup> აფხაზეთის პროფილი, BBC-ის ახალი ამბები, <http://www.bbc.com/news/world-europe-18175030> [03.06.2014] სამხრეთ ოსეთის პროფილი, BBC-ის ახალი ამბები, <<http://www.bbc.com/news/world-europe-18269210>>. [17.10.2013].

<sup>23</sup> იქვე, Milena Sterio, *On the Right to External Self-Determination: "Selfistans", Secession, and the Great Powers' Rule*, 19 Minn. J. Int'l L. 137, 167 (2010); Christopher J. Borgen, *The Language of Law and the Practice of Politics: Great Powers and the Rhetoric of Self-Determination in the Cases of Kosovo and South Ossetia*, 10 Chi. J.

მოქმედებენ როგორც რუსეთის მიერ კონტროლირებადი ნახევრადავტონომიური სახელმწიფოები.<sup>24</sup>

ამ არამდგრადობის მიუხედავად, საქართველომ მიაღწია მნიშვნელოვან წარმატებებს. 1990-იან წლებში საქართველო იტანჯებოდა შეიარაღებული ფორმირებებისაგან, კორუფციისაგან, ენერჯის დეფიციტისაგან. 2003 წლის ვარდების რევოლუციის დროს თვით პრეზიდენტ შევარდნაძემაც აღიარა, რომ საქართველო იყო *არშემდგარი სახელმწიფო*.<sup>25</sup> ეკონომიკა დაეცა 67%-ით 1989 წლის დონიდან, ხოლო მრეწველობის მწარმოებლურობა იყო 20%.<sup>26</sup> მიუხედავად განათლების მაღალი დონისა, საქართველოს ეროვნული შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე დაეცა სვაზილენდის დონეზე დაბლა.<sup>27</sup> თუმცა ვარდების რევოლუციამ დასაბამი მისცა ეკონომიკურ აღორძინებას და სტაბილურობას, რაც გრძელდება დღემდე – პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა<sup>28</sup> და ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ შეძლეს კორუფციისა და კრიმინალური მდგომარეობის მნიშვნელოვნად შემცირება;<sup>29</sup> მათ გააძლიერეს სახელმწიფო მომსახურება თითოეულ თემში იუსტიციის სახლების შექმნით მოქალაქეთა საჭიროებებზე რეაგირების მიზნით;<sup>30</sup> გაამარტივეს საგადასახადო სისტემა<sup>31</sup> და განახორციელეს თავისუფალი ბაზრის რეფორმები,<sup>32</sup> რამაც ხელი შეუწყო მთლიანი შიდა პროდუქტის წლიურ ზრდას დაახლოებით

---

Int'l L. 1, 5-6 (2009-10); Ronald Thomas, *The Distinct Cases of Kosovo and South Ossetia: Deciding the Question of Independence on the Merits and International Law*, 32 *Fordham Int'l L.J.* 1990, 2023 (2008-09). სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიარა მხოლოდ ოთხმა ქვეყანამ: რუსეთმა, ვენესუელამ, ნიკარაგუამ და ნაურუმ. ნაურუს აღიარება უთუოდ იყო კვიპროკვო (გაუგებრობა – ერთი საგნის (პირის) მაგივრად სხვა საგნის ან (პირის) მიღება). იხ. Ellen Barry, *Abkhazia is Recognized – by Nauru*, *N.Y. Times* (Dec. 15, 2009), <[http://www.nytimes.com/2009/12/16/world/europe/16-georgia.html?\\_r=0](http://www.nytimes.com/2009/12/16/world/europe/16-georgia.html?_r=0)>.

<sup>24</sup> იხ. *Abkhazia Profile*, ზემოაღნიშნული სქოლიო 22; *South Ossetia Profile*, ზემოაღნიშნული სქოლიო 23.

<sup>25</sup> Rayfield, ზემოაღნიშნული სქოლიო 13, 391.

<sup>26</sup> ეს ინფორმაცია შეერთებული შტატების კონგრესს მიაწოდა მაუნტ ჰოლიოკის კოლეჯის პროფესორმა სტივენ ჯონსმა: 1997 და 2000 წლებს შორის დანახარჯი თავდაცვაზე შემცირდა 51,9 მილიონი დოლარიდან 13,6 მილიონ დოლარამდე; განათლებაზე – 35,6 მილიონი დოლარიდან 13,9 მილიონ დოლარამდე... სახელმწიფოს უუნარობამ, დააფინანსოს სოციალური დაზღვევა და დასაქმება, შეინახოს თავისი არმია, განათლება და ტრანსპორტი, ან გააძლიეროს სოფლის მეურნეობა და მრეწველობა, მიიყვანა მოსახლეობის უმრავლესობა იმ დასკვნამდე, რომ სახელმწიფო არის არასათანადო, არანარმოდგენლობითი და კორუფციული.

*The Republic of Georgia: Democracy, Human Rights and Security: Hearings before the U.S. on Security and Cooperation in Europe* 107th Cong. 2 (2002) (Statement of Stephen Jones, Mount Holyoke College).

<sup>27</sup> Charles King, *A Rose Among Thorns*, 83 *Foreign Aff.* 13, 16 (2004) [შემდგომში – King, *Rose*].

<sup>28</sup> განათლება მიიღო კოლუმბიის იურიდიულ ფაკულტეტზე, ნიუ-იორკში.

<sup>29</sup> შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის თანახმად, კრიმინალური სიტუაცია მონოტონურად კლებულობს პოლიციის ძალების პროფესიონალიზმისა და ცხოვრების დონის საერთო ზრდის გამო. *Georgia 2014 Crime and Safety Report*, U.S. Dep't of State, Bureau Diplomatic Sec., Overseas Security Advisory Council (OSAC), <https://www.osac.gov/pages/ContentReportDetails.aspx?cid=15207> (ბოლოს განახლდა 2014 წლის 24 თებერვალს). კორუფციის აღქმის საერთაშორისო გამჭვირვალობის ინდექსით საქართველო იყო ბოლოდან მეხუთე ადგილზე ანგოლასა და კამერუნთან ერთად 2003 წელს; თერთმეტი წლის შემდეგ საქართველომ წინ წაიწია და დაიკავა მეთხუთმეტე ადგილი 174 ქვეყნიდან და გაუსწრო შვიდ ევროკავშირის წევრ ქვეყანას. საერთაშორისო გამჭვირვალობა, კორუფციის აღქმის ინდექსი – 2014, <<http://www.transparency.org/cpi2014/results>>.

<sup>30</sup> Public Service Hall, <[http://psh.gov.ge/?lang\\_id=ENG](http://psh.gov.ge/?lang_id=ENG)>, [23.02.2015].

<sup>31</sup> Stephen P. Smith, *When More is Not Necessarily Better: A Corporate Governance Tale of Two Countries*, 10 *Dartmouth L.J.* 64, 83-84 (2012).

<sup>32</sup> მთავრობის არსებითი ინსტიტუციური რეფორმის ნაწილია ლიცენზირების მოთხოვნების ოთხმოცდაათი პროცენტის გაუქმება და კომპლექსური მომსახურების ორგანოს შექმნა ლიცენზიებისათვის. 2014 Investment Climate Statement – Georgia, Bureau of Econ. and Bus. Aff., Dept. State Report, 1, 3 (2014) <http://www.state.gov/documents/organization/229020.pdf> (last modified June 2014), <<http://www.state.gov/documents/organization/229020.pdf>>, (უკანასკნელად შესწორდა 2014 წლის ივნისში), (შემდგომში – სახელმწიფოს ანგარიში).

7%-ით შემდეგ ათწლეულში.<sup>33</sup> 2013 წლისთვის საქართველოს ეკავა მერვე ადგილი მენარმეობის მიხედვით, მსოფლიო ბანკის კლასიფიკაციით.<sup>34</sup> ამ წინვლაში მას ერთი მილიარდი აშშ-ის დოლარით დაეხმარა საზღვარგარეთის ქვეყნები.<sup>35</sup> 2014 წელს საქართველომ დაასრულა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების რატიფიკაცია და ეფექტურად გაამყარა თავისი დემოკრატიული ორიენტაცია ბაზარზე.<sup>36</sup>

ამჟამად საქართველომ მიაღწია მნიშვნელოვან ისტორიულ ეტაპს. მან მიიღო ფილოსოფიური გადაწყვეტილება, გახდეს საგარეო ვაჭრობის საერთაშორისო თანასაზოგადოების წევრი, რომლის ცენტრიც არის ევროკავშირი. იგი უნდა მოემზადოს შედეგებისთვის. გაზრდილი კომერციული აქტივობები, ვაჭრობა და ინვესტიციები<sup>37</sup> მოითხოვს დავის გადაჭრის გაუმჯობესებულ სტრუქტურებს. მიუხედავად ბოლოდროინდელი პროგრესისა, სასამართლო სისტემა მაინც მოითხოვს გაუმჯობესებას.<sup>38</sup> ქართული ბიზნესის ლიდერების გამოკითხვამ გამოავლინა, რომ „კომერციის კანონის არცოდნისა“ და სასამართლო პროცედურების სი-

<sup>33</sup> Data: GDP Growth (annual %), Table: Georgia, The World Bank <http://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.MKTP.KD.ZG/countries/GE?page=1&display=default> (last modified 2015). World Bank Group, *Doing Business: Economy Rankings 2014*, The World Bank <http://www.doingbusiness.org/rankings> (last modified 2015). მსოფლიო ბანკის თანახმად, 2009 წლის გარდა (რუსეთის შემოჭრისა და მსოფლიო ფინანსური კრიზისის გამო), 2004–2013 წლებში მთლიანი შიდა პროდუქტის წლიური ზრდა საშუალოდ შეადგენდა 6,91%-ს. შედარებისთვის, იმავე წლებში შეერთებული შტატებისთვის საშუალო წლიური ზრდა შეადგენდა 2,27%-ს, ხოლო ევროკავშირისთვის – 1,68%-ს.

<sup>34</sup> World Bank Group, *Doing Business: Economy Rankings 2014*, The World Bank <http://www.doingbusiness.org/rankings> (ბოლოს შესწორდა 2015 წელს). საქართველო 2006 წელს იყო მე-100 ადგილზე და 2013 წელს მიაღწია მე-8 ადგილს. შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა აღნიშნა: „საქართველომ განახორციელა რადიკალური ეკონომიკური რეფორმები ვარდების რევოლუციიდან მოყოლებული, თითქმის არშემდგარი სახელმწიფოს მდგომარეობიდან, როგორც იყო 2003 წლისთვის, 2014 წლისთვის გადავიდა საკმარისად კარგად ფუნქციონირებად საბაზრო ეკონომიკის მდგომარეობაში“, სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიში, იხ. ზემოაღნიშნული სქოლიო 32, 1.

<sup>35</sup> Georgia: *Accomplishments and Lessons Learned from Implementation of the U.S. \$1 Billion Aid Package to Georgia Six Years After the Georgia-Russia Conflict*, U.S. Embassy Tbilisi, Georgia (Unclassified Cable, August 5, 2014)(on file with author). ჩარლზ კინგის თანახმად, შეერთებულმა შტატებმა, აგრეთვე, საქართველოს გამოუყო 1 მილიარდი დოლარის დახმარება დემოკრატიისა და განვითარების მხარდასაჭერად 1991 წლიდან 2004 წლამდე, „რაც, უდავოდ, შეადგენდა ვაშინგტონის უმსხვილეს ინვესტიციას ერთ სულ მოსახლეზე ნებისმიერი საბჭოთა სამართალმონაცვლე სახელმწიფოსთვის“. King, Rose, ზემოაღნიშნული სქოლიო 27, 14.

<sup>36</sup> Geor. Int'l. Chamber of Commerce, *Deep and Comprehensive Free Trade Agreement: Threat or Opportunities for Georgian Entrepreneurs?*, ICCOMMERCE 18 (2d ed. 2014), <http://www.icc.ge/www/download/ICCOMMERCE%20edition%202.pdf> [hereinafter ICCOMMERCE] (noting that Association Agreement establishes conditions for bilateral free trade agreement with EU). ხელშეკრულების საპასუხოდ რუსეთმა გააუქმა თავისი ვაჭრობის ხელშეკრულება საქართველოსთან. *Russia Plans to Suspend its Free Trade Agreement with Georgia*, ITAR-TASS News Agency (July 30, 2014), <[http://tass.ru/en/economy/742973?utm\\_medium=rss20](http://tass.ru/en/economy/742973?utm_medium=rss20)>.

<sup>37</sup> The new free trade pact with the EU will lead to large increases in trade. ICCOMMERCE, *supra* note 35, at 19. შეერთებული შტატების სტრატეგიული პერსპექტივიდან კასპიის საბადოების ევროპასთან (რუსეთისა და უკრაინის შემოვლით) დამაკავშირებელი გაზისა და ნავთობის მილსადენები გადის საქართველოზე და მოიცავს შეერთებული შტატების კერძო სექტორის მნიშვნელოვან ინვესტიციას. *The Republic of Georgia: Democracy, Human Rights and Security: Hearings before the U.S. on Security and Cooperation in Europe* 107th Cong. 2 (2002) (Statement of Christopher H. Smith, Co-Chairman, Comm'n on Security and Cooperation in Europe).

<sup>38</sup> ეს შეფასება შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა გააკეთა იურიდიულ კომიტეტში 2014 წელს: რეკომენდებულია, რომ კერძო პარტიებს შორის კონტრაქტები მოიცავდეს დავებზე საერთაშორისო არბიტრაჟის უზრუნველყოფას ქართულ სასამართლო სისტემაში ამჟამად მიმდინარე სამართლებრივი რეფორმების გამო. სასამართლო დავა შეიძლება მოითხოვდეს ზედმინევნით დიდ დროს. საკუთრების უფლებებზე დავების შემთხვევაში ზოგჯერ არ არის ნდობა ქართული სამართალ-სისტემის მიუკერძოებლობისა და კანონის უზენაესობისადმი და, ზოგადად, საქართველოს საინვესტიციო კლიმატისადმი. სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიში, ზემოაღნიშნული სქოლიო 32, 6.

ნელის“ გამო დგას სერიოზული პრობლემები.<sup>39</sup> შედეგად ბიზნესების მხოლოდ 26%-ს სურს დავის სასამართლოს გზით გადაწყვეტა.<sup>40</sup> ფართო საზოგადოების ნდობის დონე სასამართლოსადმი არის ძალზე დაბალი.<sup>41</sup> თუ ინდივიდუალური პირები და ბიზნესები ვერ შეძლებენ სასამართლოების გამოყენებას და თავიანთი უფლებების რეალიზაციას, ეკონომიკური და სოციალური აქტივობები სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდება.<sup>42</sup> ამ პრობლემების შემთხვევაში შეიძლება არბიტრაჟი იყოს სასარგებლო საშუალება. ეს სტატია ანალიზებს წინა წლების მონაცემებს არბიტრაჟზე, მის მიმდინარე სტატუსსა და მომავალს საქართველოში.

### III. არბიტრაჟის ისტორია

#### ა. რუსული/კომუნისტური არბიტრაჟი

არბიტრაჟი საქართველოში ძველი მეთოდია და საუკუნეების განმავლობაში არსებობს სხვადასხვა ფორმით. ტრადიციულად, ადგილობრივი თემის ხელმძღვანელები საარბიტრაჟო წესრიგში წყვეტდნენ მიწისა და საოჯახო საკითხებთან დაკავშირებული დავების უმრავლესობას.<sup>43</sup> როდესაც რუსეთის იმპერიამ შემოიერთა საქართველო, არბიტრაჟი ხელმისაწვდომი იყო იმ დროს არსებული იმპერიის კანონებით, სადაც ე.წ. *fora* ცნობილი იყო *ტრეტეის სასამართლოების* სახელით (რუსულად ტრეტეის გულისხმობდა მესამე მხარის სასამართლოებს).<sup>44</sup>

რუსეთის რევოლუციის შემდეგ დროებითმა საქართველოს რესპუბლიკამ შექმნა *ხელფასების საბჭო*, რომელიც, *სხვათა შორის*, უფლებამოსილი იყო, არბიტრაჟით გადაეჭრა ხელფასებთან დაკავშირებული დავები.<sup>45</sup> დაახლოებით იმ პერიოდში, როდესაც საბჭოთა კავშირმა მიიერთა მთელი საქართველო, საბჭოთაებმა წარმოადგინეს არბიტრაჟის ორი ინიციატივა:

პირველი ინიციატივა იყო *საარბიტრაჟო სასამართლოები*.<sup>46</sup> 1928 წლიდან ყველა საშინაო ეკონომიკური საქმიანობა წარმართული უნდა ყოფილიყო სახელმწიფო საწარმოებში და ნებისმიერი წამოჭრილი დავა უნდა გადაწყვეტილიყო *არბიტრაჟის* ახალი სისტემით.<sup>47</sup> უფრო მეტიც, საბჭოთა კავშირმა არბიტრაჟს დააკისრა განმკარგულებელი, ისევე როგორც დავების

<sup>39</sup> Caucasus Research Resource Centers (CRRC), *Attitudes to the Judiciary in Georgia: Assessment of General Public, Legal Professionals and Business Leaders*, 29 (May 2014), [http://www.crcc.ge/uploads/files/research\\_projects/JILEP\\_CRRC\\_Final\\_Report\\_30July2014.pdf](http://www.crcc.ge/uploads/files/research_projects/JILEP_CRRC_Final_Report_30July2014.pdf) (last visited Feb. 23, 2015) (შემდგომში – CRRC, Georgia).

<sup>40</sup> იქვე.

<sup>41</sup> საზოგადოების ნდობა სასამართლოსადმი ნაკლებია, ვიდრე რომელიმე სხვა სამთავრობო დაწესებულებისადმი, იქვე, 4-5, 36.

<sup>42</sup> გარდამავალი დემოკრატიების ერთ-ერთმა კვლევამ აღმოაჩინა, რომ სასამართლოების უნარი, დაიცვას საკუთრების უფლება, ბევრად უფრო მნიშვნელოვანია ინვესტიციებისთვის, ვიდრე თანამედროვე კანონები. Katherina Pistor, et al., *Law and Finance in Transition Economies*, 8 Econ. Transition 325, 2000, 326, <[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=214648](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=214648)>, (ბოლოს განახლდა 2015 წლის 23 თებერვალს). ასეთ გარემოებებში ბიზნესები შეიძლება დაუბრუნდეს თვითდარეგულირების მექანიზმებს. შეადარეთ John McMillian & Christopher Woodruff, *Private Order Under Dysfunctional Public Order*, 98 Mich. L. Rev. 2421 (2000) (კრიტიკული ანალიზი ოფიციალური სამართლებრივი სისტემის სოციალური ქსელების ორგანიზაციებით ჩანაცვლებასა და არაოფიციალურ ჭორებზე პოსტკომუნისტურ ქვეყნებში).

<sup>43</sup> Sofia Avilova, *Attaining Democracy in Georgia: Using Mediation to Rescue Georgia's Democratic Transformation*, 17 Mich. St. U. Coll. L. J. Int'l L. 465, 478 (2008-2009).

<sup>44</sup> მაგალითად, 1649 წლის Sobornoe Ulozhenie (რუსული კანონების საერთო კოდიფიკაცია მიწის ასამბლეის მიერ) მე-5 მუხლის მე-15 ნაწილის თანახმად, მხარეებს ეძლევათ უფლება, გადაჭრან თავიანთი დავები ტრეტეის სასამართლოების საშუალებით, Yoshida, *History of International Commercial Arbitration and its Related System in Russia*, 25 Arb. Int'l 365, 2009, 368.

<sup>45</sup> Law on Wages Council, International Labour Office, art. 50, 1920 Leg. Ser. 1, at 6 (1920).

<sup>46</sup> Yoshida, ზემოაღნიშნული სქოლიო 44, 377-78.

<sup>47</sup> Alexander S. Komarov, *Arbitration in Russia, Features of the International Commercial Arbitration Court at the Chamber of Commerce and Industry of the Russian Federation*, International Commercial Arbitration: Different Forms and their Features 299 (Giuditta Cordero-Moss ed., 2013).



გადაჭრის, უფლებამოსილება.<sup>48</sup> ასეთი სასამართლოს სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულობის გამო იგი იყო არა არბიტრაჟის ორგანო, არამედ უფრო მეტად ემსგავსებოდა კომერციულ სასამართლოს.

ამ სასამართლოებს ჰქონდათ კომბინირებული რეპუტაცია. სისტემა განკუთვნილი იყო სახელმწიფოს სამსახურისა და არა დავის მონაწილეთათვის. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ბევრნი აღწერდნენ საბჭოთა სისტემას, როგორც „სატელეფონო სამართალს“<sup>49</sup> და მოიხსენიებდნენ მოსამართლეს სახელმწიფო მოხელედ, რომელიც გადაწყვეტილების მიღებისას ეყრდნობოდა არა კანონებისა და ფაქტების მიხედვით მის მიერ გაკეთებულ შეფასებას, არამედ რაღაც სხვას.<sup>50</sup> სოლჟენიცინი თავის წიგნში – „გულაგის არქიპელაგი“ – ამ ვითარებას ასე აღწერდა: „გონებრივად მოსამართლე თავის კაბინეტში ყოველთვის ხედავს სიმართლის ბრჭყვიალა შავ სახეს – ტელეფონს. ეს ორაკული არასდროს არ გიმტყუნებს, ვინაიდან შენ აკეთებ იმას, რასაც იგი ამბობს“.<sup>51</sup> შეიძლება, ეს დახასიათება გადაჭარბებული მოგვეჩვენოს, თუმცა იმ დროს „სატელეფონო სამართალი“ არსებობდა მთელ საბჭოთა კავშირში. 1980 წლისთვის ოფიციალურმა გაზეთმა „იზვესტიამ“ ღიად გამოაცხადა, რომ „სატელეფონო სამართალი“ ფართოდ გავრცელებული პრობლემა იყო.<sup>52</sup>

საერთაშორისო ვაჭრობასთან დაკავშირებული დავებისთვის საბჭოეთელემბმა 1932 წელს შექმნეს საგარეო სავაჭრო საარბიტრაჟო კომისია (FTAC).<sup>53</sup> ამ კომისიის ექსკლუზიური იურისდიქცია ვრცელდებოდა საერთაშორისო დავებზე.<sup>54</sup> მის წესებს ჰქონდა არბიტრაჟის მსგავსი ზოგიერთი მახასიათებელი, როგორებიცაა: არბიტრების დანიშვნა მხარის მიერ, არავითარი აპელაციები, უცხოელი ადვოკატი და არბიტრების მოქმედების სრული თავისუფლება გადაწყვეტილების მიღებისას.<sup>55</sup> და მაინც, ის ფუნქციონირებდა პარტიის სისტემის კონტროლის ქვეშ.<sup>56</sup> საგარეო სავაჭრო საარბიტრაჟო კომისიის არბიტრებს, როგორც კომუნისტური სახელმწიფოს მიერ დასაქმებულ ჩინოვნიკებს, ენდობოდნენ საბჭოთა მოქალაქეები.<sup>57</sup> არ იყო არავითარი პოზიტიური მოვალეობა მომავალი არბიტრებისთვის იმ გარე-

<sup>48</sup> იქვე, 300. სახელმწიფო არბიტრაჟს დაკისრებული ჰქონდა ყველა ეკონომიკური სანარმოს რეგულირება და, ამავე დროს, ჰქონდა სასამართლოში საქმის განხილვის ინიცირების უფლება. Katharina Pistor, *Supply and Demand for Contract Enforcement in Russia: Courts, Arbitration, and Private Enforcement*, 22 Rev. Cent. & E. Eur. L. 55, 68 (1996). სახელმწიფო არბიტრაჟს ჰქონდა კვაზისაკანონმდებლო ძალაუფლება, როგორცაა უფლებამოსილება სპეციფიკურ საკონტრაქტო პირობებზე, იქვე, 69.

<sup>49</sup> „სატელეფონო სამართალი“ იყო საბჭოთა ეპოქის განმსაზღვრელი მახასიათებელი“. Louise I. Shelley, *Corruption in the Post-Yeltsin Era*, 9 E. Eur. Const. Rev. 70, 72 (2000). არის, აგრეთვე, სასამართლოს გადაწყვეტილებაზე სამთავრობო ზეგავლენის მაგალითები პოსტსაბჭოთა პერიოდშიც. იხ. Jeffrey Kahn, *The Search for the Rule of Law in Russia*, 37 Geo. J. Int'l L. 353, 379 (2005-2006). (აღწერელია იუსტიციის სამინისტროს ზენოლა მოსამართლეზე, რომელიც თავმჯდომარეობდა მეცხრამეტე საუკუნეში რუსეთში გამართულ ცნობილ ვერა ზასულიჩის სასამართლო პროცესს).

<sup>50</sup> Randall T. Sheppard, *Telephone Justice, Pandering, and Judges Who Speak Out of School*, 29 Fordham Urb. L.J. 811, 812 (2001-2002).

<sup>51</sup> Alexander Solzhenitsyn, *Gulag Archipelago*, Vol. III, 521 (Harper & Row ed., 1974).

<sup>52</sup> იხ. მაგალითისთვის *Measures to Strengthen Legality*, 25 Soviet Stat. & Dec. 54 (Summer 1989)(citing *Izvestia*, May 22, 1987, 3 („სატელეფონო სამართალი“ აღიარებულია საბჭოთა სასამართლო სისტემის ერთ-ერთ ნაკლოვან მხარედ)).

<sup>53</sup> *იოშიდა*, ზემოაღნიშნული სქოლიო 43, 381-83.

<sup>54</sup> იქვე, 383.

<sup>55</sup> იქვე, 384, 388-89.

<sup>56</sup> იხ. სენდფორდ კინგ-სმიტი, *King-Smith S.B.*, *Communist Foreign Trade Arbitration*, 10 Harv. Int'l L. J. 34, 1969, 40. (ამტკიცებს, რომ FTAC იყო დე ფაქტო ნაციონალური სასამართლო უცხო ქვეყნების შემთხვევებისთვის).

<sup>57</sup> Yoshida, ზემოაღნიშნული სქოლიო 44, 383. თუმცა ეს არ იყო გამონაკლისი, ეს მოთხოვნა არასოდეს ყოფილა ფორმალურად დაკმაყოფილებული წესად. Kaj Hober, *Arbitration in Moscow*, 3 Arb. Int'l 119, 1987, 158. FTAC-ის პრეზიდენტმა ერთხელ განმარტა: „უცხოელები შეიძლება ჩართული იყვნენ..., მაგრამ ეს იქნებოდა

მოებების გასახსნელად, რომლებიც შეიძლება მოითხოვდეს მათ მიუკერძოებლობას ან დამოუკიდებლობას განსახილველ საკითხში.<sup>58</sup> სასამართლო განხილვები მიმდინარეობდა რუსულად და ფორუმის ადგილი იყო მოსკოვი.<sup>59</sup> ამ და სხვა კონსტრუქციული მიზეზით აშკარად ჩნდებოდა ეჭვები სისტემის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით.<sup>60</sup> საქმეში – *Amtorg Trading Corp. და Camden Fiber Mills, Inc.*<sup>61</sup> – ნიუ-იორკის სახელმწიფო სასამართლომ ძალადაკარგულად ცნო არბიტრაჟის ხელშეკრულება საბჭოთა ფირმასთან მიკერძოებულობის პრობლემების გამო.<sup>62</sup> ერთ-ერთმა გამოკვლევამ გააანალიზა FTAC-ის გამოქვეყნებული შემთხვევები და დაასკვნა, რომ გადაწყვეტილების მიღების დროს აშკარად არსებობდა მიკერძოებულობა.<sup>63</sup>

საბჭოთა კავშირი იყო ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო, რომელიც შეუერთდა ნიუ-იორკის კონვენციას.<sup>64</sup> იგი აგრეთვე წარმოადგენდა საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟზე ევროპული კონვენციის (1961 წლის ჟენევის კონვენცია) ადრინდელ მხარეს, თუმცა 1988 წლამდე საბჭოთაეთლებმა ვერ გაატარეს საშინაო იმპლემენტირებული კანონმდებლობა. შედეგად არ არსებობს დოკუმენტირებული შემთხვევა, სადაც საბჭოთა კავშირმა ცნო და გაატარა უცხოური არბიტრაჟის გადაწყვეტილება – არც 1988 წლამდე და არც მის შემდეგ.<sup>65</sup>

## ბ. კერძო არბიტრაჟი

„სატელეფონო სამართლისა“ და მიკერძოებულობის მემკვიდრეობამ დიდი ხნით მიაყენა ჩრდილი პოსტსაბჭოთა ქვეყნებს, მათ შორის საქართველოსაც. შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა 1993 წელს კონგრესის წინაშე განაცხადა, რომ სატელეფონო სამართალი კვლავ განაგრძობდა არსებობას საქართველოს სასამართლო სისტემაში.<sup>66</sup>

1997 წელს საქართველომ გააუქმა თავისი ადგილობრივი *არბიტრაჟის სასამართლოები*<sup>67</sup> და მიიღო არბიტრაჟის პირველი თანამედროვე კანონი, კანონი კერძო არბიტრაჟზე.<sup>68</sup> ეს კანონ-

---

აზრს მოკლებული, ვინაიდან (FTAC) თავის ფუნქციებს საკმაოდ კარგად ასრულებს ამჟამინდელ სიტუაციაში“. *Hines J. H., Dispute Resolution and Choice of Law in United States – Soviet Trade*, 15 *Brook. J. Int'l L.* 591, 1989, 633-34.

<sup>58</sup> Pat K. Chew, *A Procedural and Substantive Analysis of the Fairness of Chinese and Soviet Foreign Trade Arbitrations*, 21 *Tex. Int'l L.J.* 291, 304 n.73 (1985-1986).

<sup>59</sup> იქვე, 309.

<sup>60</sup> მაგალითისათვის იხ. King-Smith, *ზემოაღნიშნული სქოლიო 56*, 40; იხ. აგრეთვე, Hober, *ზემოაღნიშნული სქოლიო 57*, 154 (აღნიშნავს ბევრ დასავლური ბიზნესის პრობლემას და კომენტატორების კრიტიკას); Samuel Pizar, *Soviet Conflict of Laws in International Commercial Transactions*, 70 *Harv. L. Rev.* 593, 635 (1957). (FTAC-ის წესებს შეიძლება ჰქონდეს გავლენა საბჭოთა მატერიალური სამართლისა და სამართლებრივი ნორმების შერჩევის სასარგებლოდ).

<sup>61</sup> საქმე *Amtorg Trading Corp. და Camden Fiber Mills Inc.* შორის, 197 *Misc.* 398, 94 *N.Y.S.2d* 651 (უმაღლესი სასამართლოს ანგარიში, 1950).

<sup>62</sup> იქვე, 653. გადაწყვეტილება აპელაციაზე შეიცვალა, ვინაიდან მხარეებმა მიიღეს პირობები კონტრაქტის დადების დროს. ნიუ-იორკის საარბიტრაჟო სასამართლომ დაამატა, რომ „ეს გადაწყვეტილება ვერ შეუძლიდა ხელს კემდენს სათანადო ქმედების განხორციელებაში, თუნდაც არბიტრაჟს წაერთვა მისთვის სამართლიანი და მიუკერძოებელი გადაწყვეტილების მიღების ფუნდამენტური უფლება“. არბიტრაჟი საქმეზე – *Amtorg Trading Corp. და Camden Fiber Mills, Inc.*, შორის, 304 *N.Y.* 519, 521, 109 *N.E.2d* 606, 1952, 607.

<sup>63</sup> Chew, *ზემოაღნიშნული სქოლიო 588*, 323-30.

<sup>64</sup> ნიუ-იორკის კონვენცია, *ზემოაღნიშნული სქოლიო 9*.

<sup>65</sup> Komarov, *ზემოაღნიშნული სქოლიო 47*, 301.

<sup>66</sup> U.S. Dep't. of State, Bureau of Democracy, HR, and Lab., *Georgia Human Rights Practices*, 1993 876, 880 (1994).

<sup>67</sup> იხ. Salome Japaridze, *Interrelations Between the Annulment of the Arbitral Award and the Refusal of Recognition and Enforcement of the Arbitral Award*, 2013 *Alt. Disp. Resol. Y.B. Tbilisi St. U.*, 229, 230.

<sup>68</sup> Law On Private Arbitration [LOPA], *Official Gazette of the Parliament of Georgia [OGPG]*, No. 17-18, May 5, 1997.

ნი იძლეოდა კომერციული ორგანიზაციების შექმნის უფლებას,<sup>69</sup> რომლებიც უზრუნველყოფდნენ დავების გადაწყვეტის მომსახურებას.<sup>70</sup> კანონი კერძო არბიტრაჟზე უზრუნველყოფდა კონფიდენციალობას მხოლოდ არბიტრაჟული სასამართლოს წევრებს შორის და არა მხარეებს ან მოწმეებს შორის.<sup>71</sup> ეფექტურობის ინტერესიდან გამომდინარე, კანონი კერძო არბიტრაჟზე შეეცადა, ნება დაერთო გადაწყვეტილების მიღების ხანმოკლე პერიოდებზე, მაგრამ წესები იყო ისეთი დრაკონული, რომ მიღებულ იქნა სანინააღმდეგო შედეგი. ტრიბუნალს უნდა გამოეტანა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება სასამართლო პროცესების დაწყებიდან 30 დღის განმავლობაში, ან თავი მიენებებინა და მიეტოვებინა მხარეები ხელახლა დასაწყებად.<sup>72</sup>

კანონის ყველაზე საკამათო საკითხები ეხება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღიარებასა და შესრულებას. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შეიძლება უშუალოდ განხორციელდეს ან ეყოფილიყო სასამართლოს მხრიდან კონტროლისა და განხილვის გარეშე.<sup>73</sup> სასამართლოს მონაწილეობა იზღუდებოდა, თუ მხარე მოითხოვდა გადაწყვეტილების შეცვლას, მაგრამ წესები არ იყო გასაგები.<sup>74</sup> სასამართლოებს შეეძლოთ, აგრეთვე, შეეჩერებინათ გადაწყვეტილებები, თუ ისინი ჩათვლიდნენ, რომ გამოუსწორებელ ზიანს მოუტანდა მხარეს, მიუხედავად საქმის არსისა.<sup>75</sup> კანონს კერძო არბიტრაჟზე ჰქონდა მნიშვნელოვანი შეცდომები, მას არ გააჩნდა არავითარი უსაფრთხოების ზომები ინტერესთა კონფლიქტის საპირისპიროდ. პრაქტიკულად, არ ჰქონდა წინასწარი გადაუდებელი ღონისძიებები,<sup>76</sup> და ბოლოს, არ ითვალისწინებდა უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღიარებასა და შესრულებას.

ამ ნაკლოვანი მხარეების გამო კერძო არბიტრაჟზე კანონის განხორციელებამ კატასტროფული შედეგი გამოიღო. არბიტრაჟის მომსახურებით დაკავებულ ორგანიზაციებს სხვა პროვაიდერის შემდეგაც კი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ერთსა და იმავე დავაში გამოჰქონდა ერთი და იმავე მხარეების მიმართ.<sup>77</sup> კიდევ ერთი ამაღლებული ტენდენცია გამოიკვეთა – არბიტრაჟის გამოყენება მესამე მხარის ქონების მიტაცების მიზნით.<sup>78</sup> სქემა მუშაობდა შემდეგნაირად: ორი მხარე თხზავდა დავას ქონების საკუთრებაზე, რომელიც პრაქტიკულად ეკუთვნოდა მესამე მხარეს. პროვაიდერი გამოსცემდა ბრძანებას ქონების გადაცემაზე იმ მხარისთვის, რომელიც მოიგებდა საქმეს და აღსრულების ბიურო აღასრულებდა ბრძანებას, როგორც სასამართლო ბრძანებას, მესამე მხარე კი კარგავდა ქონებას, ყოველგვარი შეტყობინების გარეშე.<sup>79</sup> ქართულ სასამართლოებს ხანდახან ჰქონდათ შესაძლებლობა, გადაემონებინათ

<sup>69</sup> Registered under the Entrepreneurship Law. Law on Entrepreneurship [LE], *Official Gazette of the Parliament of Georgia* [OGPG], No. 21-22, Oct. 28, 1994.

<sup>70</sup> კანონი კერძო არბიტრაჟზე, LOPA, ზემოაღნიშნული სქოლიო 69, მე-7 მუხლი.

<sup>71</sup> იქვე, 27-ე მუხლი.

<sup>72</sup> იქვე, 31-ე მუხლი.

<sup>73</sup> იქვე, 42-ე მუხლი; იხ., აგრეთვე, Sophie Tkemaladze, *A New Law – A New Chance for Arbitration in Georgia*, in *International Scientific Conference: The Quality of Legal Acts and its Importance in Contemporary Legal Space* (U. of Latvia Press 2012) 665, 665-66 (აღწერს კერძო არბიტრაჟზე კანონის იძულებით განხორციელებას), (შემდგომში – Tkemaladze, *New Law*).

<sup>74</sup> მაგალითად, არბიტრაჟის გადაწყვეტილების შეცვლა ნებადართული იყო, თუ ეს გადაწყვეტილება არღვევდა არბიტრაჟის ხელშეკრულებას ან საქართველოს კანონს. კანონი კერძო არბიტრაჟზე, *ზემოაღნიშნული* სქოლიო 69, 43-ე მუხლი. მიუხედავად ამისა, ამ დარღვევების ფარგლები რჩებოდა განუსაზღვრელი. Tkemaladze, *New Law*, ზემოაღნიშნული სქოლიო 73, 666.

<sup>75</sup> იქვე, 44-ე მუხლი. სასამართლოებს ჰქონდათ თავისუფალი მოქმედების უფლება, განესაზღვრათ ეს ზიანი, რომელიც ხელს უწყობდა უსაფუძვლო პრაქტიკას და გაურკვეველ იძულებითი განხორციელების უფლებებს.

<sup>76</sup> დროებითი ღონისძიებები არის აუცილებელი ღონისძიებები, წინასწარი სასამართლო აკრძალვის ანალოგიური, შეერთებულ შტატებში.

<sup>77</sup> Giorgi Tsertsvadze, *Commentary, Brief Commentary to the Georgian Arbitration Law 2009*, 18 (Universal ed., 2011) (შემდგომში – Tsertsvadze, *Commentary*). სამწუხაროდ, ეს „ორმაგი არბიტრაჟი“ არ იყო იშვიათობა კერძო არბიტრაჟზე კანონის მოქმედების პერიოდში, იქვე.

<sup>78</sup> იქვე, 30.

<sup>79</sup> იქვე.

ნათ საშინაო საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, მაგრამ ესეც კი იყო დამძიმებული პროცესი. ბევრი აკრიტიკებდა ამ პროცესებს, როგორც ვეებერთელა და ხანგრძლივ პროცედურებს.<sup>80</sup> სასამართლოებიც აგრეთვე იბრძოდნენ, რადგანაც გაუგებარი იყო მათი უფლებამოსილების ჩარჩოები გადაწყვეტილების შესაცვლელად.<sup>81</sup>

კანონი კერძო არბიტრაჟზე ვერ უზრუნველყოფდა უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებას. ეს იწვევდა დაბნეულობასა და შეუსაბამობას, როდესაც მხარე ცდილობდა უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებას საქართველოში. 1994 წელს საქართველომ ხელი მოაწერა ნიუ-იორკის კონვენციას უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღიარებასა და აღსრულებაზე (ნიუ-იორკის კონვენცია), მაგრამ სასამართლოები იგნორირებას უკეთებდნენ მას და მის ნაცვლად ეყრდნობოდნენ მინსკის კონვენციას,<sup>82</sup> ან საქართველოს კანონს კერძო საერთაშორისო კანონზე (PIL),<sup>83</sup> როგორც უფლებამოსილებას ნების აღიარებასა და აღსრულებაზე.<sup>84</sup> ეს იყო პრობლემატური, ვინაიდან ორივე – მინსკის კონვენცია და კერძო საერთაშორისო კანონი – არეგულირებდა მხოლოდ სასამართლო და არა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღიარებასა და აღსრულებას.<sup>85</sup>

თუმცა კანონი კერძო არბიტრაჟზე გაკრიტიკებულია<sup>86</sup> – განხილულ უნდა იქნეს უფრო ფართო კონტექსტში. იგი მიიღეს საკანონმდებლო მოღვაწეობის ნაყოფიერ პერიოდში, როცა მემკვიდრეობითი საბჭოთა კანონები უნდა ჩაენაცვლებინათ და ბევრი დრო არ იყო დასაფიქრებლად;<sup>87</sup> აგრეთვე, ქართველი პროფესიონალები იყვნენ საბჭოური მომზადებისა და არ ჰქონდათ არავითარი გამოცდილება კერძო საკუთრებასთან დაკავშირებულ საკითხებსა<sup>88</sup> თუ კერძო დავების გადაწყვეტაში;<sup>89</sup> ასევე, განიცდიდნენ ქართულად არბიტრაჟზე მასალების დეფიციტს და პროფესიონალების უმრავლესობას ხელი მიუწვდებოდა მხოლოდ რუსულ წყარო-

<sup>80</sup> Giorgi Tsertsvadze, *Commentary, Brief Commentary to the Georgian Arbitration Law 2009*, 18 (Universal ed., 2011) (შემდგომში – Tsertsvadze, *Commentary*). სამწუხაროდ, ეს „ორმაგი არბიტრაჟი“ არ იყო იშვიათობა კერძო არბიტრაჟზე კანონის მოქმედების პერიოდში, იქვე, 18.

<sup>81</sup> Tkemaladze, *New Law*, ზემოაღნიშნული სქოლიო 733, 666. სასამართლოები ხშირად ინტერპრეტირებდნენ ამ უფლებამოსილების შეცვლაზე ისეთნაირად, რომ ჰქონდათ გადაწყვეტილების გაუქმების უფლება, Tsertsvadze, *Commentary*, ზემოაღნიშნული სქოლიო 77, 17.

<sup>82</sup> მინსკის 1993 წლის კონვენცია არის საერთაშორისო ხელშეკრულება სამოქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებების აღიარებისა და აღსრულების რეგულირებისათვის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრ ქვეყნებში (დსთ). მინსკის კონვენციამ იურიდიულ დახმარებასა და სამართლებრივ დამოკიდებულებებზე სამოქალაქო, საოჯახო და კრიმინალურ საკითხებში (Minsk Convention on Legal Assistance and Legal Relations in Civil, Family and Criminal Matters, Unified Register of Legal Acts and Other Documents of the Commonwealth of Independent States, Jan. 33, 1993) გააერთიანა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამართლებრივი აქტები და სხვა დოკუმენტები, იანვარი, 33, 1993 (შემდგომში – მინსკის კონვენცია/Minsk Convention). საქართველო იყო დსთ-ის წევრი 2009 წლის 18 აგვისტომდე. *Georgia's Withdrawal from CIS*, Ministry of Foreign Affairs of Georgia, <http://georgiamfa.blogspot.com/2008/08/georgias-withdrawal-from-cis.html> (last visited Feb. 23, 2015).

<sup>83</sup> Law on Private International Law [PIL], *Official Gazette of the Parliament of Georgia* [OGPG], No. 19-20, April 29, 1998 (Georgia) (შემდგომში – PIL).

<sup>84</sup> იხ. George Tsertsvadze, *Recognition and Enforcement of Foreign Arbitral Awards in Georgia*, at 2-5 (Oct. 2009) Max-Planck-Institut für ausländisches und Internationales Privatrecht. (გამოუქვეყნებელი საკანდიდატო დისერტაცია).

<sup>85</sup> იქვე.

<sup>86</sup> მაგალითისათვის იხ. Japaridze, ზემოაღნიშნული სქოლიო 7, 231.

<sup>87</sup> კანონები მენარმეებზე, მონოპოლიასა და კონკურენციაზე, მომხმარებლის ინტერესების დაცვაზე, სასამართლო სისტემაზე და ყოვლისმომცველი სამოქალაქო კოდექსი და სავაჭრო კოდექსი – ყველა მიღებული იყო ამ პერიოდის განმავლობაში.

<sup>88</sup> 1998 წელს შეერთებული შტატების ერთ-ერთი ექსპერტი რეკომენდაციას უწევდა სატრენინგო პროგრამას საბაზრო ეკონომიკის, კონკურენციისა და სავაჭრო კანონის იურისპრუდენციაზე. William E. Kovacic & Ben Slay, *Perilous Beginnings: The Establishment of Antimonopoly and Consumer Protection Programs in the Republic of Georgia*, 43 *Antitrust Bull.* 15, 36 (1998).

<sup>89</sup> Tsertsvadze, *Commentary*, ზემოაღნიშნული სქოლიო 77, 15.

ებზე;<sup>90</sup> საბჭოთა გამოცდილებაში უხვად შეიმჩნეოდა კორუფცია. პროფესიონალთა უმრავლესობამ სრულწლოვანებას მიაღწია საბჭოთა სისტემის პერიოდში, როდესაც „სატელეფონო სამართალი“ ჩვეულებრივი მოვლენა იყო და თითქმის არ არსებობდა მაკომპენსირებელი ნორმები ან მაგალითები.

რეჟიმისა და წესების კონტროლზე ლიცენზიის გამცემი იურისტის არარსებობას თავისი წვლილი შეჰქონდა პრობლემების შექმნაში. 1990-იან წლებში თითქმის არავის შეეძლო ემოქმედა როგორც იურისტს.<sup>91</sup> არავინ არ იყო, რომელიც გააკონტროლებდა კვალიფიკაციებს, ლიცენზირებასა და დისციპლინას.<sup>92</sup> ოფიციალური საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია არ იყო ჩამოყალიბებული 2005 წლამდე, კერძო არბიტრაჟზე კანონის მიღებიდან რვა წლის შემდეგ.<sup>93</sup> უფრო მეტიც, არ იყო სათანადო ქცევის არავითარი მოდელი, როგორცაა, მაგალითად, ადვოკატის ან არბიტრის ეთიკის კოდექსი.

გარდა ამ ფორმალური დეფექტებისა, კერძო არბიტრაჟზე კანონმა (LOPA) იურისტებს გაუადვილა არბიტრაჟის ცენტრების ჩამოყალიბება და ისინი მოითხოვდნენ, რომ ეს ცენტრები ყოფილიყო კომერციული სანარმოები.<sup>94</sup> ცენტრები კონკურირებდნენ ინსტიტუციური კლიენტებისთვის, რომლებსაც შეეძლოთ, თავიანთ სამომხმარებლო ხელშეკრულებებში<sup>95</sup> შეეტანათ აუცილებელი პუნქტები არბიტრაჟზე კანონიდან. ეს ქმნიდა კონფლიქტებისათვის ჩვეულებრივ გარემოს. არბიტრაჟის მომსახურების მიმწოდებლები დაინტერესებულნი იყვნენ, რომ თავიანთი კლიენტები ბედნიერები ჰყოლოდათ სასამართლო პროცესების მათი ინტერესების შესაბამისად წარმოებით. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ადვოკატი ან არბიტრაჟის ცენტრი არ იყო არაეთიკური ან არაკომპეტენტური, არბიტრაჟის გარემო მაინც იყო ერთგვარი ნაზავი ოპორტუნიზმის, განათლების ნაკლებობის, ეთიკური ნორმებისა და ჩაურევლობის კონტროლის დეფიციტისა.

## გ. სისხლის სამართლის არბიტრაჟი

კერძო არბიტრაჟზე კანონს ჰქონდა კონკურენცია საექვო წრეებთან: ქართულ კრიმინალურ სამყაროსთან. საქართველოს სისხლის სამართლის არბიტრაჟში დავების გადაწყვეტაში ჩაბმული იყვნენ ამ სამყაროს წევრები.<sup>96</sup> ეს კანონიერი ქურდები და მათი ხელქვეითები<sup>97</sup> ითვლებოდნენ ქართული საზოგადოების პატივცემულ წევრებად და მათ ხშირად უხმობდნენ სამეზობლო, საოჯახო და ბიზნესთან დაკავშირებული დავების გადაწყვეტაში დასახმარებლად.<sup>98</sup> დავების გადაწყვეტაში მათ მიერ განეული მომსახურება იყო უფრო ქმედითი და ატარებდა უფრო ეფექტური აღსრულების ღონისძიებების მუქარას, ვიდრე სასამართლოების ან არბიტრაჟის დანესებულებებისა.<sup>99</sup>

<sup>90</sup> Tsertsvadze, Commentary, ზემოაღნიშნული სქოლიო 77, 15, 16.

<sup>91</sup> იხ. Christopher P.M. Waters, *Who Should Regulate the Baku-Tbilisi-Ceyhan Pipeline*, 16 *Geo. Int'l Env'tl. L. Rev.* 403, 413 (2004) (citing Christopher P.M. Waters, Counsel In the Caucasus: Professionalization and Law in Georgia (2004)).

<sup>92</sup> იქვე.

<sup>93</sup> Christopher Waters, *Market Control and Lawyers in the Former Soviet Union*, 8 *J. L. Soc'y* 1, 7 (2007).

<sup>94</sup> კანონი კერძო არბიტრაჟზე – LOPA, ზემოაღნიშნული სქოლიო 699, Art. 7.

<sup>95</sup> Tkemaladze, *New Law*, ზემოაღნიშნული სქოლიო 733, 665.

<sup>96</sup> იხ., ზოგადად, Gavin Slade, *Reorganizing Crime: Mafia and Anti-Mafia in Post-Soviet Georgia*, (2013) (providing detailed history of the TIL in Georgia). (კანონიერი ქურდების დეტალური ისტორია საქართველოში). ზოგ შემთხვევაში, ისინი ხდებიან საკმარისად მძლავრნი ისე, რომ შეუძლიათ დანიშნონ მოსამართლეები. Avilova, ზემოაღნიშნული სქოლიო 43, 478, სქოლიო 90.

<sup>97</sup> ხელქვეითები მოხსენიებული იყვნენ ავტორიტეტებად. Avilova, ზემოაღნიშნული სქოლიო 43, იქვე, 478.

<sup>98</sup> იხ., მაგ. საქმე Case of Ashlarba v. Georgia, No. 45554/08, §4, *Eur. Ct. H.R.* at 7 (2014).

<sup>99</sup> ისინი ზოგჯერ აკისრებდნენ მაღალ გადასახადს თავიანთი მომსახურებისთვის, Avilova, ზემოაღნიშნული სქოლიო 43, 478.

ევროპული სასამართლოს 2014 წლის ივლისის გადაწყვეტილებაში დეტალურად არის გამოკვლეული საქართველოს კრიმინალური არბიტრაჟის ისტორია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის იმ ნაწილებთან კავშირში, რომლებიც დავის გადაჭრას კანონიერი ქურდების უფლებამოსილების გამოყენებით აცხადებდა კანონგარეშედ.<sup>100</sup> განმცხადებელი რამდენიმე სამეზობლო დავის გადაწყვეტით გასამართლებოდა დავის გადაწყვეტის უკანონო მექანიზმში ჩაბმისათვის.<sup>101</sup> ასეთი წვრილმანი, როგორც შეიძლება ეს საკითხები ყოფილიყო, ადგენდა კრიმინალურ აქტივობებს, ვინაიდან ისინი მოპასუხის კრიმინალურ ქსელში მონაწილეობის დამამტკიცებელ საბუთად გვევლინებოდა და, შესაბამისად, მოპასუხე იღებდა შვიდწლიანი პატიმრობის განაჩენს.<sup>102</sup> ადამიანის უფლებების ევროპული კომისიის სააპელაციო სასამართლომ დაამტკიცა დანაშაული და აღმოაჩინა, რომ საქართველოს კანონები, რომლებიც კრძალავდა დავების კრიმინალურ გადაწყვეტას, არ არღვევდა ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვის კონვენციას.<sup>103</sup>

#### IV. საქართველოს არბიტრაჟის ახალი კანონი

2010 წელს ძალაში შევიდა საქართველოს არბიტრაჟის ახალი კანონი.<sup>104</sup> საქართველოს კანონი არბიტრაჟზე მნიშვნელოვნად მისდევს შეერთებული შტატების კომისიის ტიპურ კანონს საერთაშორისო სავაჭრო არბიტრაჟზე<sup>105</sup> (ტიპური კანონი). შედეგად, საქართველოს არბიტრაჟის წესები, თუმცა რამდენიმე საყურადღებო გადახრით, ჰარმონიზებულია თითქმის 70-ამდე ერთან, მათ შორის მნიშვნელოვან სავაჭრო პარტნიორებთან, როგორებიცაა: თურქეთი, უკრაინა, სომხეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი და გერმანია.<sup>106</sup>

კანონი არბიტრაჟზე უზრუნველყოფს სასამართლოებს უფრო სასარგებლო და კონსტრუქციული როლით არბიტრაჟის რეჟიმში. საქართველოს სასამართლოებს ახლა პირველად აქვს აღსრულების იურისდიქცია, თუმცა ახალი კანონი ზღუდავს სასამართლოების ჩარევას არბიტრაჟის პროცესებში ინსტანციებამდე, რომლებიც სპეციფიკურად არის დადგენილი ტიპურ კანონში.<sup>107</sup> არბიტრაჟზე კანონის მე-9 მუხლი ადგენს, რომ სასამართლომ უნდა შე-

<sup>100</sup> *Ashlarba*, საქმე, ზემოაღნიშნული სქოლიო 98.

<sup>101</sup> იქვე, 3.

<sup>102</sup> იქვე, 2.

<sup>103</sup> იქვე, 10-13. სასამართლომ, აგრეთვე, დაასკვნა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის არბიტრაჟი იყო საბჭოთა სისტემის მემკვიდრეობა. იქვე, 6-7. კანონიერი ქურდების გამოყენების პრაქტიკა უთუოდ გავლენას ახდენდა კლიენტების მოლოდინზე, თუ როგორ გადაჭრიდნენ იურისტები სამართლებრივ დავებს და უთუოდ ზემოქმედებას ახდენდა ქართული არბიტრაჟის განვითარებაზე.

<sup>104</sup> საქართველოს კანონი არბიტრაჟის შესახებ (LoA), 13, (2.07.2009), საქართველოს პარლამენტის ოფიციალური გაზეთი (შემდგომში – LoA). 48-ე მუხლის თანახმად, კანონი ძალაში შევიდა 2010 წლის 1 იანვარს.

<sup>105</sup> U.N. Comm'n on Int'l Trade L., UNCITRAL Model Law on International Commercial Arbitration with Amendments as Adopted in 2006, U.N. Doc. A/40/17 (2006) [შემდგომში – Model Law]. UNCITRAL-ის ყველა დოკუმენტი მოდელური კანონის შესახებ ხელმისაწვდომია: <<http://www.uncitral.org/uncitral/en/index.html>>. UNCITRAL-ის თანახმად: ტიპური კანონი განკუთვნილია შტატების დასახმარებლად არბიტრაჟის პროცედურებზე თავისი კანონების რეფორმებისა და მოდერნიზების განსახორციელებლად, რათა მხედველობაში იქნეს მიღებული საერთაშორისო სავაჭრო არბიტრაჟის განსაკუთრებული მახასიათებლები და საჭიროებები. იგი ასახავს მსოფლიო კონსენსუსს საერთაშორისო არბიტრაჟული პრაქტიკის ძირითად ასპექტებზე, რომლებიც მიღებულია ყველა რეგიონის შტატებისა და მსოფლიოს სხვადასხვა სამართლებრივი და ეკონომიკური სისტემის მიერ. იქვე.

<sup>106</sup> იმ ქვეყნების სრული ჩამონათვალისთვის, რომლებმაც მიიღეს ტიპური კანონი, იხ. UNCITRAL-ის ვებგვერდი, <[http://www.uncitral.org/uncitral/en/uncitral\\_texts/arbitration/1985Model\\_arbitration\\_status.html](http://www.uncitral.org/uncitral/en/uncitral_texts/arbitration/1985Model_arbitration_status.html)>, ბოლოს შესწორდა 2015 წელს). განმარტებითი ბარათი საქართველოს არბიტრაჟის კანონპროექტზე, რომელიც მომზადდა საქართველოს საარბიტრაჟო კანონების ევროპულთან უკეთესი ჰარმონიზებისათვის. განმარტებითი ბარათი საქართველოს არბიტრაჟის კანონპროექტზე, 2009, 1 (ქართულ ენაზე, ავტორის ფაილზე), (შემდგომში – LoA, განმარტებითი ბარათი).

<sup>107</sup> კანონი არბიტრაჟზე ადგენს: „ამ კანონით მართულ საკითხებში სასამართლო არ ჩაერევა არავითარ საკითხში, გარდა საქმეებისა, რომლებიც სპეციალურად ამ კანონით არის უზრუნველყოფილი, LoA, ზემოაღნიშნული სქოლიო 1044, მე-6(2) მუხლი.

წყვიტოს მოქმედება და მხარეები გაგზავნოს არბიტრაჟში, თუ საქმეში არის ხელშეკრულება არბიტრაჟზე და მხარე დროულად მოითხოვს მას.<sup>108</sup> სასამართლოს ჩაურევლობა არბიტრაჟის მნიშვნელოვანი პრინციპია, რომელიც ხელს უწყობს ეფექტურობას<sup>109</sup> და კანონი არბიტრაჟზე ახდენს მიზანშეწონილ ბალანსს მიზნებსა და საჭიროებებს შორის იმ უსამართლობის შესაფერხებლად, რომელიც წარმოიშვა კერძო არბიტრაჟზე კანონის მოქმედებისას. ქვემოთ მოყვანილი პუნქტები განიხილავს ახალი კანონის უმნიშვნელოვანეს ნაწილებს.

## ა. კანონის ჩარჩოები

არბიტრაჟზე კანონის მიხედვით, ყველა საკითხი შეიძლება ვერ გადაწყდეს საარბიტრაჟო წესით. კანონი არბიტრაჟზე ზღუდავს საარბიტრაჟო ტრიბუნალს „კერძო ხასიათის ქონებრივი დავებისთვის, რომლებიც ემყარება მხარეების თანაბარ უფლებებს და, რომელთა გადაჭრაც მხარეებს თვითონ შეუძლიათ“.<sup>110</sup> ქართული სამოქალაქო კოდექსი განმარტავს *საკუთრებას* როგორც „ნებისმიერ საგანს, ისევე როგორც არამატერიალურ საკუთრებას, რომელსაც შეიძლება ფლობდნენ, იყენებდნენ და იცილებდნენ ფიზიკური და იურიდიული პირები“.<sup>111</sup> *საკუთრების* მოთხოვნა, სავარაუდოდ, ადგენს უფრო ფართო ჩარჩოებს, ვიდრე ტიპური კანონის მოთხოვნა კომერციული ურთიერთობიდან წარმოშობილ დავებზე.<sup>112</sup> თუმცა ტიპური კანონის შემმუშავებლებმა ფართო ინტერპრეტაცია მისცეს ტერმინს – *კომერციული*:<sup>113</sup> კონკრეტული საკითხები შეიძლება ჩაითვალოს *საკუთრებასთან* დაკავშირებულ დავებად და მაინც მოხვდეს ტიპური კანონის ფარგლებს გარეთ. ერთ-ერთი მაგალითი იქნებოდა პრეტენზიები ხელფასებზე დასაქმების კონტრაქტით.<sup>114</sup> გადმოცემული არ არის ისეთი ქართული საქმეები, რომლებიც შეიძლება განსაზღვრავდეს *საკუთრების* საზღვრებს ტიპური კა-

<sup>108</sup> იქვე, მე-9(1) მუხლი; საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (CPC), საქართველოს პარლამენტის ოფიციალური გაზეთი № 47-48, 31 დეკემბერი, 1997, მუხლები: 186-ე (1) (დ), 272-ე (ვ) (საქართველო), (შემდგომში – საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი). არბიტრაჟი მოქმედებს, თუ სასამართლო არ მიიჩნევს, რომ ხელშეკრულებას ძალა აქვს დაკარგული. საქმის შეწყვეტის მოთხოვნა არ იზღუდება ქართული არბიტრაჟებისთვის, მაგრამ უფრო მეტად საარბიტრაჟო გარჩევებისთვის სხვაგან ნებისმიერ ადგილას. ეს მუხლი შესწორდა 2015 წელს არბიტრაჟზე კანონის ტიპურ კანონთან ჰარმონიზების მიზნით. საქართველოს არბიტრაჟის კანონის შესწორებები, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური გაზეთი №3218, 1-ლი(3) მუხლი, 26 მარტი, 2015 (საქართველო). (შემდგომში – შესწორებები არბიტრაჟის კანონზე). იხ., აგრეთვე, Model law, ზემოაღნიშნული სქოლიო 105, მე-8 (1) მუხლი. საქმის არბიტრაჟზე მისამართავად არბიტრაჟზე კანონის საწყისი უზრუნველყოფა მოითხოვდა საარბიტრაჟო გარჩევების დაწყებას და არა, უბრალოდ, სათანადო საარბიტრაჟო ხელშეკრულების არსებობას. კანონი არბიტრაჟზე, ზემოაღნიშნული სქოლიო 103, მე-9 (1)-(2) მუხლი.

<sup>109</sup> Gary Born, *The Principle of Judicial Non-Interference in International Arbitral Proceedings*, 30 U. Pa. J. Int'l L. 999, 999 (2008-2009).

<sup>110</sup> კანონი არბიტრაჟზე, ზემოაღნიშნული სქოლიო 104, 1-ლი (2) მუხლი.

<sup>111</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (CC), საქართველოს პარლამენტის ოფიციალური გაზეთი (OGPG), 31, 24 ივლისი, 1997, 147-ე მუხლი (საქართველო), (შემდგომში – საქართველოს სამოქალაქო კოდექსი).

<sup>112</sup> odel law, ზემოაღნიშნული სქოლიო 105, 1-ლი მუხლი.

<sup>113</sup> ტერმინს „უნდა მიეცეს ფართო ინტერპრეტაცია ისე, რომ ფარავდეს კომერციული ხასიათის ურთიერთობებიდან წარმოშობილ ყველა საკითხს, იქნება ეს კონტრაქტით თუ არა“. იქვე, 1-ლი მუხლი, სქოლიო 3.

<sup>114</sup> UNICITRAL-ის ანალიტიკური კომენტარი პირველ მუხლთან დაკავშირებით ადგენს, რომ კომერციულის ფარგლებში „არ შედის შრომითი კონფლიქტები ანუ დასაქმებასთან დაკავშირებული დავები და ჩვეულებრივი მომხმარებლის საჩივრები, მიუხედავად მათი ბიზნესთან დამოკიდებულებისა“. შეერთებული შტატების გენერალური მდივანი, ანალიტიკური კომენტარი საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ ტიპური კანონის ტექსტის პროექტზე, 18, U.N. Doc. A/CN. 1985, 9/264, (შემდგომში – ტიპური კანონი Model Law, ანალიტიკური კომენტარი).

ნონის მიზნებისთვის, მაგრამ მიზანშეწონილია დავასკვნათ, რომ მას მიეცემოდა ფართო ინტერპრეტაცია.

არბიტრაჟის კანონის ფარგლებში უფრო მნიშვნელოვანი შეზღუდვა არის ის, რომ დავა უნდა იყოს *კერძო ხასიათის*. ეს შეზღუდვა არ ჩანს ტიპურ კანონში. არც კანონი არბიტრაჟზე და არც ნებისმიერი გამოქვეყნებული სასამართლო საქმე არ განმარტავს ამ მოთხოვნას. არბიტრაჟს დაქვემდებარებული ერთ-ერთი საქმე ეხებოდა უძრავი ქონების გამოსყიდვის უფლებასთან დაკავშირებულ დავას, მაგრამ არ უზრუნველყოფდა *კერძო ხასიათის* მოთხოვნის პარამეტრებს.<sup>115</sup> კვლავ რჩება მნიშვნელოვანი კითხვები: არის პროდუქციის ხარისხზე საჩივარი *კერძო ხასიათის* დავა? არის დასაქმებულის საჩივარი სახიფათო სამუშაო პირობებზე *კერძო ხასიათის* დავა?<sup>116</sup> სახელმწიფო სააგენტოებისადმი მითითებამ, ხელი მოაწერონ არბიტრაჟის ამ ჩარჩო ხელშეკრულებებს, შეიძლება შეზღუდოს *კერძო ხასიათის* მოთხოვნა.<sup>117</sup> თუ დავები სახელმწიფო სააგენტოების ჩართულობით ჩაითვლება *კერძო ხასიათის* დავებად, მაშინ შეიძლება სათანადო იყოს ფართო ინტერპრეტაცია.

ამგვარი ბუნდოვანი სტანდარტი შეიძლება ზღუდავდეს საერთაშორისო არბიტრაჟს საქართველოში. სასამართლოები არბიტრაჟზე დაქვემდებარებასთან დაკავშირებულ საკითხებს ჩვეულებრივად წყვეტენ საკუთარ ეროვნულ კანონზე დაყრდნობით, მიუხედავად მხარეებს შორის არსებული შეთანხმებისა.<sup>118</sup> იმის გამო, რომ კანონი არბიტრაჟზე იძლევა ბუნდოვან ფარგლებს საარბიტრაჟო დაქვემდებარებასთან დაკავშირებით, უცხოური მხარეები შეიძლება წუხდნენ, რომ მათი დავები დასრულდება ქართულ სასამართლოებში. ამ მიზეზით სასარგებლო იქნებოდა აქ სასამართლო ან საკანონმდებლო განმარტების მიცემა.

## ბ. საარბიტრაჟო ხელშეკრულების ფორმა

კანონი არბიტრაჟზე აფართოებს *კერძო* არბიტრაჟის კანონის მოთხოვნას და მოითხოვს საარბიტრაჟო ხელშეკრულებას წერილობითი ფორმით. ის ზედმინვენით მისდევს ტიპური კანონის წესებს საინტერესო მოდიფიკაციით. ორივე – კანონი არბიტრაჟზე და ტიპური კანონი – იძლევა ნებართვას საარბიტრაჟო ხელშეკრულების ნებისმიერ წერილობით ფორმაზე. მათ შორის ელექტრონულზე,<sup>119</sup> თუმცა კანონი არბიტრაჟზე ნებას რთავს, რომ, თუ რომელიმე მხარე არის ფიზიკური პირი ან ადმინისტრაციული სააგენტო, საარბიტრაჟო ხელშეკრულება უნდა იყოს წერილობითი ფორმით. აქ კანონი მოითხოვს *წერილობითის* უფრო შეზღუდულ განმარტებას, რაც უნდა მოიცავდეს სპეციფიკურ ინსტრუმენტს, ხელმოწერილ მხარეების მიერ.<sup>120</sup> ეს შეზღუდვა დაწესებულია მომხმარებელთა დაცვის მიზნით და არის მისასალმებელი გაუმჯობესება.<sup>121</sup>

<sup>115</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს საქმე №2B/---11---2011 (სრული ნომერი და თარიღი არ არის ხელმისაწვდომი).

<sup>116</sup> გაიხსენეთ, რომ დასაქმებასთან დაკავშირებული დავები, რომლებიც არის ტიპური კანონის ფარგლებს გარეთ, შეიძლება მოხდეს არბიტრაჟზე კანონის იურისდიქციაში საკუთრების დავებზე. მოდელური კანონი, ანალიტიკური კომენტარი, ზემოაღნიშნული სქოლიო 114.

<sup>117</sup> კანონი არბიტრაჟზე, ზემოაღნიშნული სქოლიო 4, მე-8 (8) მუხლი.

<sup>118</sup> იხ. Bernard Hanotiau, *What Law Governs the Issue of Arbitrability?*, 12 Arb. Int'l 391 (1996).

<sup>119</sup> Model law, ზემოაღნიშნული სქოლიო 105, მე-7 (4) მუხლი; კანონი არბიტრაჟზე, ზემოაღნიშნული სქოლიო 4, მე-8 (5) მუხლი. კანონი არბიტრაჟზე განსაზღვრავს „ელექტრონულ კომუნიკაციას“ მე-2 (1) (ბ) მუხლში. საარბიტრაჟო ხელშეკრულება ითვლება წერილობითად, თუ მისი შინაარსი ჩანერილია ნებისმიერი ფორმით, „საარბიტრაჟო ხელშეკრულების ან კონტრაქტის ფორმისაგან დამოუკიდებლად“. იქვე, მე-8 (4) მუხლი. კონტრაქტის ფორმირების მოთხოვნები ექვემდებარება საქართველოს სამოქალაქო კოდექსს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, ზემოაღნიშნული სქოლიო 111, 319–348-ე მუხლები.

<sup>120</sup> კანონი არბიტრაჟზე, ზემოაღნიშნული სქოლიო 104, Art. 8 (8).

<sup>121</sup> კანონი არბიტრაჟზე, განმარტებითი ბარათი, ზემოაღნიშნული სქოლიო 106, 9. კანონი არბიტრაჟზე, აგრეთვე, მოიცავდა განსაკუთრებულ წესს, როდესაც ორივე მხარე ფიზიკური პირია, მაგრამ არ-



კერძო არბიტრაჟზე კანონის მოქმედების პერიოდში ქართულმა სასამართლოებმა ჩამოაყალიბეს წერილობითი მოთხოვნების საკმაოდ მკაცრი ინტერპრეტაცია: თუ მხარეები გასაგებად არ დასთანხმდნენ წერილობით, ყველა ოფიციალური მოთხოვნის შემდეგ სასამართლოებმა შეიძლება ხელშეკრულება ჩათვალოს დაუშვებლად.<sup>122</sup> მკაცრი ინტერპრეტაცია იყო ლოგიკური პასუხი საარბიტრაჟო რეჟიმის ირგვლივ აღმოჩენილი უსამართლობისადმი. საარბიტრაჟო კანონის შესაბამისად, სასამართლოები აგრძელებდნენ ამ შეზღუდულ პრაქტიკას.<sup>123</sup> პრობლემის ნაწილი შეიძლებოდა ყოფილიყო საარბიტრაჟო კანონის მოთხოვნა, რომ ხელშეკრულებები მოიცავდეს სპეციფიკურ მითითებას შერჩეული ფორუმის საარბიტრაჟო წესებზე.<sup>124</sup> ეს მოთხოვნა იყო პრობლემური, ვინაიდან ის საშუალებას აძლევდა მხარეს ან განმხილველ სასამართლოს, განეცხადებინა საჩივარი, რომ კლაუზულა იყო არასაკმარისი, თუნდაც ყოფილიყო არბიტრაჟის პროვაიდერის ნათლად მაიდენტიფიცირებელი წერილობითი ხელშეკრულება, მაგრამ მისი წესებისადმი სპეციფიკური მითითების გარეშე. საარბიტრაჟო კანონის 2015 წლის შესწორებებმა გააფორმა ეს მოთხოვნა,<sup>125</sup> რომელმაც უნდა შეუწყოს ხელი საარბიტრაჟო ხელშეკრულებების უფრო მნიშვნელოვან სამართლებრივ მიღებას.

## გ. საარბიტრაჟო სასამართლოს შემადგენლობა და იურისდიქცია

### 1. დანიშვნა

არბიტრის დანიშვნა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა არბიტრაჟში.<sup>126</sup> დანიშვნის წესები და პროცესი მნიშვნელოვნად იმოქმედებს მხარეებისა და საზოგადოე-

---

ბიტრაჟის კანონში 2015 წელს შეტანილი შესწორებების შედეგად ამოიღეს ეს წესი. არბიტრაჟის კანონის შესწორებები, ზემოაღნიშნული სქოლიო 108, 1-ლი (2) მუხლი.

<sup>122</sup> *Tsertsvadze, Commentary*, ზემოაღნიშნული სქოლიო 77, 55-56 (თბილისის საქალაქო სასამართლო, საქმე №2,8139-09, 12 აპრილი, 2010 წელი (ხელშეკრულება, რომელიც ადგენს, რომ „კონტრაქტიდან გამომდინარე, ნებისმიერი დავა უნდა გადაწყდეს კერძო არბიტრაჟით“, აღმოჩნდა ძალადაკარგული).

<sup>123</sup> იქვე, 56 (ციტირება თბილისის საქალაქო სასამართლო, საქმე № 2,1263-11, 28 თებერვალი, 2011 წელი. ხელშეკრულება, სადაც იკითხება: არბიტრაჟის პროვაიდერი, შერჩეული მოსარჩელის მიერ, უნდა წყვეტდეს ნებისმიერ დავას, აღძრულს ან დაკავშირებულს მხარეებს შორის კონტრაქტთან მათ შორის დავებს კონტრაქტის იურიდიული ძალის შესახებ. იხ. აგრეთვე, *Tkemaladze, New Law*, ზემოაღნიშნული სქოლიო 73, 669-670 (თბილისის სააპელაციო სასამართლოს პრაქტიკა ხელშეკრულების არაქმედიტად აღიარებაზე გაურკვევლობის საფუძველზე). აღსანიშნავია, რომ პროვაიდერები მონადინებული არიან, ხელახლა გადანერონ საარბიტრაჟო ხელშეკრულება მისი ქმედითობის გასაუმჯობესებლად. ბათუმის არბიტრაჟის პერმანენტული სასამართლო თავისი საქმეების 17%-ში დაეხმარა მხარეებს საარბიტრაჟო ხელშეკრულების გადამუშავებაში, *Tsertsvadze, Commentary*, ზემოაღნიშნული სქოლიო 777, 61 სქოლიო 211.

<sup>124</sup> არბიტრაჟზე სანციის კანონის მე-2(2) მუხლი ადგენდა: „ამ კანონის მიზნებისთვის მხარეთა შორის ხელშეკრულება უნდა მოიცავდეს მითითებას იმ პერმანენტული საარბიტრაჟო დანესებულების არბიტრაჟის წესებზე, რომელთაც მიმართეს მხარეებმა დავის გადასაწყვეტად“. კანონი არბიტრაჟზე, ზემოაღნიშნული სქოლიო 103, მე-2(2) მუხლი.

<sup>125</sup> არბიტრაჟზე კანონის შესწორებები, ზემოაღნიშნული სქოლიო 1088, მუხლი 1-ლი (1) (ბ). სანციის კლაუზულა ჩანაცვლებული იყო ფორმულირებით, რომელიც მოითხოვდა, რომ სპეციფიკური არბიტრარული ფორუმის ნებისმიერი არჩევანი აუცილებლად უნდა მოიცავდეს იმ ფორუმის წესების გამოყენების არჩევას. იხ. კანონი არბიტრაჟზე, ზემოაღნიშნული სქოლიო 104, მე-2 (2) მუხლი. ჩასწორებული მე-2 (2) მუხლი ახლა უფლებას აძლევს მხარეებს, ჩაერთონ სპეციალურ (იზოლირებულ) არბიტრაჟში თავიანთი წესებით. იხ. განმარტებითი ბარათი საქართველოს არბიტრაჟზე კანონის ჩასწორების თაობაზე კანონპროექტი, სამუშაო ვჯგუფი კერძო კანონის რეფორმების საბჭოს პროცედურულ კანონზე, 15 დეკემბერი, 2014 წელი, <<http://parliament.ge/en/law/7666/15244>>, ბოლოს გადასინჯა 3 ივნისს, 2015 წელს (შემდგომში – განმარტებითი ბარათი). ეს ცვლილება სასარგებლო იქნება ბიზნესდავებისთვის.

<sup>126</sup> *Orkun Akseli, Appointment of Arbitrators as Specified in the Agreement to Arbitrate*, 20 *J. Int'l Arb.* 247, 247 (2003). არბიტრების დანიშვნა არის გადამწყვეტი, ვინაიდან ბევრ შემთხვევაში არბიტრი არ არის დაკავშირებული კანონთან ან პრეცედენტთან და უფრო მეტად მოქმედებს სამართლიანობისა და მიუკერძოებლობის საკუთარი გრძნობით. იხ. David Pierce, *The Federal Arbitration Act: Conflicting Interpretations of its Scope*, 61 *U. Cin. L. Rev.* 623, 1992, 625.

ბის მიერ სამართლიანობის მიღებაზე.<sup>127</sup> არბიტრაჟის კანონის თანახმად, მხარეებს თავისუფლად შეუძლიათ არბიტრების რაოდენობის განსაზღვრა კონტრაქტის დადების დროს. ხელშეკრულების არარსებობისას მათი რაოდენობა არის სამი.<sup>128</sup> მხარეებს თავისუფლად შეუძლიათ აირჩიონ არბიტრების შერჩევის ნებისმიერი მეთოდი. პრაქტიკულად, მხარეები იცავენ არბიტრაჟის მიერ შერჩეული პროვაიდერის სელექციის მეთოდს.<sup>129</sup> იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ ირჩევენ სელექციის მეთოდს, არბიტრაჟის კანონი იცავს ტიპური კანონის სტანდარტულ წესებს და უზრუნველყოფს, რომ თითოეულმა მხარემ დანიშნოს ერთი არბიტრი, ორივე არბიტრმა კი დანიშნოს მესამე. თუ რომელიმე არბიტრი არ დაინიშნა დროის მოთხოვნილ პერიოდებში, ქართული სასამართლოები რომელიმე მხარის მოთხოვნით განახორციელებს დანიშვნას, რომელიც არ გასაჩივრდება.<sup>130</sup>

არბიტრაჟის კანონი იცავს ტიპური კანონის აკრძალვას ეროვნების მიზეზით არბიტრის დანიშვნის დაბრკოლებაზე,<sup>131</sup> რაც ხელს უნდა უწყობდეს საერთაშორისო არბიტრაჟისადმი ნდობას საქართველოში, ვინაიდან ეს უცხოელებს მისცემს საერთაშორისო არბიტრაჟში ჯგუფურად მომსახურების საშუალებას.<sup>132</sup>

## 2. აცილება

არბიტრის აცილების პროცედურები არის აუცილებელი ბოროტება, თუმცა მათ მოქმედებას „გამოსაშვები სარქველის“ ხასიათი აქვს არბიტრაჟის პროცესის ერთიანობის საგარანტიოდ; ისინი, აგრეთვე, შეიძლება გამოიყენებოდეს არბიტრაჟის პროცესის საბოტაჟად ან მისი წინსვლის შესაფერხებლად.<sup>133</sup> აცილების პროცედურების გათვალისწინებისას მნიშვნელოვანია იმის აღიარება, რომ საქართველო პატარა ქვეყანაა და მხარეები და არბიტრები, ალბათ, იცნობენ ერთმანეთს. ეს მხარეებს აძლევს თავიანთი არბიტრის არჩევანის უკეთ შეფასების შესაძლებლობებს, მაგრამ, ამავე დროს, შეიძლება ინვესტორების კონფლიქტების რისკს ან მიუკერძოებლობას. მიუკერძოებელი არბიტრების დანიშვნა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია ქართული არბიტრაჟისთვის. კერძო არბიტრაჟზე კანონის პერიოდში იყო ეჭვი, რომ არბიტრები იყვნენ მიკერძოებულები.

არბიტრაჟის კანონის აცილების ახალმა პროცედურებმა შეიძლება ეს საკითხი შეარბილოს. მისი აცილების წესები იგივეა, რაც ტიპური კანონის წესები ერთი გამონაკლისით: ერთი არბიტრის შემთხვევაში, აცილების მომთხოვნ მხარეს შეუძლია, პეტიციით მიმართოს უშუალოდ სასამართლოს და არ არის საჭირო აცილების წარდგენა ტრიბუნალისთვის.<sup>134</sup> ეს არის

<sup>127</sup> ორივე მხარის უფლებამოსილება, თანაბარი მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტილების მიმღების შერჩევაში, სამართლიანი არბიტრაჟული ფორუმის მნიშვნელოვანი მომენტია. იხ. 3 Ian Macneil, *Federal Arbitration Law: Agreements, Awards, and Remedies under the Federal Arbitration Act §27:3 (1995 & Supp. 1997)*.

<sup>128</sup> LoA, ზემოაღნიშნული სქოლიო 104, მე-10 მუხლი.

<sup>129</sup> *Tsertsvadze, Commentary*, ზემოაღნიშნული სქოლიო 77, 104. ქართული არბიტრაჟის ცენტრების უმეტესობის წესები უბრუნდება ერთი არბიტრის შერჩევას პროვაიდერის მიერ. იხ., მაგ., *Rules of Arbitration Proceedings, Dispute Resolution Center, Ltd. (DRC), R. 5.3*, <[http://www.drc-arbitration.ge/index.php?option=com\\_content&view=category&id=47&Itemid=11&lang=en](http://www.drc-arbitration.ge/index.php?option=com_content&view=category&id=47&Itemid=11&lang=en)> (ბოლოს განხილული 11 სექტემბერს, 2015 წელს), (შემდგომში – DRC არბიტრაჟის წესები), (requiring DRC დანიშვნის განსახორციელებლად, თუ საქმეს ჰყავს ერთი არბიტრი). DRC საქართველოს ერთ-ერთი უმსხვილესი პროვაიდერია, რომელიც მართავდა 1334 საარბიტრაჟო საქმეს 2013 წელს. იქვე (ჰიპერკავშირი „ჩვენ შესახებ“, შემდეგ ჰიპერკავშირი „სტატისტიკა“).

<sup>130</sup> კანონი არბიტრაჟზე, ზემოაღნიშნული სქოლიო 104, მე-11 მუხლი. პრაქტიკულად სასამართლოს დანიშვნა არის იშვიათი. *Tsertsvadze, Commentary*, ზემოაღნიშნული სქოლიო 777, 106.

<sup>131</sup> Model law, ზემოაღნიშნული სქოლიო 1311, მე-11 (1) მუხლი.

<sup>132</sup> Model law, ანალიტიკური კომენტარი, ზემოაღნიშნული სქოლიო 114, at 28, 1.

<sup>133</sup> Christopher Koch, *Standards and Procedures for Disqualifying Arbitrators*, 20 J. Int'l Arb. 325, 325 (2003).

<sup>134</sup> კანონი არბიტრაჟზე, ზემოაღნიშნული სქოლიო 1044, მე-13 (3) მუხლი. სასამართლოს ყველა გადაწყვეტილება არის საბოლოო და არ ექვემდებარება გასაჩივრებას. იქვე; Model law, ზემოაღნიშნული

მნიშვნელოვანი ცვლილება კერძო არბიტრაჟზე კანონის წესებში, რომლებიც სასამართლოს არ აძლევდა აცილების პროცესზე ზედამხედველობის ნებას.<sup>135</sup> აპელაციის უფლება მხარეებს უნდა აძლევდეს მეტ დამაჯერებლობას, რომ ნაფიც მსაჯულთა ჟიური იქნება მიუკერძოებელი.<sup>136</sup> მან შეიძლება, გააძლიეროს სამართლებრივი მხარდაჭერა არბიტრაჟისთვის. თუ მოსამართლეებს ექნებათ არბიტრების დანიშვნის, დამტკიცებისა და აცილების ნება, ისინი უფრო მეტად შეიტანენ წვლილს ნაფიც მსაჯულთა ჟიურის წარმატებაში.

ამის გარდა, საქართველოს არბიტრაჟის ასოციაციამ (GAA) 2014 წელს დაამტკიცა არბიტრების ეთიკის კოდექსი. GAA-ის ეთიკის კოდექსი<sup>137</sup> დაფუძნებულია 2003 წლის ABA/AAA (ამერიკის ადვოკატთა ასოციაცია/ამერიკის არბიტრაჟის ასოციაცია) ეთიკის კოდექსზე არბიტრებისთვის კომერციულ დავებში.<sup>138</sup> ABA/AAA კოდექსის პირველი ცხრა კანონი თითქმის მთლიანად მიღწეულ იქნა საქართველოს არბიტრაჟის ასოციაციის კოდექსში.<sup>139</sup> ეს წესები არის ბრწყინვალე დასაწყისი არბიტრების პროფესიონალიზაციისთვის საქართველოში და შეიძლება ხელი შეუწყოს ნდობის განმტკიცებას არბიტრაჟში.<sup>140</sup>

---

სქოლიო 1055, მე-13(3) მუხლი; საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, ზემოაღნიშნული სქოლიო 108, 356-ე<sup>15</sup>(6) მუხლი.

<sup>135</sup> კანონი კერძო არბიტრაჟზე, ზემოაღნიშნული სქოლიო 68, მე-15 მუხლი. არბიტრაჟის პროვადერი ფლობდა საბოლოო გადაწყვეტილებას ყველა აცილებაზე.

<sup>136</sup> არბიტრაჟზე კანონის (LoA) მე-6 მუხლი მოითხოვს, რომ ტრიბუნალი იყოს დამოუკიდებელი თავის ქმედებებში. LoA, ზემოაღნიშნული სქოლიო 104, მე-6 მუხლი. თუმცა გაურკვეველად, ეს მანდატი მაინც შეიძლება უზრუნველყოფდეს მხარეებს სასამართლოში გასაჩივრების დამატებითი უფლებებით.

<sup>137</sup> საქართველოს არბიტრაჟის ასოციაციის (GAA) არა აქვს ვებგვერდი, აქვს ფეისბუქის გვერდი, Georgian Arbitration Association (GAA), facebook, <<https://www.facebook.com/GAAtbilisi?fref=ts>>, (უკანასკნელად განხილულ იქნა 12 სექტემბერს, 2015 წელს), (შემდგომში მოხსენიებული იქნება როგორც GAA ფეისბუქგვერდი). GAA ეთიკის კოდექსი ხელმისაწვდომია: <<http://edu.gba.ge/wp-content/uploads/2014/06/Code-of-Ethics-for-Arbitrators.pdf>>, (უკანასკნელად განხილულ იქნა 12 სექტემბერს, 2015 წელს).

<sup>138</sup> Code of Ethics For arbitrators in Commercial Disputes, American Bar Association and American Arbitration Association (2003), <[https://www.adr.org/aaa/ShowProperty?nodeId=/UCM/ADRSTG\\_003867](https://www.adr.org/aaa/ShowProperty?nodeId=/UCM/ADRSTG_003867) (last visited Sept. 12, 2015)>, (უკანასკნელად განხილულ იქნა 12 სექტემბერს, 2015 წელს) (შემდგომში დ 2003 /კოდექსი).

<sup>139</sup> საბოლოოდ ABA/AAA Cannon, რომელიც განსაზღვრავს გამონაკლისებს არანეიტრალური არბიტრაჟისათვის, იყო უარყოფილი, როგორც შეუსაბამო. მხარის მიერ დანიშნული არბიტრები სამმხრივ კომისიაზე შეერთებულ შტატებში ზოგჯერ ითვლებოდნენ როგორც „არანეიტრალები“. Olga K. Byrne, *A New Code of Ethics for Commercial Arbitrators: The Neutrality of Party-Appointed Arbitrators on a Tripartite Panel*, 30 Fordham Urb. L.J. 1815 *passim* (2002-2003); Code of Ethics For arbitrators in Commercial Disputes, Canon VII A(1) (1977). საპირისპიროდ, საერთაშორისო არბიტრაჟის ეთიკის ნორმები მოიცავს ყველა არბიტრს, რომლებიც მოქმედებენ სრულიად დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად, გამონაკლისების გარეშე. იქვე, 1815-1816, 1825. 2003 ABA/AAA კოდექსი შეეცადა შეერთებული შტატების სტანდარტების მიახლოებას საერთაშორისო სტანდარტებთან საერთაშორისო ნორმების, როგორც პრეზუმფციის დარღვევის, ჩართვის გზით, მაგრამ მხარეებს მაინც აძლევდა საშუალებას, დასთანხმებოდნენ არანეიტრალური არბიტრების დასაქმებას, როგორც მოცემულია X კანონში. სხვა ქვეყნების მსგავსად, საქართველო არ აღიარებს არანეიტრალურ არბიტრებს. ამკარა, არაორაზროვანი სტანდარტები არის ყველაზე მიზანშეწონილი საქართველოსათვის.

<sup>140</sup> საქართველოს საარბიტრაჟო ასოციაცია (GAA) არის არა ლიცენზიის გაცემის უფლების ორგანოს, არამედ ნებაყოფლობითი პროფესიონალური ორგანიზაცია. მიუხედავად ამისა, GAA დაინტერესებულია ამ წესების გავრცელებით და აღსრულებით. მთელი 2014 წლის განმავლობაში GAA-მ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციასთან თანამშრომლობით მოაწყო სემინარები ადვოკატებისა და სხვა პირების კოდექსზე ინფორმირების მიზნით. იხ. GAA-ს ფეისბუქგვერდი, ზემოაღნიშნული სქოლიო 137. კანონის ძალაში შესვლისას კოდექსი იყო კონსულტაციური ხასიათის. GAA გეგმავს მის გადაქცევას განხორციელებადად მომავალში.

## დ. იურისდიქცია

კანონი არბიტრაჟზე ითვალისწინებს ტიპურ კანონში არსებული *კომპეტენცია-კომპეტენცია* დოქტრინის სრულ აღიარებას.<sup>141</sup> *კომპეტენცია-კომპეტენცია* დოქტრინის თანახმად, არბიტრაჟის ტრიბუნალი უფლებამოსილია, განსაზღვროს, აქვს თუ არა იურისდიქცია არსებულ დავაზე.<sup>142</sup> ტრიბუნალის საკუთარი იურისდიქციით დადგენილების გამოტანის უფლებამოსილება ფუნდამენტური საკითხია არბიტრაჟისათვის და იგი ითვლება ტიპური კანონის ერთ-ერთ საყრდენად.<sup>143</sup> ამის გარეშე არბიტრაჟის პროცესი ადვილად შეფერხდებოდა მხარისათვის იურისდიქციული საკითხების სასამართლოში წამოჭრით.<sup>144</sup>

არბიტრაჟზე კანონი აგრეთვე იღებს ტიპური კანონის ზედმინევიტ მნიშვნელოვან *გამოყოფადობის* პრინციპს.<sup>145</sup> *გამოყოფადობის* პრინციპი ადგენს, რომ ხელშეკრულება საკითხის არბიტრაჟზე დასაყენებლად, ფაქტობრივად, ცალკეული სამართლებრივი ხელშეკრულებაა, გამომდინარე ძირითადი კონტრაქტიდან, რომელსაც იგი ერთვის. ამრიგად, თუ ძირითადი ხელშეკრულება აღმოჩნდება იურიდიულად ძალადაკარგული, ხელშეკრულება საკითხის არბიტრაჟზე დასაყენებლად *კანონის ძალით* არ იქნება იურიდიულად ძალადაკარგული. ტრიბუნალი ინარჩუნებს იურისდიქციას ასეთი გადანყვეტილების გამოსატანად.<sup>146</sup> გამოყოფადობის გარეშე იურიდიული ძალის

<sup>141</sup> კანონი არბიტრაჟზე, ზემოაღნიშნული სქოლიო 104, მე-16 მუხლი; Model law, ზემოაღნიშნული სქოლიო 1055, მე-16 მუხლი.

<sup>142</sup> C. Ryan Reetz, *The Limits of the Competence-Competence Doctrine in the United States Courts*, 5 Disp. Resol. Int'l 5, 5 (2011).

<sup>143</sup> Peter Binder, *International Commercial Arbitration and Conciliation in UNCITRAL Model Law Jurisdictions* 214 (3<sup>rd</sup> ed., 2010). საერთაშორისო არბიტრაჟის წესების უმრავლესობა არბიტრაჟულ ტრიბუნალს აძლევს საკუთარი იურისდიქციით დადგენილების გამოტანის საშუალებას. იხ. მაგალითად, Am. Arbitration Ass'n, *Commercial Arbitration Rules and Mediation Procedures*, 13 (2013) <[https://www.adr.org/aaa/ShowProperty?nodeId=UCM/ADRSTG\\_004103](https://www.adr.org/aaa/ShowProperty?nodeId=UCM/ADRSTG_004103)>, (შემდგომში – წესები). შეერთებული შტატების რვა შტატს, სხვათა შორის, მიღებული აქვს ტიპური კანონის მე-16 მუხლი, ხოლო *კომპეტენცია-კომპეტენცია* დოქტრინა, საზოგადოდ, მიღებულია შეერთებულ შტატებში. რიცი, ზემოაღნიშნული სქოლიო 142, 6.

<sup>144</sup> ტიპური კანონის მე-8 (1) მუხლი და არბიტრაჟზე კანონის მე-9 (1) მუხლი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356-ე<sup>16</sup> მუხლთან ერთად სასამართლოს აძლევს იურისდიქციური გადანყვეტილების ვაკეების უფლებას მაშინაც კი, როდესაც საკითხი ნოტიფიცირებულია როგორც საარბიტრაჟო ხელშეკრულების საგანი. მაშინ, როდესაც მუხლები სასამართლოსგან მოითხოვს აცილებას, თუ ხელშეკრულება არ არის ძალადაკარგული, ისინი, ამავე დროს, ეწინააღმდეგებიან *კომპეტენცია-კომპეტენციის* ძირითად იდეას გადანყვეტილების გამოტანის უფლებამოსილების ტრიბუნალიდან სასამართლოზე გადაცემით. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, *ზემოაღნიშნული* სქოლიო 108, 186-ე, 272-ე მუხლები. სასამართლოების დაბრკოლება საწყისი იურისდიქციით გადანყვეტილების გამოტანის განხორციელებაში მითითებულია როგორც *კომპეტენცია-კომპეტენციის* ნეგატიური ზემოქმედება. John J. Barcelo III, *Who Decides the Arbitrators' Jurisdiction? Separability and Competence-Competence in Transnational Perspective*, 36 Vand. J. Transnat'l L. 1115, 1124 (2003). ამ ნეგატიური ზემოქმედების საუკეთესო შედეგი არის ფრანგული კანონი. იქვე, 1124-1126 (ციტირება: სამოქალაქო პროცესების ფრანგული კოდექსის 1458-ე მუხლი). ზოგი იურისდიქცია ნაწილობრივ მიმართულია ნეგატიური ზემოქმედებისკენ, როცა მე-8 მუხლს განმარტავენ როგორც მუხლს, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, უზრუნველყოფს ხელშეკრულების არსებობისა და მისი კანონიერების სამართლებრივ დადასტურებას. იქვე, 1128, სქოლიო 55, 1129, სქოლიო 62 (მითითება შვეიცარიაზე, ჰონკონგსა და ონტარიოზე). შეერთებულმა შტატებმა უარყო *კომპეტენცია-კომპეტენციის* დოქტრინის ნეგატიური ეფექტი ჩიკაგო – კაპლანის საქმის პირველ ოფციონში, 514, აშშ, 938 (1995), მაგრამ, ამავე დროს, აგრძელებს *კომპეტენცია-კომპეტენციის* დოქტრინის ძირითადი ანუ დადებითი ეფექტის აღიარებას. რიცი, ზემოაღნიშნული სქოლიო 142, 6.

<sup>145</sup> კანონი არბიტრაჟზე, ზემოაღნიშნული სქოლიო 1044, 16-ე(1) მუხლი; Model law, ზემოაღნიშნული სქოლიო 1055, მე-16 (1) მუხლი; *Explanatory Note by the UNCITRAL Secretariat on the 1985 Model Law on International Commercial Arbitration*, 25 (2006), <[http://www.uncitral.org/pdf/english/texts/arbitration/ml-arb/07-86998\\_Ebook.pdf](http://www.uncitral.org/pdf/english/texts/arbitration/ml-arb/07-86998_Ebook.pdf)> (შემდგომში ტიპური კანონის განმარტებითი შენიშვნა).

<sup>146</sup> იხ. Arthur Nussbaum, *The "Separability Doctrine" in American and Foreign Arbitration*, 17 N.Y.U. L. Q. Rev. 609 (1939-1940) (providing an early discussion on separability doctrine). (უზრუნველყოფს ადრეულ დისკუსიას გამოყოფადობის დოქტრინაზე).

არმქონე კონტრაქტის მართვა არბიტრის მიერ დაასუსტებდა მის უფლებამოსილებას, გამოეტანა გადაწყვეტილება, რომლის შედეგიც ლოგიკურად ჩიხში შევიდოდა.<sup>147</sup> გამოყოფადობა მუშაობს კომპეტენცია-კომპეტენციასთან ერთად ტრიბუნალის ავტონომიის შესანარჩუნებლად. კომპეტენცია-კომპეტენციის ანალოგიურად ეს პრინციპი ამჟამად მტკიცედ არის დამკვიდრებული საერთაშორისო არბიტრაჟში.<sup>148</sup> ქართული სასამართლოები მხარს უჭერენ ორივე პრინციპს.<sup>149</sup>

## ე. დროებითი ღონისძიებები

კერძო არბიტრაჟზე კანონის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაკლია დროებითი ღონისძიებების არარსებობა.<sup>150</sup> შედეგად, მხარეებისთვის არ იყო არავითარი იურიდიული დაცვის საშუალება სასამართლო აკრძალვის შემთხვევაში არსებული მდგომარეობის შესანარჩუნებლად ან განუწყვეტელი ზიანის შესაჩერებლად, ან აქტივების შესანარჩუნებლად. სასამართლოებს ჰქონდათ დროებითი შემწეობის პირობები,<sup>151</sup> მაგრამ, როგორც ჩანდა, კანონი კერძო არბიტრაჟზე თავიდან არიდებდა სასამართლოს იურისდიქციას, თუ ორივე მხარე არ თანხმდებოდა უარის გამოცხადებაზე ან არბიტრაჟზე ხელშეკრულება არ იყო ძალადაკარგული.<sup>152</sup> დროებითი შემწეობის არარსებობა კერძო არბიტრაჟზე კანონით მხარეებისთვის იყო კიდევ ერთი დაბრკოლება არბიტრაჟის არჩევაში.

კანონი არბიტრაჟზე უზრუნველყოფს დროებით ღონისძიებებს, ნაწილობრივ ტიპური კანონის 2006 წლის ვერსიის მე-17 მუხლის შესაბამისად. საქართველოს არბიტრაჟის არსებობის განმავლობაში დროებითი ღონისძიებები ამჟამად ნებადართულია: (1) არსებული მდგომარეობის შესანარჩუნებლად ან აღსადგენად, (2) მხარისათვის ან თვით არბიტრაჟის პროცესისათვის ზიანის პრევენციისთვის,<sup>153</sup> (3) რესურსების შესანარჩუნებლად, რომლისგანაც შეიძლება შესრულდეს არბიტრაჟის გადაწყვეტილება ან (4) მტკიცებულების შესანარჩუნებლად.<sup>154</sup> მხარემ შეიძლება მიმართოს ტრიბუნალს ნებისმიერ დროს საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე დროებითი შემწეობის თაობაზე. წესები დიდი ტვირთია განმცხადებელი მხარისთვის. მხარემ უნდა აჩვენოს „დამაჯერებლობა, რომ ზიანი ადეკვატურად ვერ გამოსწორდება სასამართლოს გადაწყვეტილებით ზარალის ანაზღაურებაზე, თუ არ იქნება მიცემული სამართლებრივი დაცვის საშუალება და რომ ზიანი „მნიშვნელოვნად გადაწონის“ ზიანს მონინალმდე-

<sup>147</sup> Alan Scott Rau, *The Arbitrability Question Itself*, 10 Am. Rev. Int'l Arb. 287, 341 (1999); Alan Scott Rau, *Everything You Really Needed to Know About "Separability" in Seventeen Simple Propositions*, 14 Am. Rev. Int'l Arb. 1, 81-82 (2003).

<sup>148</sup> Kaj Hober & Annette Magnussen, *The Special Status of Agreements to Arbitrate: The Separability Doctrine; Mandatory Stay of Litigation*, 2 Disp. Resol. Int'l 56, 56 (2008). *But ob.* Model Law Explanatory Note, *supra* note 145, 25 („ვინაიდან 2003 წლის კონცეფციები ჯერ კიდევ არ არის აღიარებული“). გამოყოფადობის დოქტრინა დამტკიცებული იყო შეერთებულ შტატებში სხვადასხვა ტერმინოლოგიის გამოყენებით. *Prima Paint Corp. v. Flood & Conklin Mfg. Co.*, 388 U.S. 1967, 395. The U.S. Supreme Court later doubled down on separability in *Rent-A-Center, West, Inc. v. Jackson*, 561 U.S. 2010, 63. *Horton D.*, *Mass Arbitration and Democratic Legitimacy*, 85 U. Colo. L. Rev. 459, 2014, 487, (reviewing Margaret Jane Radin, *Boilerplate: The Fine Print, Vanishing Rights, and the Rule of Law*, 2013).

<sup>149</sup> *Tsertsvadze, Commentary*, ზემოაღნიშნული სქოლიო 77, 96.

<sup>150</sup> მიუხედავად უფლებამოსილების არარსებობისა, ერთ-ერთი ექსპერტი ამტკიცებს, რომ ქართული არბიტრაჟის ცენტრები ზოგჯერ გამოსცემდნენ დროებით ღონისძიებებს არბიტრაჟის ტრიბუნალის კონსტიტუციამდე, იქვე, 140.

<sup>151</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, ზემოაღნიშნული სქოლიო 108, 198-ე მუხლი.

<sup>152</sup> კანონი კერძო არბიტრაჟზე, ზემოაღნიშნული სქოლიო 688, 30-ე მუხლი.

<sup>153</sup> ტექსტი შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო სასამართლო პროცესის აკრძალვის გასამართლებლად, Model law, ზემოაღნიშნული სქოლიო 105, მე-17 (2) (ბ) მუხლი; U.N. Comm'n on Int'l Trade L., *Rep. on the Work of its Thirty-Ninth Session*, 92-95, U.N. Doc. A/61/17 (2006) (შემდგომში – 2006 UNCITRAL-ის მოხსენება). ენა ნაგულისხმევი იყო მხარეების მიერ კრეატიული ან შემაფერხებელი ტაქტიკისათვის გამოსაყენებლად არბიტრალური პროცესის დაბრკოლების მიზნით, იქვე, 94.

<sup>154</sup> კანონი არბიტრაჟზე, ზემოაღნიშნული სქოლიო 104, მე-17 მუხლი.

გე მხარისადმი.<sup>155</sup> ამასთანავე, უნდა იყოს „მიზანშეწონილი შესაძლებლობა“, რომ განმცხადებელი მხარე წარმატებული იქნება საჩივრის არსთან დაკავშირებით.<sup>156</sup> ეს პირობები შეესაბამება ტიპურ კანონს. ტიპური კანონის შემმუშავებლები თვლიდნენ, რომ ეს მაღალი სტანდარტი აუცილებელი იყო, რათა ტიპური კანონი შესაბამისობაში ყოფილიყო ბევრ ეროვნულ იურიდიულ სისტემასთან.<sup>157</sup>

ტიპური კანონის 2006 წლის წესები აგრეთვე მოიცავს ცალმხრივ ხელმისაწვდომობას სასამართლოს წინასწარ ბრძანებაზე, რომლის მიზანია, თავიდან იქნეს აცილებული იმედგაცრუება მოთხოვნილ დროებით შემწეობაზე.<sup>158</sup> იმისათვის, თუ რატომ შეიძლება მხარეს დასჭირდეს ეს, არსებობს მნიშვნელოვანი საფუძვლები, როგორებიცაა, მაგალითად, სახსრების გადინების ან ქონების განადგურების პრევენცია. არბიტრაჟზე კანონი ამ წესს არ შეიცავს, მაგრამ მხარეები ინარჩუნებენ ქართული სასამართლოსგან დროებითი დაცვის საშუალების მიღების უფლებას.<sup>159</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, მხარეებმა შეიძლება მიიღონ დროებითი სამართლებრივი დაცვის სხვადასხვა საშუალება,<sup>160</sup> ცალმხრივად განსაკუთრებულ გადაუდებელ შემთხვევებშიც კი, ოფიციალური სარჩელის შეტანამდე.<sup>161</sup> ამის გამო ცალმხრივი წინასწარი სასამართლო ბრძანების არარსებობა არბიტრაჟის კანონში არ უნდა იწვევდეს მნიშვნელოვან პრობლემებს. ფაქტობრივად, ამ უფლებამოსილებების წინააღმდეგობრივი ბუნება, ალბათ, უარყოფითად იმოქმედებდა არბიტრაჟის რეპუტაციაზე საქართველოში.<sup>162</sup>

საინტერესოა აღვნიშნოთ, რომ დროებითი დაცვის მოთხოვნის სიმძიმე ქართულ სასამართლოებში უფრო ნაკლებია, ვიდრე არბიტრაჟულ ტრიბუნალში. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მოითხოვს, მხარეებმა დაამტკიცონ „გონივრული საფუძველი“, რათა სასამართლომ დაიჯეროს, რომ მისი გადანყვეტილება იქნებოდა უშედეგო ამ სასამართლო დაცვის გარეშე.<sup>163</sup> არის არბიტრაჟზე კანონის პირველი ელემენტის ანალოგიური – ზიანი ადეკვატურად ვერ გამოსწორდება სასამართლოს გადანყვეტილებით ზარალის ანაზღაურებაზე, თუ არ იქნება მიცემული სამართლებრივი დაცვის საშუალება,<sup>164</sup> თუმცა სამოქალაქო საპროცესო კოდექსს, განსხვავებით არბიტრაჟზე კანონისაგან, არა აქვს დამატებითი მოთხოვნა, რომ, თუ არ იქნება მიცემული სამართლებრივი დაცვის საშუალება, ზიანი „მნიშვნელოვნად გადანონის“ ზიანს

<sup>155</sup> იქვე, მე-18 (1) (ა)-(ბ) მუხლი.

<sup>156</sup> იქვე, მე-18 (1) (გ) მუხლი.

<sup>157</sup> 2006 წლის UNCITRAL-ის ანგარიში, ზემოაღნიშნული სქოლიო 153, 99; ეს ერთგვარად ანალოგიურია წინასწარი სამართლებრივი დაცვის მოთხოვნებისა შეერთებული შტატების ფედერალურ სასამართლოებში. იხ., მაგალითად, *Winter v. Nat. Res. Def. Council, Inc.* 555 U.S. 7 (2008).

<sup>158</sup> Model law, ზემოაღნიშნული სქოლიო 105, მე-17 მუხლის ბ და გ პუნქტები.

<sup>159</sup> კანონი არბიტრაჟზე, ზემოაღნიშნული სქოლიო 104, 23-ე მუხლი.

<sup>160</sup> Georgia Civ. Proc. C., ზემოაღნიშნული სქოლიო 111, 198-ე მუხლი. დაცვის საშუალებები, სხვათა შორის, მოიცავს ქონების კონფისკაციას ან ქმედებების აკრძალვას; იქვე, 198-ე (i)(2) მუხლი.

<sup>161</sup> იქვე, 192-ე-193-ე მუხლები. შეერთებული შტატების ანალოგია არის სამოქალაქო პროცესების ფედერალური წესები, 65(ა) (წინასწარი სასამართლო აკრძალვა) და სამოქალაქო პროცესების ფედერალური წესები, 65(ბ) (დროებითი სასამართლო აკრძალვა შეწყობინების გარეშე). არბიტრაჟზე კანონის საწყისი რედაქციით, როგორც ჩანს, საერთაშორისო არბიტრაჟისთვის გამორიცხულია ცალმხრივად დაცვა განსაკუთრებულ შემთხვევებში. კანონი არბიტრაჟზე, ზემოაღნიშნული სქოლიო 104, 23-ე (3) მუხლი. მიუხედავად იმისა, რომ ეს არ არის იდეალური, გამორიცხვას შეიძლება, გაეთანაბრებინა თამაშის წესები საერთაშორისო არბიტრაჟში, ვინაიდან უფრო მეტია ალბათობა, რომ შიდასახელმწიფოებრივი მხარე მიმართავდა სწორედ ასეთ ცალმხრივ დაცვას ქართული სასამართლოდან. არბიტრაჟის კანონზე 2015 წლის შესწორებებით ნებადართულია საგანგებო მდგომარეობისას ცალმხრივი სარჩელები ქართულ სასამართლოებში. არბიტრაჟზე კანონის შესწორებები, ზემოაღნიშნული სქოლიო 108, 1-ლი (10) მუხლი; განმარტებითი ბარათი, ზემოაღნიშნული სქოლიო 125, § (ა) (ბ.გ.); (შესწორება: „მიეცეს სასამართლოს უფლებამოსილება, მიმართოს დროებით ღონისძიებებს მხარის მოთხოვნისას სარჩელის შეტანამდეც კი“).

<sup>162</sup> Nikoloz Chomakhidze, *Provisional Measures in International Arbitration*, Alt. Disp. Resol. Y.B. Tbilisi St. U., 108, 128 (2013).

<sup>163</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, ზემოაღნიშნული სქოლიო 108, 191-ე მუხლი.

<sup>164</sup> კანონი არბიტრაჟზე, ზემოაღნიშნული სქოლიო 104, მე-18 (1) (ა) მუხლი.

მონინალმდევე მხარისადმი, ან, რომ განმცხადებელმა მხარემ უნდა აჩვენოს წარმატების მიზანშეწონილი შესაძლებლობა საჩივრის არსთან დაკავშირებით. ამასთანავე, ქართული სახელმწიფო ორგანოები არ არიან მონდომებულები ტრიბუნალების დროებითი ღონისძიებების აღსრულებისათვის. ამ არმოსურნეობისა და მძიმე დატვირთვის პირობები იწვევს არბიტრაჟული ტრიბუნალის დაბნეულობას და სარჩელის შეტანას სასამართლოში დროებითი დაცვის საშუალების მიღებაზე. არბიტრაჟზე კანონი ზუსტად მისდევს ტიპური კანონის წესებს დროებითი ღონისძიებების აღიარებასა და აღსრულებასთან დაკავშირებით. ყველაზე მნიშვნელოვანი სიტუაციაა საერთაშორისო მხარეებისთვის, როდესაც კანონი ნათლად აჩვენებს, რომ ასეთ ღონისძიებებს ექნება სავალდებულო ძალა და აღსრულება ქართული სასამართლოების მიერ, მიუხედავად იმისა, თუ რომელ ქვეყანაში გამოიტანეს გადაწყვეტილება.<sup>165</sup> ეს არის ახალი კანონის მნიშვნელოვანი ასპექტი და დროთა განმავლობაში მან შეიძლება, დიდი გავლენა მოახდინოს.

მსგავსად ტიპური მოდელის შემთხვევისა, მხარეები შეიძლება აფერხებდნენ მხოლოდ შეზღუდულ საშუალებო გადაწყვეტილებების აღიარებასა და აღსრულებას მხოლოდ შეზღუდულ გარემოებებში.<sup>166</sup> ეს წესები ემთხვევა საბოლოო გადაწყვეტილებების აღიარებისა და აღსრულების სტანდარტულ წესებს მცირეოდენი ცვლილებებით.<sup>167</sup> ტიპური კანონი არ აწესებს მტკიცებულების ტვირთს, მაგრამ სარჩელების უმრავლესობისთვის კანონი არბიტრაჟზე აწესებს მტკიცებულების ტვირთს იმ მხარეზე, რომელიც ცდილობს, უარი თქვას გადაწყვეტილების აღიარებაზე ან აღსრულებაზე.<sup>168</sup> ეს არის მნიშვნელოვანი აღსრულებისწინა ნიშანი სასამართლოებისთვის.<sup>169</sup>

### ვ. საარბიტრაჟო პროცესები

#### 1. თანაბარი მიდგომა მხარეებისადმი და შესაძლებლობები საქმის წარსადგენად

არბიტრაჟზე კანონი შეესაბამება ტიპურ კანონში არბიტრაჟის ორი ფუნდამენტური პრინციპის გარანტიებს – მხარეებისადმი თანაბარ მიდგომასა და არგუმენტების მოყვანის შესაძლებლობას.<sup>170</sup> ტიპური კანონის შემმუშავებლებმა ამ პრინციპებს უწოდეს *არბიტრაჟის პროცედურის თავისუფლების დიდი ქარტია*, ვინაიდან მათ თვლიდნენ არსებითად არბიტრაჟისთვის და, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვნად ტიპურ კანონში.<sup>171</sup> მიზეზები არის აშკარა. თანაბარი მიდგომა და არგუმენტაციის მოყვანა, როგორც მიუკერძოებლობის არსი,<sup>172</sup> სათანადო

<sup>165</sup> კანონი არბიტრაჟზე, ზემოაღნიშნული სქოლიო 104, იქვე, 21-ე მუხლი.

<sup>166</sup> იქვე, 22-ე მუხლი .

<sup>167</sup> იქვე, 22-ე(1)(ა)-22-ე (1)(ბ)(ბ.ა.) მუხლები.

<sup>168</sup> Model law, ზემოაღნიშნული სქოლიო 105, მე-171 (1) მუხლი; კანონი არბიტრაჟზე, ზემოაღნიშნული სქოლიო 104, 22-ე (1)(ა) მუხლი; UNCITRAL-ის შემმუშავებლებმა სპეციალურად დატოვეს მტკიცებულების ტვირთის საკითხი შიდასახელმწიფოებრივი შესაბამისი კანონისთვის. ბინდერი, ზემოაღნიშნული სქოლიო 143, 271;

U.N. Comm'n on Int'l Trade L. Working Group on Arbitration and Conciliation, Rep. on the Work of Its Forty-Second Session, 73, U.N. Doc. A/CN.9/573 (2005) (შემდგომში – 2005 წლის ივლისი, UNCITRAL-ის საანგარიშო მოხსენება).

<sup>169</sup> რამდენიმე სარჩელზე არ არის მკაფიო დატვირთვა: მაგალითად, სარჩელებს საჯარო წესრიგის თაობაზე, რომლებიც ითვლება დაკავებული თანამდებობის საფუძვლად, სასამართლომ თვითონ დამოუკიდებლად უნდა გადახედოს, კანონი არბიტრაჟზე, ზემოაღნიშნული სქოლიო 104, 22-ე(1)(ბ) მუხლი.

<sup>170</sup> კანონი არბიტრაჟზე, ზემოაღნიშნული სქოლიო 104, მე-3 მუხლი; Model law, ზემოაღნიშნული სქოლიო 105, Arts. 18-19.

<sup>171</sup> Model law, ანალიტიკური კომენტარი, ზემოაღნიშნული სქოლიო 114, 44, 1.

<sup>172</sup> შეერთებულ შტატებში ფედერალური კანონი არბიტრაჟზე ინტერპრეტირებულია როგორც კანონი, რომელიც მოითხოვს ძირითად პროცესუალურ მიუკერძოებლობას; იხ., მაგ., ბორნი, ზემოაღნიშნული სქოლიო 109, 1021 (ფედერალური არბიტრაჟის კანონის ციტირება, შეერთებული შტატების კოდექსი, §10, 2006).

სამართლებრივი პროცედურა და მისწრაფებაა დავების გადანყვეტის ყველანაირი სისტემისათვის. თუმცა პრაქტიკულად შეიძლება არცერთი პრინციპი იყოს უპირობო, ისინი აუცილებელია იმისათვის, რომ არბიტრაჟი დარჩეს სიცოცხლისუნარიანი.<sup>173</sup> მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ არბიტრაჟზე კანონმა გადაანაცვლა ტიპური კანონის თანაბარი მიდგომის პუნქტი (ტიპური კანონის მე-18 მუხლი) არბიტრაჟზე კანონის წინა ნაწილისკენ, სადაც იგი ამჟამად არის – არბიტრაჟზე კანონის მე-3 მუხლი, რომლის განთავსება კანონის დასაწყისში ხაზს უსვამს მისი გამოყენების მნიშვნელობას მთელი საარბიტრაჟო ორგანიზაციისა და არა, უბრალოდ, საარბიტრაჟო პროცესებისთვის.<sup>174</sup> კერძო არბიტრაჟზე კანონით ამ პრინციპების სუსტი დაცვის პირობებში ეს საიმედო სამართლებრივი რეგულირებაა.

## 2. პროცესუალური ნორმების განსაზღვრა

ორივე – ტიპური კანონი და კანონი არბიტრაჟზე – უზრუნველყოფს მხარის დამოუკიდებლობას პროცესუალური ნორმების განსაზღვრისას.<sup>175</sup> მხარეების მიერ საკუთარი პროცესუალური ნორმების თავისუფლად შერჩევა საარბიტრაჟო პროცესის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრინციპია.<sup>176</sup> არბიტრაჟის წარმატების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, სასამართლო პროცესის საპირისპიროდ, არის მხარეების შესაძლებლობა, მიმართონ პროცედურები თავიანთი საჭიროებების შესაბამისად.<sup>177</sup> ამგვარი უფლებამოსილება არის კონკრეტული შეზღუდვების საგანი.<sup>178</sup> მაგალითად, მხარეებს არ შეუძლიათ, დაავალონ მხარეებისადმი თანაბარი მიდგომის დაცვა.<sup>179</sup>

არბიტრაჟზე კანონის თანახმად, იმ შემთხვევაში, როდესაც არ არსებობს მხარის ხელშეკრულება პროცედურებზე, „დავები გადანყვეტა არბიტრაჟული ტრიბუნალის მიერ განსაზღვრული ნორმების შესაბამისად.“<sup>180</sup> არბიტრაჟზე კანონში გამოტოვებულია ტიპური კანონის მითითება ტრიბუნალის თითქმის შეუზღუდავ თავისუფლებაზე სათანადო ნორმების შემუშავებასთან დაკავშირებით.<sup>181</sup> ეს, სამწუხაროდ, პრაქტიკულ მნიშვნელობას ანიჭებს არბიტრების თავისუფლად მოქმედების უფლებას.<sup>182</sup>

<sup>173</sup> Reza Mohtashami, *The Requirement of Equal Treatment with Respect to the Conduct of Hearings and Hearing Preparation in International Arbitration*, 3 Disp. Resol. Int'l 124 (2009). მაგალითად, „არგუმენტების მოყვანის სრული შესაძლებლობა“ არ ნიშნავს, რომ მხარეს უფლება აქვს, გამოიყენოს გაჭიანურების ტაქტიკა, წამოაყენოს შეუზღუდავი წინააღმდეგობები ან ახალი მტკიცებულება საარბიტრაჟო გადანყვეტილების გამოშვების წინა დღეს. Model law, ანალიტიკური კომენტარი, ზემოაღნიშნული სქოლიო 105, 46, 8.

<sup>174</sup> ტიპური კანონის კანონპროექტის შემმუშავებლებს დასაწყისში ანუხებდათ, რომ თანაბარი მიდგომის შესახებ პუნქტის მოთავსებას ტიპური კანონის V თავის (არბიტრალური პროცესების წარმართვა) ქვეპუნქტში შეიძლებოდა, შეექმნა ვარაუდი, რომ ეს პრინციპი იზღუდებოდა კონკრეტული პროცესებისთვის. ბინდერი, ზემოაღნიშნული სქოლიო 1433, 277; *Summary Records of the 322nd Meeting*, [1985] 16 Y.B. Comm'n Int'l. Trade L. 466, 468, 28, U.N. Doc. A/CN.9/SER.322.; Model law, ანალიტიკური კომენტარი, ზემოაღნიშნული სქოლიო 1144, 46, 7.

<sup>175</sup> Model law, ზემოაღნიშნული სქოლიო 1055, მე-19 მუხლი; კანონი არბიტრაჟზე, ზემოაღნიშნული სქოლიო 104, 24-ე, 2(2) მუხლი.

<sup>176</sup> ბინდერი, ზემოაღნიშნული სქოლიო 143, 281.

<sup>177</sup> ბორნი, ზემოაღნიშნული სქოლიო 109, 1003.

<sup>178</sup> იხ. Michael Pryles, *Limits to Party Autonomy in Arbitral Procedure*, 24 J. Int'l Arb. 327 (2007).

<sup>179</sup> Model law, ანალიტიკური კომენტარი, ზემოაღნიშნული სქოლიო 114, 45, 3.

<sup>180</sup> კანონი არბიტრაჟზე, ზემოაღნიშნული სქოლიო 104, 24-ე (2) მუხლი.

<sup>181</sup> Model law, ზემოაღნიშნული სქოლიო 105, მე-19(2) მუხლი.

<sup>182</sup> ბორნი, ზემოაღნიშნული სქოლიო 109, 1010-1015. საერთაშორისო კონვენციებისა და ეროვნული სამართლებრივი სისტემების უმრავლესობა, მათ შორის შეერთებული შტატების, უზრუნველყოფს ტრიბუნალის დისკრეციულ უფლებას პროცედურებზე მხარის ხელშეკრულების არარსებობისას. იქვე.



### 3. არბიტრაჟის ადგილის შერჩევა

არბიტრაჟის ადგილის განსაზღვრა გამომდინარეობს ტიპური კანონის პირობებიდან. მხარეები უფლებამოსილნი არიან, აირჩიონ ადგილი, სადაც გაიმართება არბიტრაჟი, ხოლო ტრიბუნალმა შეიძლება გამოსცადოს თავისი დისკრეციული უფლება იქ, სადაც, შესაბამისად, მისთვის იქნება მოხერხებული.<sup>183</sup> საერთაშორისო არბიტრაჟში ეს შეიძლება განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი იყოს, ვინაიდან არბიტრაჟის ადგილი განსაზღვრავს სასამართლოს მეთვალყურეობის ტიპსა და კოლიზიურ ნორმებს.<sup>184</sup>

### 4. ფაქტების წარდგენა

კანონი არბიტრაჟზე უზრუნველყოფს მხარეებს ნებისმიერი პირის მიერ ფაქტების წარდგენის უფლებით სასამართლო პროცედურის ნებისმიერ ეტაპზე.<sup>185</sup> კანონით მითითებული იქნება „რწმუნებული ან სხვა წარმომადგენლობა“, რომელიც, სავარაუდოდ, კარს გაუღებს ნებისმიერ ინდივიდუალურ პირს, რომელსაც მხარე მოისურვებს. ეს მნიშვნელოვანია სამართლიანობაზე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით. საქართველოში ბევრს არ შეუძლია, დაიქირავოს ადვოკატი და ამიტომ ისარგებლებს ოჯახის წევრით ან მეგობრით, როგორც არაიურისტი წარმომადგენლით.<sup>186</sup>

### 5. სასარჩელო განცხადებებისა და დაცვის ენა

კანონი არბიტრაჟზე და ტიპური კანონი მხარეებს სთავაზობს ენის არჩევანის უფლებას, მხარის დამოუკიდებლობის პრინციპის შესაბამისად. როგორც ხედავთ, კანონი არბიტრაჟზე არ მოიცავს გაუმართავი ქართული ენის გამოყენებლობის პირობას, თუნდაც შიდა არბიტრაჟისთვის.<sup>187</sup> ეს არის სტიმულის მიმცემი იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოში არის თემები, სადაც ქართული ენა არ დომინირებს.<sup>188</sup>

<sup>183</sup> კანონი არბიტრაჟზე, ზემოაღნიშნული სქოლიო 1044, 25-ე მუხლი; Model law, ზემოაღნიშნული სქოლიო 105, მე-20 მუხლი.

<sup>184</sup> თუმცა, ზოგადად, გასაგებია, რომ საერთაშორისო სავაჭრო არბიტრაჟში მნიშვნელოვანია მასპინძელი ქვეყნის კანონი (იხ. While it is generally understood that the law of the host country is important in international commercial arbitration (იხ. Noah Rubins, *The Arbitral Seat is No Fiction: A Brief Reply to Tatsuya Nakamura's Commentary, The Place of Arbitration in International Arbitration-Its Fictitious Nature and Lex Arbitri*, 16 Mealey's Int. Arb. Rep. 12 (2001), ზოგიერთმა მეცნიერმა წამოაყენა ე.წ. „დელოკალიზაციის“ თეორია, რომელიც საერთაშორისო არბიტრაჟს განიხილავს როგორც საკუთარ დელოკალიზებულ ნორმატიულ რეჟიმს, რომელიც არ ექვემდებარება ეროვნულ კანონებს. იხ. Tetsuya Nakamura, *The Place of Arbitration in International Arbitration-Its Fictitious Nature and Lex Arbitri*, 15 Mealey's Int. Arb. Rep. 11 (2000); Jan Paulson, *Delocalisation of International Commercial Arbitration: When and Why It Matters*, 32 Int'l & Comp. L.Q. 53 (1983).

<sup>185</sup> Model law, ზემოაღნიშნული სქოლიო 105, 28-ე მუხლი.

<sup>186</sup> სირთულე წამოიჭრება, როდესაც დავა რაიმე მიზეზით გადადის ქართულ სასამართლოებში. ნებისმიერ „მცოდნე წარმომადგენელს“, არა აუცილებლად იურისკონსულტს, შეუძლია, მონაწილეობა მიიღოს პირველი ინსტანციის სასამართლოებში. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, ზემოაღნიშნული სქოლიო 108, 94-ე(დ) მუხლი, მაგრამ აპელაციის დონეზე დაიშვებიან მხოლოდ ლიცენზირებული უფლებამოსილი ადვოკატები, იქვე, 93-ე-101-ე მუხლები.

<sup>187</sup> კანონი არბიტრაჟზე, ზემოაღნიშნული სქოლიო 104, 29-ე მუხლი; Model law, ზემოაღნიშნული სქოლიო 1055, 22-ე მუხლი.

<sup>188</sup> საქართველოს ჰყავს მცირე რაოდენობის თემები, სადაც ლაპარაკობენ სომხურად და აზერბაიჯანულად სახლში, ხოლო რუსულად ლაპარაკს ამჯობინებენ სახლის გარეთ. 2002 წლის აღწერის თა-

თუ მხარეები აირჩევენ ადგილობრივი არბიტრაჟის იურისდიქციას, მაშინ გამოიყენება ამ იურისდიქციის წესები სასარჩელო განცხადებასა და დაცვასთან დაკავშირებით. შეთანხმებული წესების არარსებობის შემთხვევაში კანონი არბიტრაჟზე იცავს ტიპური კანონის მიზანშეწონილ წესებს.<sup>189</sup>

## 6. სამართალწარმოების ფორმა და მტკიცებულებების მიღება

საერთაშორისო სავაჭრო არბიტრაჟის პროცესი ხშირად, მაგრამ არა ყოველთვის, მოიცავს ზეპირ მოსმენას, რომელიც წააგავს საქმის გარჩევას ზოგადი სამართლის სასამართლოებში,<sup>190</sup> თუმცა ზოგი საერთაშორისო ტრიბუნალი კვლავ აგრძელებს დოკუმენტური და სხვა მასალების ჩანაწერების გაკეთებას.<sup>191</sup> კანონი არბიტრაჟზე ტიპური კანონის ანალოგიურად ცდილობს, მართოს საშუალებდო მდგომარეობა ამ ზოგადი სამართლისა და სამოქალაქო სამართლის ტრადიციებს შორის და ტრიბუნალს აძლევს უფლებას, გადაწყვიტოს, არის თუ არა საჭირო ზეპირი მოსმენა, როდესაც მასზე არ არის განსაკუთრებული მოთხოვნა.<sup>192</sup> მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, წესები ავალდებულებენ, რომ ჩატარდეს მოსმენა.<sup>193</sup>

კანონი არბიტრაჟზე, ტიპური კანონის მსგავსად, ღრმად კი არ შედის დეტალებში, როგორ ჩატარდეს ტრიბუნალი მოსმენებს,<sup>194</sup> არამედ უფრო შორს მიდის, ვიდრე ამა თუ იმ შემთხვევაში ტიპური კანონი უფლებამოსილების მინიჭებით ზოგიერთი სასამართლო საქმისადმი. კანონი არბიტრაჟზე, ამასთანავე, ადგენს, რომ ტრიბუნალმა შეიძლება მოსთხოვოს მხარეს, წარუდგინოს მტკიცებულება მეორე მხარეს ან ტრიბუნალს.<sup>195</sup> ტრიბუნალმა, აგრეთვე, შეიძლება მოიხმოს მოწმეები და მოითხოვოს მათი დაკითხვა,<sup>196</sup> თუმცა ეს იშვიათად ხდება საქართველოში.<sup>197</sup> ამ პროცედურების უმრავლესობა მხარეების ან ტრიბუნალის მიერ არის გადასაწყვეტი.<sup>198</sup> მხარეებს შეეძლებოდა საერთაშორისო ადვოკატთა ასოციაციის წესების (IBA-ის წესები) მიღება მტკიცებულებების აღებაზე საერთაშორისო არბიტრაჟში.<sup>199</sup>

---

ნახმად, ყველაზე დიდი ჯგუფები საქართველოში არის შემდეგი: აზერბაიჯანელების – 6,5%, სომხების – 5,7% და რუსების – 1,5%. მსოფლიო ცნობარი, ზემოაღნიშნული სქოლიო 12.

<sup>189</sup> Model law, ზემოაღნიშნული სქოლიო 105, 23-ე, 25-ე მუხლები; LoA, supra note 104, Arts. 30-31, 33.

<sup>190</sup> საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟების უმრავლესობაში მხარეები მოითხოვენ დავების ზეპირ გარჩევას. მოტაშამი, ზემოაღნიშნული სქოლიო 176, 128. თუმცა ტენდენცია ინაცვლებს ფართო წერილობითი წარდგენებისაკენ და მოკლე მოსმენებისაკენ. იქვე.

<sup>191</sup> სამოქალაქო სამართლის სისტემების უმრავლესობაში უპირატესობას უფრო მეტად აძლევენ დოკუმენტურ მტკიცებულებას, ვიდრე მოწმეთა ჩვენებებს. იხ. Nathan D. O'Malley, *The Procedural Rules Governing the Production of Documentary Evidence in International Arbitration – As Applied in Practice*, 8 Law & Prac. Int'l Cts. & Tribunals 27, 27 (2009).

<sup>192</sup> კანონი არბიტრაჟზე, ზემოაღნიშნული სქოლიო 104, 32-ე(1) მუხლი.

<sup>193</sup> იქვე.

<sup>194</sup> როგორც პრაქტიკული საკითხი, საარბიტრაჟო ფორუმების უმრავლესობას ექნება საკუთარი გამოყენებადი პროცესუალური ნორმები.

<sup>195</sup> იქვე, 35-ე(2)(ა), (გ.) მუხლი.

<sup>196</sup> იქვე, 35-ე(2)(ბ) მუხლი. ეს ტრიბუნალზე ორიენტირებული მიდგომა უფრო მეტად შეესაბამება სამოქალაქო სამართლის ტრადიციას (საქართველოს ჩათვლით), როდესაც სასამართლო პირველი იღებს პასუხისმგებლობას მოწმეების მოწვევასა და დაკითხვაზე. უფრო დეტალური ინფორმაციის მისაღებად ზოგადი სამართლისა და სამოქალაქო სამართლის ტრადიციებს შორის არსებულ განსხვავებებზე, მტკიცებულების მიღებისა და საერთაშორისო არბიტრაჟის პრაქტიკაში საშუალებდო გზის გამოწვევის გათვალისწინებით, იხ. მოტაშამი, ზემოაღნიშნული სქოლიო 176; Rolf Trittman and Boris Kasolowsky, *Taking Evidence in Arbitration Proceedings Between Common Law and Civil Law Traditions – The Development of a European Hybrid Standard for Arbitration Proceedings*, 31 U.N.S.W.L.J. 330, 333 (2008).

<sup>197</sup> Tsertsvadze, *Commentary*, ზემოაღნიშნული სქოლიო 844, 131.

<sup>198</sup> UNCITRAL – გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო სავაჭრო კანონის თაობაზე შექმნილი კომისია აჩვენებს, რომ საერთაშორისო არბიტრაჟის ნორმების უმრავლესობა სპეციალურად არ მიუთითებს მოსმენის დეტალებზე, როგორებიცაა: ბრძანება მოწმის გამოძახებაზე, და-

არბიტრაჟზე კანონის თანახმად, პროცესუალური მოქმედების დახურვისას არბიტრი და სხვა მონაწილეები უნდა ინახავდნენ ინფორმაციას კონფიდენციალურად.<sup>200</sup> შემდეგ კანონია გარანტი, თუ სხვაგვარად არ არის შეთანხმებული ან გათვალისწინებული კანონში, რომ ყველა დოკუმენტი, მტკიცებულება და წერილობითი ან ზეპირი განცხადებები არ იქნეს გამოქვეყნებული ან გამოყენებული სხვა სასამართლო პროცესში.<sup>201</sup> ეს არ არის ტიპურ კანონში,<sup>202</sup> ანუ შეერთებულ შტატებში<sup>203</sup> კონფიდენციალობის დაცვამ შეიძლება ხელი შეუწყოს მხარეებს შორის არსებული დავის მოგვარებას, უფრო ეფექტურ პრაქტიკას, სტიმული მისცეს დოკუმენტების უფრო კეთილსინდისიერად და სრულყოფილად წარდგენას და დაიცვას მონაწილეები ზიანისაგან, რაც შეიძლება გამონეულ იქნეს ინფორმაციის გასაჯაროებით. თუმცა კონფიდენციალობის დაცვა დაკავშირებულია ერთგვარ ხარჯებთან, როგორცაა საზოგადოებრიობის შეზღუდული ხელმისაწვდომობა ინფორმაციაზე. ეს დაცვა, საბოლოო ჯამში, გამართლებულია საქართველოში.

## ზ. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება

### 1. მატერიალურსამართლებრივი ნორმები

განსხვავებით კერძო არბიტრაჟზე კანონისაგან, რომელიც არ იძლეოდა არავითარ რეკომენდაციას დავის არსისათვის გამოყენებად წესებზე, კანონი არბიტრაჟზე მოქმედებს ტიპური კანონის შესაბამისად გადაწყვეტილების მისაღებად, მხარისათვის თავისუფლების მინიჭების გათვალისწინებით, ხოლო ტრიბუნალის მოქმედების თავისუფლება ითვლება ვალდებულებების შეუსრულებლობად.<sup>204</sup> გამოყენებადი სამართლის არარსებობის შემთხვევაში, კანონი

---

კითხვის პროცესები ან აქტები მოსმენის დაწყებასა და დასრულებაზე. UNCITRAL-ის შენიშვნების რეკომენდაციით ამ წესებს წყვეტს ტრიბუნალი მხარეებთან შეთანხმებით პროცესის ადრეულ ეტაპზე. UNCITRAL, Notes on Organizing Arbitral Proceedings (2012), 2012, <<http://www.uncitral.org/pdf/english/texts/arbitration/arb-notes/arb-notes-e.pdf>>, (ბოლოს შესწორდა 2012 წელს).

<sup>199</sup> IBA Rules on the Taking of Evidence in International Arbitration, International Bar Association (2010), <<http://www.ibanet.org/Document/Default.aspx?DocumentUid=68336C49-4106-46BF-A1C6-A8F0880444DC>>, (ბოლოს შესწორდა 2015 წლის 23 თებერვალს). IBA არ არის სავალდებულო, თუმცა ფართოდაა მიღებული. Georg von Segesser, *The IBA Rules on the Taking of Evidence in International Arbitration: Revised Version, adopted by the International Bar Association on 29 May 2010*, 28 ASA Bulletin 735 (2010); იხ. აგრეთვე ტრიტმანი და კასოლოვსკი, ზემოაღნიშნული სქოლიო 199, 333 („IBA-ს წესები, ჩვენი გამოცდილებით, ეკუთვნოდა თითქმის ყველა საერთაშორისო საარბიტრაჟო პროცესს“).

<sup>200</sup> კანონი არბიტრაჟზე, ზემოაღნიშნული სქოლიო 104, 32-ე (4) მუხლი.

<sup>201</sup> იქვე, 32-ე (5) მუხლი. კერძო არბიტრაჟზე კანონის საპირისპიროდ, ზემოაღნიშნული სქოლიო 68, 24-ე, 27-ე მუხლები. ამ მუხლში არგუმენტირებულია, რომ სპეციალური ტექსტით სასამართლოებს ეძლევათ განცხადების გაკეთების უფლება კონფიდენციალობის დაცვაზე, როდესაც არის საზოგადოებრიობის ინტერესი. ცერცვაძე, კომენტარი, ზემოაღნიშნული სქოლიო 84, 126.

<sup>202</sup> თუმცა თავის ტიპურ კანონში შერიგებაზე UNCITRAL-მა შეიტანა კონფიდენციალობის დაცვა. UNCITRAL, Model Law on International Commercial Conciliation, art. 9 (2004), <[http://www.uncitral.org/pdf/english/texts/arbitration/ml-conc/03-90953\\_Ebook.pdf](http://www.uncitral.org/pdf/english/texts/arbitration/ml-conc/03-90953_Ebook.pdf)>, (ბოლოს შესწორდა 2015 წლის 23 თებერვალს), (შემდგომში – შერიგება).

<sup>203</sup> Amy J. Schmitz, *Untangling the Privacy Paradox in Arbitration*, 54 U. Kan. L. Rev. 1211, 1211 (2005-2006) (შემდგომში – შმიტცი, კონფიდენციალობა).

<sup>204</sup> კანონი არბიტრაჟზე, ზემოაღნიშნული სქოლიო 104, 36-ე მუხლი; Model law, ზემოაღნიშნული სქოლიო 105, 28-ე მუხლი. ტიპური კანონი იყენებს სიტყვებს, – სამართლებრივი ნორმები, – რითაც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მხარეებმა შეიძლება მოისურვონ ნორმების შერჩევა ერთზე მეტი სამართლებრივი სისტემიდან. Model law, ანალიტიკური კომენტარი, ზემოაღნიშნული სქოლიო 114, 61-62, 4. საარბიტრაჟო კანონი თავდაპირველი რედაქციით იყენებდა უფრო შეზღუდულ ტერმინს – კანონი, – მაგრამ არბიტრაჟზე კანონის 2015 წლის შესწორებებმა ეს ტერმინი შესაბამისობაში მოიყვანა ტიპურ კანონთან. არბიტრაჟზე კანონის შესწორებები, ზემოაღნიშნული სქოლიო 108, 1-ლი (13) მუხლი; კანონი არბიტრაჟზე, ზემოაღნიშნული სქოლიო 1044, 36-ე(1) მუხლი.

არბიტრაჟზე ადგენს, რომ სამართალი განისაზღვრება ტრიბუნალის მიერ. სამწუხაროდ, ტიპური კანონისაგან განსხვავებით, კანონი არბიტრაჟზე არ მიუთითებს ტრიბუნალს, გადაწყვეტოს სინდისიერად და სამართლიანად (*ex aequo et bono*) ან მეგობრული შუამავლობით (*amiable compositeur*),<sup>205</sup> თუმცა მიჰყვება ტიპური კანონის მითითებას, რომ ტრიბუნალი ყოველთვის ითვალისწინებს კონტრაქტის პირობებს და შესაბამის სავაჭრო წესრიგსა და პრაქტიკას,<sup>206</sup> მაშინაც კი, როდესაც მხარეების მიერ შერჩეული მატერიალურსამართლებრივი კანონი არ ითვალისწინებს სამრეწველო ვაჭრობას და საბაჟო სამართალს.<sup>207</sup>

## 2. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მიღება და შინაარსი

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მიღების, ფორმისა და შესწორების საკითხში კანონი არბიტრაჟზე სავსებით იცავს ტიპური კანონის სტანდარტებს.<sup>208</sup> საარბიტრაჟო გადაწყვეტილება უნდა იყოს წერილობითი ფორმით, ხელმოწერილი უმრავლესობის მიერ, თარიღისა და ადგილის აღნიშვნით და უნდა მოიცავდეს მიზეზებს, რომელთაც ეფუძნება, თუ სხვაგვარად არ არის შეთანხმებული.<sup>209</sup> საინტერესოა აღინიშნოს, რომ კანონს არბიტრაჟზე გარკვევით შეაქვს შესწორება განსხვავებულ მოსაზრებებზე.<sup>210</sup> ეს არის სასარგებლო ბიძგი საფუძვლიანი გადაწყვეტილების მიღებისა და გაუმჯობესებული გამჭვირვალობის მიმართულებით.

## 3. საკითხის მოგვარება

კანონი არბიტრაჟზე იძლევა საკითხის მოლაპარაკებებით დარეგულირების შესაძლებლობას.<sup>211</sup> კანონი არბიტრაჟზე საშუალებას აძლევს მხარეებს, მოაგვარონ თავიანთი დავები, ინფორმაცია მიანოდონ ტრიბუნალს და მათი მოთხოვნისას დარეგულირების ხელშეკრულება გარდაქმნან გადაწყვეტილებად.<sup>212</sup> არბიტრაჟის კანონის 2015 წლის შესწორებებმა შეცვალა კონვენსიის ეს პროცედურა მხარის უფლებიდან ვერსიით, რომელიც მოითხოვს ტრიბუნალის

<sup>205</sup> Model law, ზემოაღნიშნული სქოლიო 105, 28-ე(3) მუხლი. არბიტრაჟის გადაწყვეტილებები, მიღებული სინდისიერად და სამართლებრივად, ან მეგობრული შუამავლობით, ემყარება მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის ზოგად პრინციპებს, ეროვნულ თუ საერთაშორისოსამართლებრივ ნორმებზე ყოველგვარი მითითებების გარეშე. Model law, განმარტებითი ბარათი, ზემოაღნიშნული სქოლიო 145, 40; Leon Trakman, *Ex Aequo et Bono: Demystifying an Ancient Concept*, 14 Chi. J. Int'l L. 621 (2007-2008) (analyzing ex aequo et bono concept); Hong-lin Yu, *Amiable Composition—A Learning Curve*, 17 J. Int'l Arb. 79 (2000) (analyzing amiable compositeur concept).

<sup>206</sup> თუმცა არბიტრაჟზე კანონში შეიძლება არ იყოს სავაჭრო პრაქტიკა. გავიხსენოთ, რომ არბიტრაჟზე კანონის იურისდიქცია არის უფრო ფართო, ვიდრე ტიპური კანონისა და მოიცავს დავას ნებისმიერი კერძო საკუთრების უფლებაზე. კანონი არბიტრაჟზე, ზემოაღნიშნული სქოლიო 104, 1-ლი(1) მუხლი.

<sup>207</sup> ეს არის გაურკვეველობის პოტენციური არე – შეიძლება კონფლიქტი არსებობდეს შერჩეულ მატერიალურსამართლებრივ კანონსა და სავაჭრო პრაქტიკას შორის. ტიპური კანონი მოიცავს ამ ფორმულირებას, ვინაიდან ის მოითხოვს ხელშეწყობას საერთაშორისო კომერციული ბიზნესისთვის. კანონი არბიტრაჟზე მართავს უფრო ფართო დიაპაზონის საქმეებს.

<sup>208</sup> გადაწყვეტილებებისათვის, საზოგადოდ, მოითხოვება მაჟორიტარული სისტემა. კანონი არბიტრაჟზე, ზემოაღნიშნული სქოლიო 1044, 37-ე (1) მუხლი; Model law, ზემოაღნიშნული სქოლიო 1055, 29-ე მუხლი. ტიპური კანონისაგან განსხვავებით, არბიტრის მხრიდან იკრძალება თავის შეკავება. იქვე, 37-ე(2) მუხლი. ეს არის კერძო არბიტრაჟზე კანონის ანალოგიური. ზემოაღნიშნული სქოლიო 688, 34-ე მუხლი. ქართველ მოსამართლეებს არა აქვთ თავის შეკავების უფლება; საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, ზემოაღნიშნული სქოლიო 108, 243-ე მუხლი.

<sup>209</sup> Model law, ზემოაღნიშნული სქოლიო 1055, 31-ე მუხლი; კანონი არბიტრაჟზე, ზემოაღნიშნული სქოლიო 104, 39-ე მუხლი.

<sup>210</sup> იქვე, ეს შეესაბამება სამართლებრივ ნორმებს ქართული სასამართლოებისათვის. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, ზემოაღნიშნული სქოლიო 108, 27-ე, 243-ე, 247-ე მუხლები.

<sup>211</sup> ეს არის ტიპური კანონის ანალოგიური. Model law, ზემოაღნიშნული სქოლიო 105, 30-ე მუხლი.

<sup>212</sup> კანონი არბიტრაჟზე, ზემოაღნიშნული სქოლიო 1044, 38-ე მუხლი.

დამონმებას.<sup>213</sup> მხარეებს შეუძლიათ საკითხის მოგვარება ნებისმიერ დროს სასამართლო პროცესების განმავლობაში და კანონი იძლევა გარანტიას, რომ შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებას ჰქონდეს ძალა და ეფექტი, როგორც ნებისმიერ სხვა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას.<sup>214</sup> ეს ამ გადაწყვეტილებას აყენებს სასამართლო ვერდიქტის დონეზე, რომლის აღსრულებაც შეუძლიათ ქართულ სასამართლოებს. ჩვეულებრივად, ორ მხარეს შორის მოლაპარაკებებით ან მედიაციით მიღწეული გადაწყვეტილება საქართველოში არის მხოლოდ და მხოლოდ კონტრაქტი, რომელიც მოითხოვს სრულმასშტაბიან სასამართლო პროცესს.<sup>215</sup>

## თ. რეგრესული მოთხოვნა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების, აღიარებისა და აღსრულების მიმართ

ტიპური კანონის სპეციფიკური მიდგომა რეგრესული მოთხოვნისადმი გადაწყვეტილებების მიმართ, ასევე აღიარებისა და აღსრულების მიმართ დაცულია საარბიტრაჟო კანონში. ეს ნებსები ცდილობს, დააბალანსოს სამართლებრივი ინტერესი ზედამხედველობაში არბიტრალური ინტერესის მიმართ შეზღუდულ სასამართლო ჩარევაში.<sup>216</sup> პირველი ნაწილი არის რეგრესული მოთხოვნა გადაწყვეტილების მიმართ (უფრო მეტად ცნობილია როგორც „გადაწყვეტილების გაუქმება“ ან „გადაწყვეტილების ანულირება“), ხოლო შემდეგი ნაწილი ეთმობა გადაწყვეტილებების აღიარებასა და აღსრულებას.

### 1. რეგრესი გადაწყვეტილების წინააღმდეგ

არბიტრაჟზე კანონის თანახმად, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება არ არის გასაჩივრებადი, გარდა შეზღუდული გარემოებებისა. მხარისათვის ნების დართვა, ადვილად გაასაჩივროს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, არბიტრაჟს წაართმევდა ერთ-ერთ მთავარ უპირატესობას, ანუ დავების სწრაფი და ეკონომიკური გადაწყვეტის საშუალებას. ამის შესაბამისად, არბიტრაჟის კანონი ითვალისწინებს მხოლოდ შეზღუდულ საფუძვლებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაუქმებლად.<sup>217</sup> ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ არცერთ ამ საფუძველში არ არის განხილული საქმის არსი.<sup>218</sup> არბიტრაჟის კანონის პირობები ტიპური კანონის კოპირებაა ერთი საინტერესო გამონაკლისით: არბიტრაჟის კანონი, ტიპური კანონისაგან განსხვავებით, არ მიუთითებს, რომ ეს პირობა გამონაკლისი წესია, რომლის მიხედვითაც შეიძლება მიიღწეს გაუქ-

<sup>213</sup> განმარტებითი ბარათი, ზემოაღნიშნული სქოლიო 125, §(ა)(ა.გ.). ამით კანონი არბიტრაჟზე უკეთეს შესაბამისობაში მოდის ტიპური კანონის 30-ე მუხლთან.

<sup>214</sup> იქვე, 38-ე(3) მუხლი.

<sup>215</sup> ერთგვარი ასიმეტრია არსებობს, ერთი მხრივ, მედიაციითა და მოლაპარაკებებით და, მეორე მხრივ, არბიტრაჟით მიღწეულ გადაწყვეტილებებს შორის. ვინაიდან მხარეები, რომლებიც თავიანთ საქმეებს წყვეტენ საარბიტრაჟო პროცესის ინიცირების შემდეგ, სარგებელს იღებენ ამ დაჩქარებული აღსრულების სამართლებრივი რეჟიმიდან, არსებობს არბიტრაჟში ჩართვის სტიმული. UNICTRAL-ის ტიპურ კანონზე დამყარებული მედიაციის კანონი გამორიცხავდა საერთაშორისო კომერციული შერიგების სტიმულს, ვინაიდან კანონი აგრეთვე მოიცავს დაჩქარებული აღსრულების შესაძლებლობას შუამავლობით მიღწეული გადაწყვეტილებისათვის. შერიგება, ზემოაღნიშნული სქოლიო 205, მე-14 მუხლი და UNCITRAL-ის ტიპური კანონის მიღება და გამოყენება, 55, 87 (შენიშნეთ დაჩქარებული აღსრულების მიზეზები).

<sup>216</sup> იხ. ბინდერი, ზემოაღნიშნული სქოლიო 143, 377-378.

<sup>217</sup> გაუგებარია, რა ხდება საქმესთან დაკავშირებით, როდესაც საარბიტრაჟო გადაწყვეტილება უქმდება. *ჯაფარიძე*, ზემოაღნიშნული სქოლიო 677, 240-241. თავიდან იცილებს ტრიბუნალი იურისდიქციას?

<sup>218</sup> კანონი არბიტრაჟზე, ზემოაღნიშნული სქოლიო 104, 42-ე მუხლი.

მება.<sup>219</sup> შედეგად, ქართული სასამართლოები არ არიან შეზღუდულები საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებაში ისე, როგორც იქნებოდნენ ტიპური კანონის მიხედვით.

## 2. გადაწყვეტილების აღიარება და აღსრულება<sup>220</sup>

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება საქართველოს საარბიტრაჟო სისტემაში არის გადაწყვეტილების აღიარებისა და აღსრულების სფეროში. კერძო არბიტრაჟზე კანონის (LOPA) ძველი წესრიგი უზრუნველყოფდა მხოლოდ შეზღუდულ მითითებას სასამართლოებისთვის, რომლებიც განიხილავდნენ პრეტენზიებს გადაწყვეტილების აღსრულებაზე.<sup>221</sup> სასამართლოებს შეეძლოთ აღსრულების შეჩერება მხოლოდ გამოუსწორებელი ზიანის შესაფერხებლად და არ არსებობდა არავითარი სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც სასამართლოებს მისცემდა უფლებამოსილებას საზოგადოების ინტერესების დასაცავად. უფრო მეტიც, არ იყო არავითარი პირობა უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულებისათვის.<sup>222</sup>

არბიტრაჟის კანონით საქართველო ეთანხმება მიმდინარე საერთაშორისო ნორმებს. გადაწყვეტილებების აღიარებისა და აღსრულების წესებთან დაკავშირებით ის თითქმის სიტყვასიტყვით მისდევს ტიპურ კანონს.<sup>223</sup> აქ არის ორი ტიპის საფუძველი, რის მიხედვითაც სასამართლომ შეიძლება უარი თქვას აღიარებაზე ან აღსრულებაზე – ერთი, რომელიც მხარემ უნდა წამოჭრას და მეორე, რომელიც შეიძლება მხარემ ან სასამართლომ წამოჭრას, *ex officio* (თანამდებობისაგან დამოუკიდებლად). ეს საფუძვლები, ერთი გამონაკლისით, იგივეა, რაც რეგრესის წესებში გადაწყვეტილების მიმართ. მხარეზე დამოკიდებული საფუძვლები უარისთვის არის შემდეგი:

<sup>219</sup> Model law, ზემოაღნიშნული სქოლიო 105, 34-ე მუხლი. არბიტრაჟის კანონზე 2015 წლის შესწორებებით შეეცადნენ, გამოესწორებინათ ეს ნაკლი შემდეგი ტექსტის დამატებით 42-ე(1) მუხლისადმი: „ამ კანონის ფარგლებში ერთადერთი პროცესუალური საშუალებაა არბიტრაჟის გადაწყვეტილების წინააღმდეგ გადაწყვეტილების გაუქმება, რასაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს ამ მუხლის მე-2-მე-5 პუნქტების შესაბამისად“. არბიტრაჟზე კანონის შესწორებები, ზემოაღნიშნული სქოლიო 108108, 1-ლი(17)(1) მუხლი. შესწორებების განმარტებითი ბარათი გამოხატავს ტიპურ კანონთან ჰარმონირების ტენდენციას, მაგრამ შემდეგ იმეორებს სპეციალურ ტექსტს, რომ ეს მუხლი არის ექსკლუზიური საშუალება არბიტრაჟის კანონის ფარგლებში. განმარტებითი ბარათი, ზემოაღნიშნული სქოლიო 125, §(ა)(ა.გ.). თუმცა არბიტრაჟის კანონის ფარგლებს გარეთ არ არის არავითარი აშკარა საშუალება, ეს ტექსტი არ აფერხებს ალტერნატივას. აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ ტიპური კანონის გამოყენებადი სათაური ადგენს: „განცხადებას გაუქმებაზე, როგორც ექსკლუზიური მოთხოვნის უფლებაზე საარბიტრაჟო გადაწყვეტილების წინააღმდეგ (დამატებულია ხაზგასმა)“, მაშინ, როდესაც არბიტრაჟზე კანონის 42-ე მუხლის გადარქმეული სათაურია, უბრალოდ, შემდეგი: „საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება“. Model law, ზემოაღნიშნული სქოლიო 105, 34-ე მუხლი; კანონი არბიტრაჟზე, ზემოაღნიშნული სქოლიო 104, 42-ე მუხლი.

<sup>220</sup> საქართველოში არ განასხვავებენ აღიარებასა და აღსრულებას. ცერცვაძე, კომენტარი, ზემოაღნიშნული სქოლიო 84, 175. ტიპური კანონის შემმუშავებლებს სჯეროდათ, რომ განსხვავება მნიშვნელოვანი იყო თეორიული და პრაქტიკული მიზნებისათვის. თეორიულად საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღიარებას აქვს აბსტრაქტული სამართლებრივი შედეგი, რადგან ჩნდება ავტომატურად, მხარის მოთხოვნის გარეშე. იხ. U.N. Comm'n on Int'l Trade Law Working Group on Int'l Contract Pracs., Rep. on the Work of its Seventh Session, 146, U.N. Doc A/CN.9/246 (1984). პრაქტიკულად, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღიარება შეიძლება სასარგებლო იყოს „რეს-იუდიკატასთვის“ (გადაწყვეტილი საქმის განმეორებით განხილვაზე მიუღებლობის პრინციპი) სხვა ფორუმში, რომელიც არ უკავშირდება აღსრულებას. Model law, ანალიტიკური კომენტარი, ზემოაღნიშნული სქოლიო 114 at 76 4. აღიარება არის დეკლარაციული აქტი, მაშინ, როდესაც აღსრულება მოითხოვს შესრულების ფუნქციას.

<sup>221</sup> ჯაფარიძე, ზემოაღნიშნული სქოლიო 67, 232.

<sup>222</sup> იქვე, საქართველოს უზენაეს სასამართლოს არ სურდა ნიუ-იორკის კონვენციის გამოყენება, სანამ მიიღებდა კანონს არბიტრაჟზე. 2000–2007 წლებიდან იშვიათად მიუთითებდა კონვენციაზე. *Tsertsvadze, Commentary*, ზემოაღნიშნული სქოლიო 84, 181.

<sup>223</sup> Model law, ზემოაღნიშნული სქოლიო 105, 35-ე-36-ე მუხლები.

- მხარეს საარბიტრაჟო შეთანხმებაზე აკლდა უფლებამოსილება და უნარიანობა;<sup>224</sup>
- ხელშეკრულება არ არის იურიდიული ძალის მქონე მარეგულირებელი კანონის მიხედვით;<sup>225</sup>
  - მხარეს არ მიენოდა სათანადო ინფორმაცია არბიტრის ან სასამართლო პროცესის დანიშნაზე, ან სხვა საპატიო მიზეზით მხარემ ვერ შეძლო მონაწილეობის მიღება;<sup>226</sup>
  - საარბიტრაჟო გადაწყვეტილება აგვარებს დავას, მაგრამ არა საარბიტრაჟო ხელშეკრულების პირობებში ან ფარგლებში;<sup>227</sup>
  - ტრიბუნალის შემადგენლობა ან პროცესი არ შეესაბამებოდა საარბიტრაჟო ხელშეკრულებას ან კანონს არბიტრაჟზე ხელშეკრულების არარსებობის შემთხვევაში;<sup>228</sup> ან
  - გადაწყვეტილება არ შევიდა ძალაში ან გაუქმდა, ან შეჩერდა იმ ქვეყნის სასამართლოების მიერ, სადაც იყო იგი გამოტანილი.<sup>229</sup>

<sup>224</sup> სრული პერსონალური უფლებამოსილება და უნარიანობა მიიღწევა 18 წლის ასაკში, ანუ, როდესაც პირი ქორწინდება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, ზემოაღნიშნული სქოლიო 111, მე-12 მუხლი. 2004 წელს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განიხილა ინსტიტუციური პოტენციალის საკითხი ნიუ-იორკის კონვენციის ანალოგიური ნესების მიხედვით, V (1)(ა) მუხლი. სასამართლომ ნება დართო ლონდონის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღიარებას და აღსრულებას, რაც ადგენდა, რომ ქართული კომპანიის წარმომადგენელს ჰქონდა იურიდიული უფლებამოსილება ხელშეკრულების დადებაზე, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობა ფლობდა საკონტროლო პაკეტს კომპანიაში და არ ჰქონდა ხელმოწერა ხელშეკრულებაზე. R.L., Ltd. v. JSC Z. Factory, case a-204-sh-43-03 (2004), <[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)>, (არაოფიციალური თარგმანი ხელმისაწვდომია: <[http://www.newyorkconvention1958.org/index.php?lvl=more\\_results&look\\_ALL=1&user\\_query=\\*&autolevel1=1&jurisdiction=92](http://www.newyorkconvention1958.org/index.php?lvl=more_results&look_ALL=1&user_query=*&autolevel1=1&jurisdiction=92)>) (ბოლოს ნანახია 2015 წლის 23 თებერვალს).

<sup>225</sup> ეს პუნქტი იცავს სასამართლოს, როგორც ხელშეკრულების საფუძვლიანობის უკანასკნელი არბიტრის, უფლებას, მიუხედავად არბიტრაჟზე კანონის *კომპეტენცია-კომპეტენციის* დოქტრინისა. 2009 წელს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ნება დართო რუსეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღიარებასა და აღსრულებას, რომლის მიხედვით უარყოფილი იყო ქართველი რესპონდენტის პრეტენზია, რომ ხელშეკრულება არ იყო იურიდიული ძალის მქონე რუსული კანონის თანახმად. S.F.M., LLC v. ბათუმის მერია, საქმე a-471-sh-21-09 (2009), <[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)>, (არაოფიციალური თარგმანი ხელმისაწვდომია: [http://www.newyorkconvention1958.org/index.php?lvl=more\\_results&look\\_ALL=1&user\\_query=\\*&autolevel1=1&jurisdiction=92](http://www.newyorkconvention1958.org/index.php?lvl=more_results&look_ALL=1&user_query=*&autolevel1=1&jurisdiction=92)) (ბოლოს ნანახია 2015 წლის 23 თებერვალს).

<sup>226</sup> უზენაეს სასამართლოში საარბიტრაჟო კანონის მიხედვით სასამართლო საქმე იყო ქართველი რესპონდენტის წინააღმდეგ, რომელიც აცხადებდა პრეტენზიას ლატვიის არბიტრაჟის შეტყობინების მიუღებლობის გამო. JSC “P” v “L” LLC, case a-492-sh-11-2012 (2012), <[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)>, <[http://www.newyorkconvention1958.org/index.php?lvl=more\\_results&look\\_ALL=1&user\\_query=\\*&autolevel1=1&jurisdiction=92](http://www.newyorkconvention1958.org/index.php?lvl=more_results&look_ALL=1&user_query=*&autolevel1=1&jurisdiction=92)> (ბოლოს ნანახია 2015 წლის 23 თებერვალს). იხ., აგრეთვე, S.F.M., LLC v. ბათუმის მერია, ზემოაღნიშნული სქოლიო 228228 (სადაც ჩანს, რომ ტრიბუნალმა გაატარა ყველა შესაძლო ღონისძიება რესპონდენტის მონაწილეობის მიღების საგარანტიოდ). 2003 წელს სასამართლომ უარყო უკრაინის საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შეტყობინების მიუღებლობის მიზეზით და მიუთითა ნიუ-იორკის კონვენციის V(1)(ბ) მუხლზე, რომელიც იყენებს იმავე ტექსტს, რასაც კანონი არბიტრაჟზე. კიევის (...) ინსტიტუტი v „M“, თბილისის სამრეწველო-ტექნოლოგიური ინსტიტუტი, საქმე 3a-17-02, 2003, იხ. <[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)> (არაოფიციალური თარგმანი ხელმისაწვდომია: <[http://www.newyorkconvention1958.org/index.php?lvl=more\\_results&look\\_ALL=1&user\\_query=\\*&autolevel1=1&jurisdiction=92](http://www.newyorkconvention1958.org/index.php?lvl=more_results&look_ALL=1&user_query=*&autolevel1=1&jurisdiction=92)> (ბოლოს ნანახია 2015 წლის 23 თებერვალს) (არ მოიპოვებოდა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ რესპონდენტი ინფორმირებული იყო პროცესებზე).

<sup>227</sup> იხ. JSC “P” v “L” LLC, საქმე a-492-sh-11-2012 (2012), (რომელიც ადგენს, რომ ლატვიის გადაწყვეტილება იყო განხორციელებადი და არ მოიცავდა დავებს საარბიტრაჟო ხელშეკრულების ფარგლებს გარეთ.)

<sup>228</sup> იხ. R.L., Ltd. v. JSC Z. Factory, საქმე a-204-sh-43-03 (2004), (სადაც ჩანს, რომ რესპონდენტმა უარი განაცხადა არბიტრის დანიშვნის უფლებაზე და ამიტომ არ შეეძლო სარჩელის შეტანა ტრიბუნალის შემადგენლობის თაობაზე).

<sup>229</sup> კანონი არბიტრაჟზე, ზემოაღნიშნული სქოლიო 104 45(ა) მუხლი. კანონი არბიტრაჟზე ღიად ტოვებს სასამართლოს მოქმედების თავისუფლების შესაძლებლობას კანონის აღსრულების პროცედურაში, სადაც გადაწყვეტილება იყო გაუქმებული არბიტრაჟის ქვეყანაში. არბიტრაჟზე კანონის ტექსტი ადგენს, რომ, თუ მხარე ამას დაამტკიცებს, მაშინ სასამართლომ შეიძლება უარი თქვას გადაწყვეტილების აღიარებასა და აღსრულებაზე.

მხარემ, რომელიც დავობს აღიარებასა და აღსრულებაზე, უნდა წამოჭრას და დაამტკიცოს ეს არგუმენტები.

მხარეს ან სასამართლოს, თანამდებობისაგან დამოუკიდებლად, შეუძლია წამოაყენოს განმეორებით ნებისმიერი საფუძველი უარისათვის. აქ არ არის მკაფიო მტკიცებულების ტვირთი, მაგრამ თუ ამ პირობებიდან სასამართლო აღმოაჩენს რომელიმე მათგანს, გადანყვეტილება აუცილებლად იქნება არასრულყოფილი. ეს საფუძველები მნიშვნელოვანია არბიტრაჟის დაწესებულებისა და სახელმწიფოსათვის:<sup>230</sup> დავის ძირითადი საკითხი საქართველოს არბიტრაჟის კანონით ვერ გვარდება,<sup>231</sup> ან გადანყვეტილება ეწინააღმდეგება სახელმწიფოებრივ პოლიტიკას.<sup>232</sup>

ისევე, როგორც გაუქმების პროცედურის შემთხვევაში, არბიტრაჟის კანონში გამოტოვებულია ტიპური კანონის განსაკუთრებული ტექსტი აღიარებისა და აღსრულებისათვის. კვლავაც ჩანს, რომ კანონის შემმუშავებლებს სურდათ, სასამართლოსთვის მიეცათ მოქმედების უფრო ფართო თავისუფლება ამ განცხადებების გადახედვაში. ეს გასაგებია საქართველოს პრობლემური არბიტრაჟის ისტორიის პირობებში, რამდენადაც სასამართლოები არასწორად იყენებენ მოქმედების თავისუფლებას.

### 3. გაურკვევლობა ორ ნაწილს შორის

ზემოაღნიშნულ ორ ნაწილს აქვს თითქმის იდენტური საფუძველები საარბიტრაჟო გადანყვეტილებების გაუქმებისათვის ან მათ აღიარებასა და აღსრულებაზე უარის თქმისთვის. შედეგად, გადანყვეტილების გაუქმების ნაწილი შეიძლება მოგვეჩვენოს გადაჭარბებულად,<sup>233</sup> მაგრამ განცხადება გაუქმებაზე შეიძლება გაკეთდეს მხოლოდ იმ ქვეყანაში, სადაც საარბიტრაჟო გადანყვეტილება იყო გამოტანილი.<sup>234</sup> გადანყვეტილების გაუქმება საშუალებას აძლევს მხარეებს, პრეტენზია განაცხადონ გადანყვეტილებაზე იმ ქვეყნის კანონის თანახმად, სადაც იყო იგი მიღებული, მიუხედავად იმ ადგილისა, სადაც მისი აღსრულება განსაზღვრულია;<sup>235</sup> მეორე მხრივ, განცხადება აღსრულებაზე შეიძლება გაკეთდეს ნებისმიერ ქვეყანაში.<sup>236</sup> ტიპური კანონი დაპროექტებული იყო სპეციფიკურად საერთაშორისო არბიტრაჟისათვის და ამ კონტექსტში ლოგიკურია ორი განცალკევებული პირობის გათვალისწინება, რამდენადაც ისინი ხშირად გვხვდება სხვადასხვა ქვეყანაში.

საპირისპიროდ, არბიტრაჟის კანონი ვრცელდება ორივე – შიდა და საერთაშორისო – არბიტრაჟზე<sup>237</sup> და ერთგვარი გაურკვევლობაა იმის თაობაზე, თუ როგორ უკავშირდება ერთმა-

<sup>230</sup> ბინდერი, ზემოაღნიშნული სქოლიო 143, 383.

<sup>231</sup> გაიხსენეთ საკითხის საარბიტრაჟო წესით განხილვისათვის არბიტრაჟის კანონში არსებული გაურკვეველი სტანდარტებით გამოწვეული პოტენციური პრობლემა: არის დავა კერძო ხასიათის? კანონი არბიტრაჟზე, ზემოაღნიშნული სქოლიო 1044, 1-ლი(2) მუხლი.

<sup>232</sup> იქვე, 45-ე(1) (ბ) მუხლი.

<sup>233</sup> ორივეს ერთდროულად არსებობამ შიდასახელმწიფოებრივი არბიტრაჟისთვის შეიძლება გამოიწვიოს ორმაგი კონტროლის პრობლემა – ორი შესაძლებლობა – სამართლებრივი განხილვის ორი შესაძლებლობა ერთსა და იმავე საფუძველზე. იხ. Renaud Sorieul, *The Influence of the New York Convention on the UNCITRAL Model Law on International Commercial Arbitration*, 2 Disp. Resol. Int'l 2735 (2008). ზოგადად, საკითხებისათვის პროცედურის გაუქმების შესახებ იხ. Albert Jan van den Berg, *Should the Setting Aside of the Arbitral Award be Abolished?*, 29 ICSID Review 2014, 263 .

<sup>234</sup> Model law, განმარტებითი შენიშვნა, ზემოაღნიშნული სქოლიო 145, 48.

<sup>235</sup> U.N. Secretary-General, *Possible Features of a Model Law on International Commercial Arbitration*, ¶ 111 (1981) U.N. Doc. A/CN.9/207 (1981) (შემდგომში – 1981 UNCITRAL-ის ანგარიში).

<sup>236</sup> იქვე, UNCITRAL Guide on the Convention on Recognition and Enforcement of Foreign Arbitral Awards, Rep. of the U.N. Comm'n on Int'l Trade L. on Its Forty-Seventh Session, 15 (Oct. 2014), U.N. Doc. A/CN.9/814.

ეს აგრეთვე დადასტურებულია შეერთებულ შტატებში. იხ. *Alghanim Y.A., Sons, W.L.L. v. Toys "R" Us, Inc.*, 126 F.3d 15 (2d Cir. 1997).

<sup>237</sup> სახელმწიფოების რაოდენობის თითქმის ნახევარმა ტიპური კანონი მიიღო როგორც შიდა, ისე საერთაშორისო არბიტრაჟისათვის. ბინდერი, ზემოაღნიშნული შენიშვნა №143, 27.



ნეთს ეს ორი პირობა შიდასახელმწიფოებრივ კონტექსტში. თბილისის სააპელაციო სასამართლოში იყო საქმე, სადაც სასამართლომ ვერ აღმოაჩინა საჯარო წესრიგის რაიმე დარღვევა და აღასრულა გადაწყვეტილება.<sup>238</sup> აღსრულების შემდეგ მოპასუხებმა წარადგინეს განცხადება გადაწყვეტილების გაუქმებაზე იმავე სასამართლოში. სასამართლომ განიხილა განცხადება გაუქმებაზე და დაადგინა, რომ გადაწყვეტილების საჯარიმო სანქციით დარღვეული იყო საჯარო წესრიგი და ნაწილობრივ შეიცვალა იგი.<sup>239</sup> მოპასუხეს რეალურად მიეცა მეორე შანსი, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს პირველი გადაწყვეტილება აღიარებასა და აღსრულებაზე იყო საბოლოო და არ ექვემდებარებოდა გასაჩივრებას.<sup>240</sup> ეს ამკარად ძირს უთხრის დასრულებულობის პრინციპს.

ამ და სხვა საქმეებისადმი საპასუხოდ არბიტრაჟის კანონს 2015 წლის შესწორებებში გაუქმების პირობებთან დაკავშირებით დაემატა ქვეპუნქტი, რომელიც სასამართლოებს მიუთითებს, უარი თქვან სარჩელზე, თუ გაუქმებისათვის მოთხოვნილი საფუძვლები იქნება იგივე, რაც უარყოფილი იყო ადრეულ სარჩელში აღიარებასა და აღსრულებაზე უარისთვის.<sup>241</sup> პარალელურად, აღიარებისა და აღსრულების პირობებზე დამატებული იყო ქვეპუნქტი, რომელიც გამორიცხავდა წარუმატებელ სარჩელებს, გაკეთებულს სასამართლო პროცესების გაუქმების წინ.<sup>242</sup> თუმცა *Res judicata* (ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება) სცილდება ამ სტატიის ფარგლებს, იგი შეიძლება მიუთითებდეს იურიდიულ გაურკვევლობაზე, რომ არბიტრაჟზე კანონი მოითხოვს შესწორებას, რათა სასამართლოებისთვის იქნეს გათვალისწინებული სპეციფიკური გამორიცხვების საკითხი.

#### 4. საერთაშორისო არბიტრაჟის გადაწყვეტილებები

საერთაშორისო არბიტრაჟთან დაკავშირებით არბიტრაჟზე კანონის მიღებამ საქართველო სრულ შესაბამისობაში მოიყვანა ნიუ-იორკის კონვენციის მოთხოვნებთან.<sup>243</sup> ნიუ-იორკის კონვენცია უზრუნველყოფს მთავარ საერთაშორისო სისტემას უცხო ქვეყნების არბიტრაჟის გადაწყვეტილებების აღქმისა და აღსრულებისათვის. ეს კონვენცია მიღებული იყო გაერთიანებული ერების მფარველობის ქვეშ, სანამ შეიქმნებოდა UNCITRAL. საქართველოში იგი ძალაში შევიდა 1994 წლის 31 აგვისტოს.<sup>244</sup> 140-ზე მეტმა ქვეყანამ მოახდინა ხელშეკრულების რატიფიცირება, მათ შორის საქართველოს ყველა მთავარმა სავაჭრო პარტნიორმა.

ნიუ-იორკის კონვენციის თანახმად, საქართველომ უნდა აღასრულოს უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები, მაგრამ სანამ მიიღებდნენ ახალ კანონს არბიტრაჟზე, არ არსებობდა აღსრულების არავითარი სრულყოფილი მეთოდი. ახლა, როდესაც კანონი არბიტრაჟზე შევიდა ძალაში, უკვე არსებობს სამართლებრივი სისტემა აღსრულების პროცესისთვის. რო-

<sup>238</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს საქმე № 2B/1262-11, (4.05.2011).

<sup>239</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს საქმე № 2B/1638-11, (12.07.2011).

<sup>240</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, ზემოაღნიშნული სქოლიო 108, 356-ე<sup>21</sup>(6) მუხლი; იხ., აგრეთვე, *ჯაფარიძე ს.*, ზემოაღნიშნული სქოლიო 677, 241-42 (განიხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომელიც მხარს უჭერს სასამართლოს ქვედა ინსტანციის მიერ გაუქმებაზე მიღებული გადაწყვეტილების საბოლოო ანუ დასკვნით ხასიათს).

<sup>241</sup> არბიტრაჟზე კანონის შესწორებები, ზემოაღნიშნული სქოლიო 108, 1-ლი (17) მუხლი; კანონი არბიტრაჟზე, ზემოაღნიშნული სქოლიო 104, 42-ე(5) მუხლი. განმარტებითი ბარათი მიუთითებს, რომ კანონის შემმუშავებლები ცდილობდნენ, ხელი შეეშალათ სააპელაციო სასამართლოებისთვის, რომ აღარ გაეგრძელებინათ „ურთიერთსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებების მიღება ერთსა და იმავე საფუძველზე“. განმარტებითი ბარათი, ზემოაღნიშნული სქოლიო 125, §(ა) (ა.გ.).

<sup>242</sup> არბიტრაჟზე კანონის შესწორებები, ზემოაღნიშნული სქოლიო 107108, 1-ლი (20) მუხლი; კანონი არბიტრაჟზე, ზემოაღნიშნული სქოლიო 104104, 45-ე (2) მუხლი.

<sup>243</sup> ნიუ-იორკის კონვენცია, ზემოაღნიშნული სქოლიო 9.

<sup>244</sup> იქვე, სტატუსი, კონვენცია უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღიარებასა და აღსრულებაზე, <[http://www.uncitral.org/uncitral/en/uncitral\\_texts/arbitration/NYConvention\\_status.html](http://www.uncitral.org/uncitral/en/uncitral_texts/arbitration/NYConvention_status.html)> (ბოლოს ნანახია 2015 წლის 23 თებერვალს).

გორც 44-ე მუხლი ადგენს, „არბიტრაჟის გადანყვეტილება, მიუხედავად იმისა, თუ რომელ ქვეყანაშია იგი მიღებული, აღიარებულ იქნება როგორც სავალდებულო ძალის მქონე და ... აღსრულებაში იქნება მოყვანილი“...<sup>245</sup> ეს კონვენცია და მასთან დაკავშირებული საერთაშორისო აღსრულების რეჟიმი არის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, თუ რატომ აძლევს საერთაშორისო ბიზნესები უპირატესობას არბიტრაჟს სამოქალაქო სასამართლო პროცესთან შედარებით.<sup>246</sup> დავების შემთხვევაში, ისინი შეიძლება გარანტირებული იყვნენ, რომ გადანყვეტილება აღსრულება თითქმის მსოფლიოს ნებისმიერ ადგილას. ახლა, როდესაც საქართველო ამ აღსრულების სისტემის ნაწილია, საერთაშორისო ბიზნესები უფრო მოინადინებენ ინვესტიციების განხორციელებას საქართველოში. ირკვევა, რომ საქართველოს უზენაეს სასამართლოს სურს, აღასრულოს უცხოური საარბიტრაჟო გადანყვეტილებები არბიტრაჟზე კანონისა და ნიუ-იორკის კონვენციის მიხედვით, თუმცა მან დაამატა მოთხოვნა (იმ კანონების საპირისპიროდ): განმცხადებელმა მხარემ უნდა წარმოადგინოს მტკიცებულება, რომ გადანყვეტილება არ იყო წინასწარ აღსრულებული ქვეყანაში, სადაც ჩატარდა არბიტრაჟი.<sup>247</sup>

## 5. საჯარო წესრიგი

ქართულმა სასამართლომ შეიძლება გააუქმოს ან უარი თქვას გადანყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე, თუ იგი ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს,<sup>248</sup> თუმცა ეს ტერმინი არ არის განსაზღვრული. ტიპური კანონის შემმუშავებლებმა დაადგინეს, რომ საზოგადოებრივი წესრიგი ფარავს „კანონისა და სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებს მატერიალური და პროცედურული მიმართულებით.“<sup>249</sup> არის აგრეთვე კონსენსუსი, რომ დამატებითი შენიშვნები უნდა გაკეთდეს ეკონომიკურად ყველაზე გამოუსწორებელ შემთხვევებში.<sup>250</sup>

<sup>245</sup> კანონი არბიტრაჟზე, ზემოაღნიშნული სქოლიო 104104, 44-ე მუხლი.

<sup>246</sup> იხ. Loukas Mistelis, *International Arbitration – Corporate Attitudes and Practices–12 Perceptions Tested: Myths, Data and Analysis Research Report*, 15 Am. Rev. Int'l Arb. 525, 538 (2004). (საპირისპიროდ, სასამართლო პროცესის გადანყვეტილებების აღსრულება საერთაშორისო არენაზე ძალზე რთულია. ახალი კონვენცია სასამართლო ხელშეკრულებების არჩევანზე ითვალისწინებს დამატებითი შენიშვნების არჩევანის ცნობასა და აღსრულებას, და შედეგიან გადანყვეტილებებს ხელმომწერი ქვეყნების კომერციულ დავებში. The Hague Convention on Choice of Court Agreements, Hague Conference on Private International Law, June 30, 2005, 44 I.L.M. 1294, <[http://www.hcch.net/index\\_en.php?act=conventions.text&cid=98](http://www.hcch.net/index_en.php?act=conventions.text&cid=98)> (ბოლოს ნანახია 2015 წლის 19 ოქტომბერს). მაგრამ კონვენციის მოქმედების არეალი არის შეზღუდული – მხოლოდ მექსიკამ და ამ ბოლო დროს ევროკავშირმა (ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა, დანიის გამოკლებით) მოახდინეს მისი რატიფიცირება და იგი ძალაში შევიდა 2015 წლის 1 ოქტომბერს. იხ. Press Release European Union Press Release, 432/15, Council of the European Union, Justice and Home Affairs (June 11, 2015), <<http://www.consilium.europa.eu/en/press/press-releases/2015/06/11-hague-convention/>> (ბოლოს შესწორდა 2015 წლის 8 ივლისს).

<sup>247</sup> იხ. Sophie Tkemaladze & Inga Kacevska, *Procedure and Documents Under Articles III and IV of New York Convention on Recognition and Enforcement of Arbitral Awards: Comparative Practice of Latvia and Georgia*, 1 Eurasian Multidisciplinary Forum 7 (ციტირებულია: საქმე №-548-სპ-10-11 და საქმე №-3573-სპ-73-2012. ორივე საქმე ხელმისაწვდომია: [www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)), (შემდგომში – ტყემალაძე ს., პროცედურა). ეს დამატებითი მტკიცება ან ორმაგი ნებართვა უცხოური სასამართლოს გადანყვეტილების შესრულებაზე გაუქმდა ნიუ-იორკის კონვენციით. Albert Jan van den Berg, *The New York Convention of 1958: An Overview*, International Council for Commercial Arbitration 17, <[http://www.arbitrationicca.org/media/0/12125884227980/new\\_york\\_convention\\_of\\_1958\\_overview.pdf](http://www.arbitrationicca.org/media/0/12125884227980/new_york_convention_of_1958_overview.pdf)> (ბოლოს ნანახია 2015 წლის 23 თებერვალს). ტყემალაძე თვლის, რომ ეს პრაქტიკა უარყოფითად იმოქმედებს საქართველოს საერთაშორისო რეპუტაციაზე, იქვე, 8.

<sup>248</sup> კანონი არბიტრაჟზე, ზემოაღნიშნული სქოლიო 104, 42-ე(1) (ბ) (ბ.ბ.); 45-ე(1) (ბ) (ბ.ბ.) მუხლები.

<sup>249</sup> U.N. Comm'n on Int'l Trade L., Rep. on the Work of its Eighteenth Session, 297, U.N. Doc. A/40/17 (1985) (შემდგომში – გაეროს 1985 წლის მოხსენება). აქ ჩანს კონსენსუსი, რომ გამორიცხვა საჯარო წესრიგის საფუძველზე ვრცელდება ორივეზე – პროცესუალურ და მატერიალურ სამართალზე, რაც გამოდინარეობს ფართო სამოქალაქო კანონის საჯარო წესრიგის კონცეფციიდან და არა უფრო ვინ-

არბიტრაჟზე კანონმდებელთა საქართველოში სამართლებრივი პრაქტიკა არბიტრაჟთან მიმართებით იზღუდებოდა საჯარო წესრიგის საკითხებით.<sup>251</sup> დღეს ეს დამატებითი შენიშვნა გახდა ქართული საარბიტრაჟო ლანდშაფტის მნიშვნელოვანი ნაწილი. ქართული სასამართლოები ხშირად აუქმებენ ან ცვლიან გადაწყვეტილებებს საჯარო წესრიგის საფუძვლებზე. საჯარო წესრიგის ყველაზე გავრცელებული საკითხი საქართველოში წამოიჭრება სახელშეკრულებო ჯარიმებიდან მაღალი საპროცენტო განაკვეთის ფორმით.<sup>252</sup> ერთ შემთხვევაში თბილისის სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ გადაწყვეტილება ეწინააღმდეგებოდა საჯარო წესრიგს, სადაც ის შეიცავდა ჯარიმების 5-6%-ზე მეტს წლიურად.<sup>253</sup> ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის ნაცვლად სასამართლომ ცნო და აღასრულა გადაწყვეტილების ნაწილი, შეამცირა რა საჯარიმო სანქცია 40%-ით.<sup>254</sup> სხვა კრედიტორის საჯარიმო პროცენტის შემთხვევაში თბილისის სააპელაციო სასამართლომ დაანება დიდი ჯარიმა საჯარო წესრიგის საპირისპიროდ და გადაწყვეტილება გადაანაწილა სამ სხვადასხვა მოპასუხეს შორის.<sup>255</sup>

ამ პრაქტიკასთან დაკავშირებით ორი პრობლემაა: პირველი – ვერ ხერხდება ქართული საჯარო წესრიგის განსაზღვრა არბიტრაჟთან დაკავშირებით. ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე სასამართლოები თვლიან, რომ საჯარიმო პროცენტზე საქართველოს კანონის ნებისმიერი დარღვევა არის საჯარო წესრიგის დარღვევა არბიტრაჟზე კანონის მიხედვით; მეორე პრობლემა არაუფლებამოსილი სასამართლო დაცვა საჯარო წესრიგის დარღვევისას. უკეთეს შემთხვევაში გაუგებარია გადაწყვეტილების შეცვლაზე უფლებამოსილება მიმდინარე სასამართლო პრაქტიკაში.<sup>256</sup> არბიტრაჟზე კანონის თანახმად, სასამართლოები უფლებამოსილი არიან, უარი თქვან გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე, თუ გადაწყვეტილებით ირღვევა საჯარო წესრიგი, მაგრამ არა აქვთ უფლება, შეცვალონ იგი. ამ სამართლებრივი მოქნილობის სასარგებლოდ ერთ-ერთი სამართლებრივი ორგანიზაცია ამტკიცებდა სა-

---

რო საერთო სამართლიდან. იქვე, 296-297; Fernando Mantilla-Serrano, *Towards a Transnational Procedural Public Policy*, 20 *Arb. Int'l* 333, 334 (2004).

<sup>250</sup> ყველაზე მეტად კოტირებული ახსნა არის საქმიდან: *Parsons & Whittmore Overseas Co., Inc. v. Societe Generale de l'Industrie du Papier RAKTA and Bank of America*, სადაც სასამართლომ დაადგინა, რომ, ნიუ-იორკის კონვენციის თანახმად, უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილება საჯარო წესრიგის გამო შეიძლება უარყოფილ იქნეს „მხოლოდ იქ, სადაც მისი აღსრულება დაარღვევდა იმ შტატის (სახელმწიფოს) მორალისა და სამართლიანობის ყველაზე ძირითად ცნებებს, სადაც მდებარეობს სასამართლო“. 508 F. 2d 969, 974 (2d Cir., 1974). იქვე.

<sup>251</sup> საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვისათვის კანონი კერძო არბიტრაჟზე (ზემოაღნიშნული სქოლიო 68) არ შეიცავდა შესწორებას საჯარო წესრიგზე. საბჭოთა სისტემას ასევე არ ჰქონდა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულების რეალური გამოცდილება, ვინაიდან საბჭოთა სანარმოები ნებაყოფლობით ასრულებდნენ გადაწყვეტილებების უმრავლესობას. იხ. *Vesselina Shaleva, The Public Policy Exception to the Recognition and Enforcement of Arbitral Awards in the Theory and Jurisprudence of the Central and East European States and Russia*, 19 *Arb. Int'l* 67, 79-85 (2003).

<sup>252</sup> *Tkemaladze, New Law*, ზემოაღნიშნული სქოლიო 733, 669.

<sup>253</sup> *Tsertsvadze, Commentary*, ზემოაღნიშნული სქოლიო 7777, 205 (ციტირებულია: თბილისის სააპელაციო სასამართლოს მასალები და თბილისის სააპელაციო სასამართლოს საქმე № 2B/1452-11 (22.06.2011)).

<sup>254</sup> იქვე, იხ. აგრეთვე *Tkemaladze, New Law*, ზემოაღნიშნული სქოლიო 73, 669 (ციტირებულია: *ბაზისბანკი კაპანაძის წინააღმდეგ*, თბილისის სააპელაციო სასამართლოს საქმე №2B/1604-11 (31.05.2011)). (სასამართლომ ჯარიმის განაკვეთი დღეში 0,1% გადაჭარბებულად ჩათვალა და შეამცირა 2%-ამდე თვეში). სანააღმდეგო საქმე *Contra Inter Maritime Management SA v. Russin & Vecchi*, *Bundesgericht [BGer][Federal Supreme Court]* Jan. 8, 1995, XXII Y.B. Comm. Arb. 789 (1997)(Switz). მისი დასკვნით, არ არის აუცილებელი, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, რომლითაც ითვლება, რომ დარღვეულია შვეიცარიის კანონი კომპოზიციური პროცენტების აკრძალვაზე, მოიცავდეს საჯარო წესრიგის დარღვევას.

<sup>255</sup> *Tsertsvadze, Commentary*, ზემოაღნიშნული სქოლიო 77, 206 (ციტირება თბილისის სააპელაციო სასამართლოს საქმის № 2B/2828-10 (26.11.2010)).

<sup>256</sup> საქართველოს კანონი სამოქალაქო საქმეებში ნებას რთავს ქართულ სასამართლოებს, შეამცირონ გადაჭარბებული საჯარიმო პროცენტი, მაგრამ არა აუცილებლად საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების მიმოხილვისას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, ზემოაღნიშნული სქოლიო 111, 420-ე მუხლი, 356.

ჯარო წესრიგის გამონაკლისთან მიმართებით.<sup>257</sup> თუმცა ამისთვის ტიპური კანონით ან არბიტრაჟის კანონით არ არის ნათლად გამოხატული უფლებამოსილება.<sup>258</sup>

საერთაშორისო კონტექსტში საქართველოს უზენაესმა სასამართლომ გაითვალისწინა საზოგადოებრივი წესრიგის გამონაკლისობა ლატვიის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებაზე პეტიციასთან დაკავშირებით. სასამართლომ დაადგინა, რომ „საჯარო წესრიგი ფუნდამენტური პრინციპია სამოქალაქო კოდექსით მართულ ურთიერთობებში“.<sup>259</sup> სასამართლომ გაანალიზა, ლატვიის გადაწყვეტილებით ირღვეოდა თუ არა სამოქალაქო კოდექსის პირობა, რომელიც ზღუდავს კრედიტორის იმ თანხის გარანტირებულ ანაზღაურებას, რომელიც რეალიზებულია მევალის ქონების გაყიდვაში. მან დაადგინა, რომ გადაწყვეტილება არ ეწინააღმდეგებოდა მევალის დაცვას საქართველოს სამოქალაქო კოდექსით და ამიტომ რთავდა ცნობისა და აღსრულების ნებას.<sup>260</sup> თუმცა სასამართლოს არაოფიციალური განცხადება იყო შეზღუდული: იგი გამოხატავდა ნებას, რომ სამოქალაქო კოდექსის დარღვევა ავტომატურად იქნებოდა საჯარო წესრიგის დარღვევა.

ასეთი პოზიცია იქნებოდა საპირისპირო საერთაშორისო კონსენსუსისა, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შედეგი შეიძლება იყოს აღმასრულებელი ქვეყნის ეროვნული კანონების დარღვევა, მაგრამ არა აუცილებლად იმ ქვეყნის საჯარო წესრიგისა ნიუ-იორკის კონვენციისა და ტიპური კანონის მიხედვით.<sup>261</sup> ამ საერთაშორისო ნორმებით სასამართლომ უნდა ჩაატაროს მეორე დონის ანალიზი იმის დასადგენად, ეროვნული კანონის დარღვევა იყო თუ არა ძირითადი მორალისა და სამართლიანობის დარღვევის დონისა.<sup>262</sup> მაგალითად, შვეიცარიის სასამართლომ დაადგინა, რომ უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, რომელიც მოიცავდა კომპოზიციური პროცენტის აკრძალვაზე შვეიცარიის კანონის დარღვევას, აუცილებლად არ იყო საჯარო წესრიგის დარღვევა.<sup>263</sup> საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ გადაწყვეტილებაში არ ირღვეოდა საქართველოს კანონი, ამიტომ მას არ მოუწია მეორე დონის ანალიზის ჩატარება. შესაძლებელია, რომ იმ განსაკუთრებული მევალის დაცვის პირობა მოიცავდეს საქართველოს საჯარო წესრიგს, მაგრამ ამას დასჭირდებოდა გაანალიზება და ახსნა. მნიშვნელოვანია, რომ სასამართლო აანალიზებს საჯარო წესრიგის გამონაკლისობის საზღვრებს და საჭირო შედეგების მისაღებად იყენებს შესაბამის მეთოდოლოგიას.

<sup>257</sup> New Delhi Conference, Final Report on Public Policy as a Bar to Enforcement of International Arbitral Awards, Int'l Law Assoc. Rec. 1(h) (2002).

<sup>258</sup> კერძო არბიტრაჟზე კანონის მიხედვით, სასამართლოებს შეეძლოთ, შეეცვალებათ გადაწყვეტილებები და ეს შეიძლება იყოს პრაქტიკის დასაწყისი. კანონი კერძო არბიტრაჟზე, ზემოაღნიშნული სქოლიო 6868, 43-ე მუხლი.

<sup>259</sup> JSC "P" v "L" LLC, საქმე a-492-sh-11-2012, 2012,4, საქართველოს უზენაესი სასამართლო.

<sup>260</sup> იქვე.

<sup>261</sup> Giuditta Cordero-Moss, *International Arbitration is Not Only International*, in *International Commercial Arbitration: Different Forms and their Features* 7, 21 (Giuditta Cordero-Moss ed., 2013). Scherk v. Alberto-Culver Co.-ით შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ აღიარა, რომ, ნიუ-იორკის კონვენციით, საჯარო წესრიგის კომპონენტი იყო უფრო მცირე და სისრულეში მოიყვანა საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილება იმის დადასტურებით, რომ ანალოგიური ხელშეკრულება თუ იქნებოდა შიდასახელმწიფოებრივი, ის აღმოჩნდებოდა კანონსაწინააღმდეგო. 417 U.S. 1974, 506. საჯარო წესრიგის გამონაკლისობა არ არის სასამართლოს სამართლებრივ სისტემასთან სრული შესაბამისობის გარანტია. კორდერო-მოსი, 21-22.

<sup>262</sup> იხ. Alan Redfern, Martin Hunter, Nigel Blackby & Constantine Partasides, Redfern and Hunter on International Arbitration 11.109, 11.111-112 (2009); Dirk Otto and Omala Elwan, *Article V(2)*, in *Recognition and Enforcement of Foreign Arbitral Awards: A Global commentary on the New York Convention* 365 (Herbert Kronke & Patricia Nacimiento eds., 2010).

<sup>263</sup> *Inter Maritime Management SA v. Russin & Vecchi*, [BGer][Federal Supreme Court] Jan. 8, 1995, XXII Y.B. Comm. Arb. 789 (1997)(Switz.).

## V. კანონის ძალის მქონე რეკომენდაციები

### ა. ფარგლების უკეთესი გარკვეულობა

არბიტრაჟზე კანონი ადგენს, რომ ის იყენებს *კერძო ხასიათის ქონებრივ დავებს*.<sup>264</sup> ამ პირობების უკეთესი გარკვეულობა გააუმჯობესებდა შედეგების პროგნოზირებას. მხარეებმა შეიძლება არ მოისურვონ არბიტრაჟში ჩართვა, თუ იქნება იმის საფრთხე, რომ სასამართლო გააუქმებს ან უარს იტყვის არბიტრაჟის გადანყვეტილების აღსრულებაზე. მაშინაც კი, როდესაც ეს პირობები ნათელია ქართველი პროფესიონალებისთვის, უცხოურ მხარეებს შეიძლება ჰქონდეთ არბიტრაჟში ჩართვის პირობა საქართველოში, თუ საკითხი ნამდვილად არ არის კერძო ხასიათის ქონებრივი დავა.

### ბ. *Ex Aequo Et Bono* (სინდისით და სამართლიანად)-სა და *Amiable Compositeur* (მშვიდობიანი შუამავალი)-ის პრინციპები

არბიტრაჟზე კანონში გამოტოვებულია ტიპური კანონის ნაწილი, რომელიც მხარეებს აძლევს უფლებას, გადანყვიტონ საქმე *ex aequo et bono* (სინდისით და სამართლიანად)-ს ან *amiable compositeur* (მშვიდობიანი შუამავლის)-ის პრინციპებზე დაყრდნობით. ორივე ცნება ითვალისწინებს გადანყვეტილებების მიღებას მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის ზოგად პრინციპებზე დაყრდნობით, რაიმე განსაკუთრებულ ეროვნულ და საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებზე მითითების გარეშე.<sup>265</sup> ეს პრინციპები საშუალებას იძლევა, მივიღოთ მოქნილი და სამართლიანი შედეგები, რომელთა მიღება შეიძლება გაძნელებულიყო მარეგულირებელი სამართლით.<sup>266</sup> მაგალითად, *amiable compositeurs*-მა შეიძლება შეზღუდოს პუნქტი ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისთვის ჯარიმების შესახებ და დააბალანსოს მხარეების მატერიალური დაინტერესება.<sup>267</sup> ორივე ცნება გავრცელებულია საერთაშორისო არენაზე<sup>268</sup> და შეიძლება იყოს ხელსაყრელი ინსტრუმენტი კონკრეტული დავების გადასაწყვეტად, როდესაც მხარეებს აქვთ არათანაბარი საბაზრო ძალაუფლება, როგორცაა, მაგალითად, დავები დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის,<sup>269</sup> ან, როდესაც მხარეები ცდილობენ ურთიერთობების შენარჩუნებას.<sup>270</sup> თუმცა ეს ცნებები შეიძლება უცხო იყოს ქართველი პრაქტიკოსებისთვის, მაგრამ არ იქნება უცხო მიუკერძოებლობასა და სამართლიანობაზე დაყრდნობით გადანყვეტილებების გამოტანის იდეა. ეს მხარეებს უნდა ჰქონდეთ როგორც ალტერნატივა.

<sup>264</sup> კანონი არბიტრაჟზე, სქოლიო 104104, 1-ლი (2) მუხლი.

<sup>265</sup> იხ. *ტრეკმენი*, ზემოაღნიშნული სქოლიო 208208; იუ, ზემოაღნიშნული სქოლიო 208208; იხ., აგრეთვე, *also Laurence Kiffer, Nature and Content of Amiable Composition*, 5 Int'l. Bus. L.J. 625 (2008).

<sup>266</sup> *კიფერი ლ.*, ზემოაღნიშნული სქოლიო 268268, 630-33.

<sup>267</sup> იქვე, 631-32.

<sup>268</sup> ცნება *ex aequo et bono* (სინდისიერად და სამართლიანად) ფართოდაა გავრცელებული მთელ მსოფლიოში. იხ. *ტრეკმენი ლ.*, ზემოაღნიშნული სქოლიო 20808, 631-32; Mark Hilgard & Ana Elisa Bruder, *Unauthorised Amiable Compositeur?*, 8 Disp. Res. Int'l 51 (2014).

<sup>269</sup> იხ. *ტრეკმენი ლ.*, ზემოაღნიშნული სქოლიო 208, 623, სქოლიო 9.

<sup>270</sup> იქვე, 624.

## გ. მოთხოვნის შეცვლა სამრეწველო პრაქტიკის გასათვალისწინებლად გადაწყვეტილებებში

კანონი არბიტრაჟზე მიჰყვება ტიპურ კანონს და ტრიბუნალისაგან მოითხოვს, გაითვალისწინოს ვაჭრობის წესები და პრაქტიკა. ამისთვის არსებობს საფუძვლიანი მიზეზები.<sup>271</sup> ის განსაკუთრებით შეესაბამება საერთაშორისო არბიტრაჟს.<sup>272</sup> თუმცა შეიძლება იყოს არათანაბარი საბაზრო შიდა საქმეები, სადაც ვაჭრობის წესები და პრაქტიკა ინდივიდუალური პირის სანინალმდეგოა. მაგალითად, ნორმალურმა პრაქტიკამ შეიძლება უზრუნველყოს გამოსყიდვის შეზღუდული უფლებები ან მსესხებლებს დააკისროს საჯარიმო პროცენტი. თუ ტრიბუნალი არ არის იძულებული, გაითვალისწინოს სამრეწველო პრაქტიკა, მან შეიძლება, უზრუნველყოს უფრო სამართლიანი შედეგი ინდივიდუალური პირისთვის.<sup>273</sup> კანონი არბიტრაჟზე უნდა შესწორდეს, რათა მოიხსნას ეს მოთხოვნა მომხმარებლის არბიტრაჟისთვის.

## დ. რემისიის პროცესის ხელშეწყობა

როგორც ჩანს, ქართული სასამართლოები ცვლიან და შემდეგ აღასრულებენ გადაწყვეტილებებს საჯარო წესრიგის საფუძველზე გამორიცხვით. ამას აქვს საექვო სამართლებრივი საფუძველი, რის გამოც ტრიბუნალები წინდაუხედაობას იჩენენ თავიანთი გადაწყვეტილებების მიღებისას. თუ სასამართლოს შეუძლია, მარტივად შეცვალოს გადაწყვეტილება რომელიმე სამართლებრივი არასრულყოფილების შესაბამისად, არავითარი რეალური შედეგი არ იქნება ტრიბუნალისთვის ან არბიტრაჟის პროვადერისთვის. უკეთესი იქნებოდა, თუ ტრიბუნალს მიეცემოდა საკუთარი შეცდომების გამოსწორების საშუალება. უფრო მკაცრი რემისიის პროცესი გააუმჯობესებდა საქმეებს, ვინაიდან უმჯობესია საქმის სხვა ინსტანციაში გადაგზავნა, ვიდრე სასამართლოებმა თვითონ შეცვალონ გადაწყვეტილება.

არბიტრაჟზე სანყისი კანონის 44-ე (3) მუხლი აღსრულებისათვის სასამართლოს რთავდა ნებას, შეეჩერებინა სასამართლო პროცესი 30 დღემდე,<sup>274</sup> მაგრამ შეტანილ იქნა არბიტრაჟზე კანონის 2015 წლის შესწორებებში.<sup>275</sup> ეს შეიძლება დაბრუნდეს გაფართოებული სახით, რომელიც მოიცავს რემისიის ძალაუფლებას. ძველი 44-ე(3) მუხლის მიხედვით, ქართული სასამართლოები ზოგჯერ მოქმედებდნენ, თითქოს ეს ძალაუფლება არსებობდა.<sup>276</sup> ეს შემოთავაზებული ცვლილება სასამართლოების პრაქტიკას დააყენებდა უფრო მტკიცე კანონიერ საფუძველზე, ხელს შეუწყობდა სამართლებრივ ნორმებს და ტრიბუნალების პატივისცემას, სრულყოფილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების მიღებას და არბიტრაჟის დამოუკიდებლობას.

<sup>271</sup> იხ. Christopher R. Drahozal, *Commercial Norms, Commercial Codes, and International Commercial Arbitration*, 33 Vand.J. Transnat'l L. 79 (2000).

<sup>272</sup> იქვე, 110-32; Avery Wiener Katz, *The Relative Costs of Incorporating Trade Usage Into Domestic versus International Sales Contracts: Comments on Clayton Gillette, Institutional Design and International Usages Under the CISG*, 5 Chi. J. Int'l L. 181, 181 (2004).

<sup>273</sup> არსებობს თვალსაზრისი, რომელიც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს კომერციული ნორმების შესაბამისობის გაერთიანებას ზოგადად კომერციის კანონში. იხ. Lisa Bernstein, *Merchant Law in a Merchant Court: Rethinking the Code's Search for Immanent Business Norms*, 144 U. Pa. L. Rev. 1765 (1995) (კომერციული ნორმები არ შეესაბამება სასამართლო გადაწყვეტილების საბოლოო ფაზას).

<sup>274</sup> კანონი არბიტრაჟზე, ზემოაღნიშნული სქოლიო 104, 44-ე(3) მუხლი. ეს არ ჩანს მოდელურ კანონში.

<sup>275</sup> შესწორებები არბიტრაჟის კანონზე, ზემოაღნიშნული სქოლიო 108, Art. 1(19) („მუხლი 44(3) ამოღებულია“).

<sup>276</sup> იხ. Tsertsvadze, *Commentary*, ზემოაღნიშნული სქოლიო 77, 113, სქოლიო 408.

## ე. უცხოური გადაწყვეტილებების დარქარებული აღსრულება

როგორც ჩანს, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ პრაქტიკულად დაამატა მოთხოვნა მხარეებისთვის, რომლებიც მიისწრაფვიან უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებისაკენ. მხარემ უნდა აჩვენოს, რომ გადაწყვეტილება არ იყო აღსრულებული ადრე მიმღებ ქვეყანაში.<sup>277</sup> ეს ეწინააღმდეგება ტიპური კანონის გეგმებს და საქართველოს ვალდებულებებს ნიუ-იორკის კონვენციის მიხედვით. თვით არბიტრაჟზე კანონსაც კი არა აქვს ასეთი მოთხოვნა.<sup>278</sup> სამწუხაროდ, არ არის სასამართლო დაცვის არანაირი ადვილი საშუალება, რომელიც შეიძლება მიეთითოს უზენაეს სასამართლოს, მაგრამ არბიტრაჟზე კანონის შესწორებით შეიძლება ნათელი გახდეს, რომ 44-ე მუხლის ტექნიკური მოთხოვნები გადაწყვეტილების ცნობასა და აღიარებაზე არის ექსკლუზიური და ვერ გაფართოვდება.

## ვ. საჯარო წესრიგის გაშუქება

დიდი ძალისხმევაა საჭირო საქართველოს საჯარო წესრიგის პარამეტრების ნათლად დასაზუსტებლად არბიტრაჟთან კავშირში. ეს შეიძლება განხორციელდეს სამართლებრივი ქმედებით ან სპეციალური სამართლებრივი ჯგუფის მიერ. თუმცა ეს არ არის ადვილი – უფრო მეტი სინათლის მოფენა საჯარო წესრიგის საკითხზე გააუმჯობესებდა პროგნოზირებადობას და შეზღუდავდა სასამართლოს შეღწევას საარბიტრაჟო პროცესში.

## VI. სავალდებულო არბიტრაჟის პრობლემის გადაჭრა

სავალდებულო არბიტრაჟი საქართველოს საარბიტრაჟო სისტემის მნიშვნელოვანი ნაწილია. თუმცა სავალდებულო არბიტრაჟი გვთავაზობს პოტენციურ სარგებელს ფირმებისთვის, როგორცაა, მაგალითად, დავის გადაწყვეტა უფრო სწრაფად და შედარებით ნაკლები ხარჯებით.<sup>279</sup> მას მაინც აქვს მნიშვნელოვანი ნაკლოვანი მხარეები. როდესაც მომხმარებელი უარს ამბობს თავის უფლებებზე სასამართლოში, მან შეიძლება, დაკარგოს მნიშვნელოვანი პროცესუალური გარანტიები, როგორცაა, მაგალითად, სასამართლოსთვის დოკუმენტების წარდგენა ან სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული იურიდიული დახმარება. უფრო მეტიც, ინდივიდუალური პირი კარგავს საჯარო ვინდიკაციის ან დამსახურებული სასჯელის მიღების შესაძლებლობას.<sup>280</sup> ამასთანავე, არბიტრაჟის კონფიდენციალობა ხელს უშლის საზოგადოებას, შეიტყოს მხარის ცუდი ქმედებების შესახებ<sup>281</sup> და ამცირებს სასამართლო დაცვის რეგულაციური აქციის აღბათობას.<sup>282</sup> არბიტრაჟის კონფიდენციალობამ შეიძლება შეზღუდოს მოსახლეობის ინფორმირება მნიშვნელოვან სოციალურ საკითხებზე<sup>283</sup> და გამორიცხოს მოსახ-

<sup>277</sup> იხ. *ტყემალაძე ს.*, პროცედურა, ზემოაღნიშნული სქოლიო 250, 7-8.

<sup>278</sup> 44-ე (2) მუხლი ადგენს ტექნიკურ მოთხოვნებს განაცხადის რეგისტრაციასა და შენახვაზე. კანონი არბიტრაჟზე, ზემოაღნიშნული სქოლიო 10404, 44-ე(2) მუხლი.

<sup>279</sup> იმპერატიულ არბიტრაჟს ჰყავს თავისი დამცველები. იხ. მაგ., Jason Scott Johnson, *The Return of Bargain: An Economic Theory of How Standard Form Contracts Enable Cooperative Negotiation Between Businesses and Consumers*, 104 Mich. L. Rev. 857 (2006); Stephen J. Ware, *Paying the Price of Process: Judicial Regulation of Consumer Arbitration Agreements*, 2001 J. Disp. Resol. 89 (2001); Becky L. Jacobs, *Often Wrong, Never in Doubt: How Anti-Arbitration Expectancy Bias May Limit Access to Justice*, 62 Me L. Rev. 531 (2010).

<sup>280</sup> George Padis, *Arbitration Under Siege: Reforming Consumer and Employment Arbitration and Class Actions*, 91 Tex. L. Rev. 665, 685 n.131 (2013).

<sup>281</sup> Schmitz, *Privacy*, *supra* note 206, at 1232.

<sup>282</sup> Michael A. Satz, *How the Payday Predator Hides Among Us: The Predatory Nature of the Payday Loan Industry and its Use of Consumer Arbitration to Further Discriminatory Lending Practices*, 20 Temp. Pol. & Civ. Rts. L. Rev. 123, 145 (2010).

<sup>283</sup> იქვე, 146.

ლეობის სხვა ორგანიზაციებზე მსჯელობის შემკავებელი ეფექტი.<sup>284</sup> თვით არბიტრებს აქვთ შეზღუდული პასუხისმგებლობა, განპირობებული მათი სამუშაოს კერძო ხასიათით, გადანყვეტილებების<sup>285</sup> ხელშეუხებლობით და სასამართლოს შეზღუდული მონაწილეობით.

ერთ-ერთი აღსანიშნავი საკითხი არის *repeat player* (*მოთამაშის განმეორების*) პრობლემა. წინაპირობა ისაა, რომ არაკომერციული საარბიტრაჟო ცენტრები<sup>286</sup> ერთმანეთს უწევენ კონკურენციას, რათა კომპანიებმა გაიმეორონ საქმიანობა დავის გადასაჭრელად.<sup>287</sup> იმის გამო, რომ ეს კომპანიები ადგენენ ხელშეკრულებებს, პროვაიდერებს აქვთ სტიმული, შესთავაზონ მათ უფრო ხელსაყრელი პროდუქტი.<sup>288</sup>

პროდუქტები, რომლებსაც ეს პროვაიდერები სთავაზობენ თავიანთ კლიენტებს, შეიძლება გამიზნულად ან უნებლიეთ აძლევდეს სარგებელს მათ კლიენტებს. გამიზნული ტენდენციის მაგალითია საარბიტრაჟო მომსახურების პროვაიდერების მარკეტინგი ბიზნესებზე, რომლებიც ჰპირდება ბიზნესისთვის პერსპექტიულ პროდუქტს<sup>289</sup> და ინდივიდუალური არბიტრების ამოღებას პროვაიდერის სიიდან, ბიზნესისთვის ხელსაყრელი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მიუღებლობის გამო.<sup>290</sup> არანინასნარ გამიზნული ტენდენციის მაგალითია ჩვეულებრივი ბიზნესი და სოციალური მეგობრობა, რომელიც არის გრძელვადიანი მოქმედი ბიზნესურთიერთობა პროვაიდერსა და მის კორპორატიულ კლიენტებს შორის;<sup>291</sup> მეორე მაგალითია მრეწველობის ინსაიდერების განმეორებითი გამოყენება არბიტრებად. თუმცა ნეიტრალუბის ექსპერტიზა ითვლება არბიტრაჟის ერთ-ერთ უპირატესობად, ინსაიდერს შეიძლება ჰქონდეს საერთო ტენდენცია მრეწველობის სასარგებლოდ.<sup>292</sup> უფრო მეტიც, ექსპერტი მოისურვებს, გააგრძელოს არბიტრების დანიშვნების მიღება (არბიტრაჟის პროვაიდერისაგან ან კორპორატიული მხარისაგან) და შეიძლება ეს გაითვალისწინოს გადაწყვეტილების მიღებისას.<sup>293</sup>

ტიპური კანონისა და არბიტრაჟზე კანონის მიხედვით ითვლება, რომ მხარეები ნებაყოფლობით დებენ საარბიტრაჟო ხელშეკრულებას.<sup>294</sup> მაინც ეს თანხმობა პრობლემურია, როდესაც მომხმარებელი იძულებულია, დაეთანხმოს არბიტრაჟს, როგორც კონტრაქტის სტანდარტული ფორმის ნაწილს.<sup>295</sup> მომხმარებელს არა აქვს არავითარი საბაზრო ძალაუფლება, როდესაც

<sup>284</sup> Geraldine Szott Moohr, *Arbitration and the Goals of Employment Discrimination Law*, 56 Wash. & Lee L. Rev. 395, 431 (1999).

<sup>285</sup> თუმცა საქართველოში არბიტრები არ არიან დაცულნი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან თვითნებური ქცევისათვის. *Tsertsvadze, Commentary*, ზემოაღნიშნული სქოლიო 77, 115 (ციტირებულია: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 332-ე მუხლი).

<sup>286</sup> Miles B. Farmer, *Mandatory and Fair? A Better System of Mandatory Arbitration*, 121 YALE L. J. 2346, 2356 (2012); Jeff Guarrera, *Mandatory Arbitration: Inherently Unconscionable, but Immune from Unconscionability*, 40 W. St. U. L. Rev. 89, 93 (2012).

<sup>287</sup> იხ. Jean R. Sternlight, *Creeping Mandatory Arbitration: Is It Just?*, 57 Stan. L. Rev. 1631, 1650 (2005).

<sup>288</sup> იქვე.

<sup>289</sup> *ფერმერი მ.ბ.*, ზემოაღნიშნული სქოლიო 289, 2359.

<sup>290</sup> იქვე.

<sup>291</sup> იხ. Sarah Rudolph Cole, *Revising the FAA to Permit Expanded Judicial Review of Arbitration Awards*, 8 Nev. L.J. 214, 217 (2007).

<sup>292</sup> იხ. ზემოაღნიშნული სქოლიო 289, 93-94 (Guarrera “Prosecutors do not get to choose judges who worked as prosecutors.”).

<sup>293</sup> იხ. Farmer, *supra* note 289, at 2357; Guarrera, *supra* note 289, at 93-94; Satz, *supra* note 285, at 143. Alexander O. Rodriguez, *The Arbitrary Arbitrator: The Seventh Circuit Offers a Lending Hand* [Green v. U.S. Cash Advance III. LLC, 724 F.3d 787 (7th Cir. 2013)], 53 Washburn L.J. 617, 636 (2014) („ვინაიდან არბიტრები მეტოქეობას უწევენ ერთმანეთს კლიენტებისთვის, ისინი ავლენენ ძლიერ სავაჭრო მარკას და რეპუტაციას მრეწველობის კონკრეტულ დარგებში“).

<sup>294</sup> იხ. 1981 UNCITRAL Report, *supra* note 238, at 78, 18.

<sup>295</sup> იხ. Friedrich Kessler, *Contracts of Adhesion—Some Thoughts About Freedom of Contract*, 43 Colum. L. Rev. 629 (1943); Padis, *supra* note 283, at 684. იხ. ზოგადად, Alan Scott Rau, *Arbitral Jurisdiction and Dimensions of “Cons”*, 24 Arb. Int'l 199 (2008)(discussing consent in commercial arbitration).



საც „აილე ან ნადი“<sup>296</sup> პრინციპის საფუძველზე ბიზნესი წარადგენს პუნქტს მომავალი დავების საარბიტრაჟო წესით გადაწყვეტაზე. მომხმარებელი შეიძლება არც კი იცოს ინფორმირებული, რომ მას უარი აქვს ნათქვამი სასამართლო სისტემისადმი ხელმისაწვდომობის უფლებაზე.<sup>297</sup> ამასთანავე, მომხმარებელთა უმეტესობა პროდუქტების შეძენისას არ ფიქრობს მომავალ დავებზე. თუნდაც რომ ფიქრობდნენ ამაზე, მაინც სრულყოფილად ვერ გაიგებდნენ რისკებს.<sup>298</sup>

საარბიტრაჟო პროცესის განმავლობაში მხარეები არიან აგრეთვე არათანაბარ მდგომარეობებში. კორპორაციის მუდმივ კლიენტს, ერთჯერადი ინდივიდუალური კლიენტისაგან განსხვავებით, შეუძლია, შეაფასოს თავისი წარსული და გააკეთოს შესაბამისი არჩევანი.<sup>299</sup> ის ინფორმაციული ასიმეტრია შედგენილია პრაქტიკული ასიმეტრიით. კორპორაციის რწმუნებულები, ინდივიდუალურისაგან განსხვავებით, ირჩევენ სასამართლოს და წესებს, და იღებენ პრაქტიკულ გამოცდილებას, სწავლობენ რა შეცდომებზე.

მუდმივი მოთამაშის ეს ბოროტად გამოყენებები ინტენსიურად იყო გასაჯაროებული 2009 წლის ივლისში, როდესაც შეერთებული შტატების ერთ-ერთი უმსხვილესი პროვაიდერი, ეროვნული საარბიტრაჟო ფორუმი (NAF), იძულებული იყო, გაეყვანა მომხმარებელი საარბიტრაჟო საქმიდან.<sup>300</sup> სამი დღის შემდეგ ამერიკის საარბიტრაჟო ასოციაციამ ნებაყოფლობით შეაჩერა არბიტრაჟი ყველა მომხმარებლის ვალებზე.<sup>301</sup> ამ შემთხვევებმა ხელი შეუწყო საკანონმდებლო მცდელობებს, შეეზღუდათ მომხმარებლის სავალდებულო არბიტრაჟი შეერთებულ შტატებში, მსგავსად შეზღუდვებისა ევროკავშირში.<sup>302</sup> მიუხედავად ამისა, იზრდება სა-

<sup>296</sup> Padis, *supra* note 283, at 684; Farmer, *supra* note 289, at 2359 (2012); David S. Swartz, *Enforcing Small Print to Protect Big Business: Employee and Consumer Rights Claims in an Age of Compelled Arbitration*, 1997 Wis. L. Rev. 33, 57-59. იხ. Steven J. Ware, *Consumer Arbitration as Exceptional Consumer Law (With a Contractualist Reply to Carrington and Haagen)*, 29 McGeorge L. Rev. 195 (1998).

<sup>297</sup> იხ. *Sternlight J.R.*, Creeping Mandatory Arbitration: Is It Just?, 57 Stan. L. Rev. 1631, 2005, 1648. ქცევების მეცნიერულმა კვლევებმა დაადგინა, რომ მომხმარებლები „შეზღუდულად რაციონალურები“ არიან და გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში იღებენ პროდუქტის მხოლოდ რამდენიმე ატრიბუტს. რამდენადაც არბიტრაჟი, ჩვეულებისამებრ, არ მოიაზრება ამ გათვალისწინებულ ატრიბუტებში, შემუშავებლების ჯგუფი მოტივირებულია, შეიტანოს იგი თავის სტანდარტულ პირობებში. Russell Korobkin, *Bounded Rationality, Standard Form Contracts, and Unconscionability*, 70 U. Chi. L. Rev. 1203 (2003).

<sup>298</sup> მომხმარებლებს მიაჩნიათ, რომ მათ არ შეეხებათ შორეული მოსალოდნელი შემთხვევები და ამიტომ სათანადოდ ვერ აფასებენ მათთან დაკავშირებულ რისკებს. Michael Spence, *Consumer Misperceptions, Product Failure and Producer Liability*, 44 Rev. Econ. Stud. 561 (1977). ამას ეწოდა ჰიპერბოლური ფასდაკლება. Benjamin A. Malin, *Hyperbolic Discounting and Uniform Savings Floors*, 92 J. Pub. Econ. 1986 (2008).

<sup>299</sup> Schmitz, *Privacy*, *სქოლიო* 206, at 1232; Satz, *supra* note 285, at 143.

<sup>300</sup> Rob Gordon, *Binding Pre-Dispute Agreements: Arbitration's Gordian Knot*, 43 Ariz. St. L.J. 263, 263 (2011).

<sup>301</sup> Press Release, American Arbitration Association, *The American Arbitration Association® Calls For Reform of Debt Collection Arbitration: Largest Arbitration Services Provider Will Decline to Administer Consumer Debt Arbitrations until Fairness Standards are Established* (July 23, 2009) <<https://www.nclc.org/images/pdf/arbitration/testimonysept09-exhibit3.pdf>> (ბოლოს შესწორდა 2015 წლის 7 ოქტომბერს).

<sup>302</sup> შეერთებული შტატების მცდელობები 2007-2015 წლებში ფოკუსირებული იყო არბიტრაჟის სამართლიანობის აქტზე, რომელიც უნდა გადავიდეს კანონში. შესაძარებლად იხ. შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის მომხმარებელთა უფლებების დაცვა ამ სფეროში: Fischer J., *Consumer Protection in the United States and European Union: Are Protections Most Effective Before or After a Sale?*, 32 Wis. Int'l L.J. 2014, 308; Schmitz A.J., *American Exceptionalism in Consumer Arbitration*, 10 Loy. U. Chi. Int'l L. Rev. 2013, 81, შემდგომში – Schmitz A.J., *Exceptionalism*; Niedermaier T., *Arbitration Agreements Between Parties of Unequal Bargaining Power – Balancing Exercises on Either Side of the Atlantic*, 39 ZDAR 2014, 12. რამდენიმე ევროპელმა სპეციალისტმა განიხილა საკითხი იმასთან დაკავშირებით, გამოხატავდა თუ არა არბიტრაჟის ეს პირობები ადამიანის უფლებების დაცვაზე ევროპული კონვენციის მე-6 (1) მუხლს (ECHR), რომელიც არის გარანტია უფლებისა სამართლიან სასამართლოზე დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ტრიბუნალის მიერ. Robinson W., *Kasolowsky B.*, *Will the United Kingdom's Human Rights Act Further Protect Parties to Arbitration Proceedings?*, 18 Arb. Int'l 2002, 453; but იხ. Neil McDonald, *More Harm than Good? Human rights Considerations in International Commercial Arbitration*, 20 J. Int'l Arb. 523,

ვალდებულო არბიტრაჟის სიხშირე შეერთებული შტატების მომხმარებლებისათვის,<sup>303</sup> და იგი კვლავ დომინირებს მომხმარებელთა ბევრ რაიონში.<sup>304</sup> ჯერჯერობით, ამ დროისათვის, შეერთებული შტატების მომხმარებლებისათვის სავალდებულო არბიტრაჟის ემპირიულმა კვლევებმა მოგვცა შერეული შედეგები.<sup>305</sup>

საქართველოში, კი, როგორც ჩანს, სავალდებულო არბიტრაჟი მომხმარებელთა კონტრაქტებში ფართოდ არის გავრცელებული.<sup>306</sup> ქართველი მომხმარებლები, ალბათ, უფრო მეტად არ ითვალისწინებენ ან არ ხვდებიან, ან ვერ თანხმდებიან არბიტრაჟის პუნქტებზე, ვიდრე ამერიკელი მომხმარებლები და იღებენ განმეორებითი მოთამაშის შედეგებს. ქართული არბიტრაჟის პროვაიდერები არიან კომერციული ორგანიზაციები, რომლებიც ეჯიბრებიან ერთმანეთს განმეორებითი ბიზნესოპერაციებისთვის კორპორაციის კლიენტებისაგან.<sup>307</sup> ზოგი მათგანი თავისი კლიენტებისთვის სთავაზობს ფასდაკლებას საკომისიოებზე.<sup>308</sup> პროვაიდერების უმრავლესობა მომხმარებლის არბიტრაჟს ატარებს ერთი არბიტრით, რომელსაც ირჩევს ცენტრი.<sup>309</sup> საქართველოში კვალიფიცირებული არბიტრები შეზღუდული რაოდენობით არიან, რაც ზრდის განმეორებითი მოთამაშის პრობლემის ალბათობას.<sup>310</sup> ყველაზე დიდი პრობლემა ისაა, რომ საქმეების

---

2003, 537. საქართველომ მოახდინა ECHR-ის რატიფიცირება 1999 წელს. იხ. საქართველო, ქვეყნის პროფილი, ევროპული სასამართლო ადამიანის უფლებების დაცვაზე (იანვარი, 2015 წელი), [http://www.echr.coe.int/Documents/CP\\_Georgia\\_ENG.pdf](http://www.echr.coe.int/Documents/CP_Georgia_ENG.pdf) (ბოლოს შესწორდა 2015 წლის იანვარში).

<sup>303</sup> არბიტრაჟის შესწავლა – საანგარიშო მოხსენება კონგრესზე – უოლ სტრიტის რეფორმირებისა და მომხმარებელთა დაცვის დოდ-ფრენკის კანონის § 1028(a)-ის თანახმად, მომხმარებელთა ფინანსური დაცვის ბიურო (მარტი, 2015 წელი), ნაწილი 2, 11-13, 15-17, 20), <[http://files.consumerfinance.gov/f/201503\\_cfpb\\_arbitration-study-report-to-congress-2015.pdf](http://files.consumerfinance.gov/f/201503_cfpb_arbitration-study-report-to-congress-2015.pdf)> (ბოლოს შესწორდა 2015 წლის 19 ოქტომბერს (შემდგომში – არბიტრაჟის შესწავლა)). მომხმარებელთა ფინანსური დაცვის ბიურომ (CFPB) ჩაატარა არბიტრაჟის შესწავლა უოლ-სტრიტის რეფორმირებისა და მომხმარებელთა დაცვის დოდ-ფრენკის კანონის §1028(a)-ის თანახმად, საჯარო კანონი, 2010, Pub. L. No. 111-203, tit. X, 124 Stat. 1376, 2010, 1955, (შემდგომში – დოდ-ფრენკი).

<sup>304</sup> არბიტრაჟის შესწავლა, ზემოაღნიშნული სქოლიო 306, 1-ლი ნაწილი, 9-10.

<sup>305</sup> კვლევების მაგალითებისათვის, რომლებიც აჩვენებს განმეორებით ხმის მიცემას და სხვა მიკერძოებულ დამოკიდებულებას მომხმარებელთა სავალდებულო არბიტრაჟში. იხ. გორდონი, ზემოაღნიშნული სქოლიო 304, 273; *O'Donnell J., Public Citizen, The Arbitration Trap: How Credit Card Companies Ensnare Consumers* 2007, 15, <[http://www.citizen.org/documents/Arbitration Trap.pdf](http://www.citizen.org/documents/Arbitration%20Trap.pdf)> (ბოლოს შესწორდა 2015 წლის სექტემბერში). მაგალითებისთვის, რომლებშიც ჩანს ტენდენციურობის უარყოფა ან იმის მტკიცება, რომ არბიტრაჟის შედეგები მომხმარებლებისთვის არ არის უკეთესი, ვიდრე სასამართლო პროცესისა, იხ. *აკობსი*, ზემოაღნიშნული სქოლიო 2822, 538-540 (რომელიც მიმოიხილავს დღემდე არსებულ ემპირიულ შესწავლებას); *Searle Civil Justice Inst., Consumer Arbitration Before the American Arbitration Association* 2009, 109-13, <[https://www.adr.org/aaa/ShowPDF?doc=ADRSTG\\_010205](https://www.adr.org/aaa/ShowPDF?doc=ADRSTG_010205)>, (13.09.2015), (შემდგომში *Searle Study*). იხ. *Dražozač Ch.R., Zyontz S., An Empirical Study on AAA Consumer Arbitrations*, 25 *Ohio St. J. on Disp. Resol.* 2010, 843.

<sup>306</sup> ბევრი პროვაიდერისთვის მომხმარებელთა სავალდებულო არბიტრაჟი წარმოადგენს მათი საქმეების უმრავლესობას. *Tkemaladze, New Law*, ზემოაღნიშნული სქოლიო 733, 668-669.

<sup>307</sup> იქვე, 668 (ყველა პროვაიდერი არის კომერციული ორგანიზაცია).

<sup>308</sup> მაღალკვალიფიციურ ქართულ საარბიტრაჟო ცენტრს ეს პირობა აქვს თავის ნორმებში (მისი საკუთარი ინგლისური თარგმანი): DRC-სა და კორპორატიულ კლიენტს (კლიენტი, რომელიც თვლის, რომ არბიტრაჟის პუნქტი კონტრაქტებში დადებულია მისი ბიზნესის სფეროში; DRC გამოსახავს ფაქტობრივი არბიტრაჟის ცალკეულ პოზიციას) შორის დადებული კონტრაქტის საფუძველზე კორპორატიულ კლიენტთან დაკავშირებული დავებისთვის შეიძლება სხვადასხვა იყოს არბიტრაჟის გადასახადის რაოდენობა და მათი გადახდის პირობები განსხვავდებოდეს ამ რეგულაციებით გათვალისწინებული პირობებისგან.

DRC არბიტრაჟის ნორმები, ზემოაღნიშნული სქოლიო 130, 29-ე მუხლი, 20 (გამოყოფილია ჩვენ მიერ).

<sup>309</sup> *Tsertsvadze, Commentary*, ზემოაღნიშნული სქოლიო 778, 104.

<sup>310</sup> იხ. სატცი, ზემოაღნიშნული სქოლიო 2855, 147-148 („არბიტრების შეზღუდული რაოდენობით მიღების გამო დაშვებულ არბიტრებს უფრო მეტად მოსმენილი აქვთ მრავალი საქმე მრეწველობის ერთსა და იმავე კონკრეტულ სფეროში და უფრო მეტია ალბათობა, რომ მოსმენილი აქვთ მრავალი საქმე ერთი და იმავე კომპანიიდან“).

უმრავლესობა დაკავშირებულია საფინანსო ან სადაზღვევო კომპანიებთან, რომლებიც მომხმარებლების საპირისპიროდ აგროვებენ ვალებს,<sup>311</sup> რაც ყველაზე დიდი დარღვევების სფეროა შეერთებულ შტატებში. თუმცა არ არსებობს მტკიცებულება, რომ ქართული არბიტრაჟის პროვაიდერები ანუ არბიტრები ჩაბმულნი არიან რაიმე არაკანონიერში, აქტივობები ჩანს მომხმარებლის საწინააღმდეგოდ. ერთ-ერთმა უმსხვილესმა ქართულმა პროვაიდერმა აღიარა, რომ ჰქონდა 100%-იანი მოგება თავისი ბანკის კლიენტებისთვის.<sup>312</sup> საქართველოს კანონი არ ითვალისწინებს პერსონალურ დაცვას გაკოტრებისას, ამრიგად, ვალების დაგროვებაზე ბევრი ეს გადაწყვეტილება რჩება სესხის ამღებებთან მთელი სიცოცხლის განმავლობაში.<sup>313</sup>

## ა. დავის არბიტრაჟის წესით გადაწყვეტის შესაძლებლობა

სუსტი მხარეების დაცვის მიზნით საქართველომ შეიძლება შეზღუდოს დავის არბიტრაჟის წესით გადაწყვეტის შესაძლებლობა დავების კონკრეტული ჯგუფების არბიტრაჟიდან გამორიცხვის დაკანონებით.<sup>314</sup> მაგალითად, კანონმდებლობას შეუძლია, გამორიცხოს ნებისმიერი დავა, რომელიც ეხება მომხმარებლის დაგროვილ ვალს საკრედიტო ბარათთან ან საბანკო სესხთან დაკავშირებით. ამ მიდგომის უპირატესობა არის სიმარტივე – მოსახლეობა მიხვდება, რომ ეს დავები არ ექვემდებარება საარბიტრაჟო წესით განხილვას. შეერთებულმა შტატებმა ასეთი მიდგომა შეიტანა: დოდ-ფრენკის კანონში (კანონი აშშ-ის საფინანსო სექტორის რეფორმაზე), რომელიც გამორიცხავს მომხმარებელთა უძრავი ქონების კონტრაქტებში არსებულ სავალდებულო არბიტრაჟის პუნქტებს,<sup>315</sup> და არბიტრაჟის მიუკერძოებლობის კანონებში, რომლებიც კრძალავენ დავამდე საარბიტრაჟო ხელშეკრულებებს დასაქმებაში, მომხმარებლის, ანტიტრესტულ და მოქალაქის უფლებებთან დაკავშირებულ დავებში.<sup>316</sup> საფრანგეთი კრძალავს დავებამდე სავალდებულო არბიტრაჟის პუნქტებს მომხმარებელთა კონტრაქტებში.<sup>317</sup> გერმანია კრძალავს საცხოვრებელ იჯარასა და დასაქმებასთან დაკავშირებული დავების საკითხებს,<sup>318</sup> ხოლო ინგლისი კრძალავს არბიტრაჟს, თუ სარჩელის თანხა არის 5 000 ევროზე ნაკლები.<sup>319</sup> ამ მიდგომით სახელმწიფო მაინც კარგავს არბიტრაჟის სარგებელს. ბიზნესები, სავარაუდოდ, გამოინ-

<sup>311</sup> Michael D. Blechman, *Assessment of ADR in Georgia*, East West Management Institute at 4-6 (Oct. 2011), <http://www.ewmi-jilep.org/images/stories/books/assessment-of-adr-in-georgia.pdf>, (last visited Sept. 13, 2015).

<sup>312</sup> იქვე, 4.

<sup>313</sup> იქვე.

<sup>314</sup> ერთ-ერთი ქართველი სპეციალისტი იძლევა არბიტრაჟის აკრძალვას ქართველი მომხმარებლები-სათვის. *Tkemaladze, New Law*, ზემოაღნიშნული სქოლიო 733, 671.

<sup>315</sup> დოდ-ფრენკი, ზემოაღნიშნული სქოლიო 306, 15 U.S.C. §1639c(e) 2010. იხ., აგრეთვე, Todd Zywicki, *The Consumer Financial Protection Bureau: Savior or Menace?*, 81 *Geo. Wash. L. Rev.* 856, 2013, 907, („დოდ-ფრენკი კრძალავს არბიტრაჟის სავალდებულო ნორმებს იპოთეკურ ხელშეკრულებაში და საკუთარი კაპიტალის სასესხო კონტრაქტებში.“).

<sup>316</sup> არბიტრაჟის სამართლიანობის აქტი, 2013, S. 878, 113-ე კონგრესი (2013-2014), C.R.S., ხელმისაწვდომია: at <<https://www.congress.gov/bill/113th-congress/senate-bill/878>> (7.10.2015). იხ. ზოგადად, Peter B. Rutledge, *Who Can Be Against Fairness? The Case Against the Arbitration Fairness Act*, 9 *Cardozo J. Conflict. Resol.* 2008, 267; *Mandelbaum J.T.*, *Stuck in a Bind: Can the Arbitration Fairness Act Solve the Problems of Mandatory Binding Arbitration in the Consumer Context?*, 94 *Iowa L. Rev.* 2008, 1075; Sarah Rudolph Cole, *On Babies and Bathwater: The Arbitration Fairness Act and the Supreme Court's Recent Arbitration Jurisprudence*, 48 *Hous. L. Rev.* 2011, 457.

<sup>317</sup> Shelley McGill, *Consumer Arbitration Clause Enforcement: A Balanced Legislative Response*, 47 *Am. Bus. L.J.* 361, 391 (2010)(citing French laws); Peter B. Rutledge & Anna W. Howard, *Arbitrating Disputes Between Companies And Individuals: Lessons From Abroad*, 65 *Disp. Resol. J.*, 30, 34 (2010)(citing French laws).

<sup>318</sup> Niedermaier, ზემოაღნიშნული სქოლიო 305, 17 (ციტირებულია: *Zivilproziessordnung (ZPO)*, სამოქალაქო პროცესის კოდექსი, 30 იანვარი, 1877, *Reichsgesetzblatt (RGBt)* 97, შესწორებული, §§ 1025 et seq., <[http://www.gesetze-im-internet.de/englisch\\_zpo/englisch\\_zpo.html](http://www.gesetze-im-internet.de/englisch_zpo/englisch_zpo.html)>(ბოლოს შესწორდა 13 სექტემბერს, 2015).

<sup>319</sup> *Schmitz A.J.*, *Exceptionalism*, ზემოაღნიშნული სქოლიო 305, 98 (ინგლისის 1996 წლის არბიტრაჟის კანონი კრძალავს დავამდე და დავის შემდეგ არბიტრაჟის პუნქტებს, რათა დაიცვას ცალკეული პირების ხელმისაწვდომობა წვრილმანი დავების სასამართლოებზე).

ვევს გაზრდილ ხარჯებს, რაც ან შეამცირებს მათ მოგებიანობას, ან ის გადავა მომხმარებელზე უფრო მაღალი ფასების სახით.<sup>320</sup> ის ყველა ამ დავას მიაღებინებს სასამართლო სისტემას, რაც გაზრდის საქმეებით გადატვირთვას და დავის გადანყვეტისათვის საჭირო დროს.<sup>321</sup> ნაცვლად მცოდნე სპეციალისტებისა, ფართო პროფილის მოსამართლეები შეეცდებიან დავების განხილვას. უფრო მეტიც, როგორც რამდენიმე კვლევა აჩვენებს, არ არის ნათელი, რომ მომხმარებლის შედეგები უმჯობესდება სასამართლო პროცესში.<sup>322</sup> საქმეების უმრავლესობას შეადგენს ვალების დაგროვებასთან დაკავშირებული დავების საკითხები და ასეთი ტიპის საქმეების წარმატებით დასრულების ხარისხი სასამართლოებში, საზოგადოდ, არის აგრეთვე მაღალი.<sup>323</sup> საბოლოოდ, ამან შეიძლება დარტყმა მიაყენოს ქართულ არბიტრაჟს ზოგადად, ზიანი მიაყენოს არბიტრაჟის რეპუტაციას, ბევრი პროვადერი ჩამოაშოროს ბიზნესს და შეამციროს არბიტრაჟის ხელმისაწვდომობა სხვა სამართლებრივ საკითხებში.

## ბ. მოთხოვნების ფორმა და სასამართლო კონტროლი

დავის გადაჭრის მეორე შესაძლო გზა არის ფორმის სავალდებულობის დანესება სა- მომხმარებლო კონტრაქტებისთვის, სასამართლოს მიერ ფართო ინტერპრეტაციის შესაძლებლობის გათვალისწინება და მომხმარებლის ინფორმირებულობის გაზრდა. მაგალითად, გერმანიის მომხმარებლის საარბიტრაჟო ხელშეკრულებები უნდა იყოს გამოყოფილი ცალკეულ დოკუმენტად და ხელმოწერილი ორივე მხარის მიერ.<sup>324</sup> შეერთებულ შტატებში ასეთი ტიპის მოთხოვნა დაუშვებელია კონტრაქტების უმრავლესობაში.<sup>325</sup> თუმცა CFPB (მომხმარებლის ფინანსური დაცვის ბიურო) უფლებამოსილია, შეისწავლოს მომხმარებელთა არბიტრაჟი ფინანსურ ხელშეკრულებებში და მომავალში სხვა რეგულაციებთან ერთად გამოსცეს მოთხოვნების ფორმა.<sup>326</sup> პუნქტებში, რომლებსაც CFPB განიხილავს, არის ხელშეკრულებიდან გამოსვლები,<sup>327</sup> გამოყოფები,<sup>328</sup> გადასახადებისა და ხარჯების განაწილება<sup>329</sup> და გასაჯაროება.<sup>330</sup>

<sup>320</sup> იხ. Ware, ზემოაღნიშნული სქოლიო 282 (არბიტრაჟი ამცირებს ბიზნესის ხარჯებს და კონკურენცია იძულებულს ხდის ბიზნესებს, გადავიდნენ დაზოგვებზე მომხმარებლების მიმართ). მაგ. იხ. არბიტრაჟის კვლევა, ზემოაღნიშნული სქოლიო 306, მე-10 ნაწილი, 16-17 („ჩვენ ვერ აღმოვაჩინეთ სტატისტიკურად მნიშვნელოვანი მტკიცებულება იმ ჰიპოთეზის დასადასტურებლად, რომ კომპანიები აცნობიერებენ და მომხმარებლების მიმართ ფასების დანევის ფორმით ატარებენ ხარჯების დაზოგვებს, რაც უკავშირდება მათ მიერ დავამდე არბიტრაჟის გამოყენების პუნქტებს“).

<sup>321</sup> ქართული საარბიტრაჟო გარჩევის პროცესი ერთ წლამდე. *Blechman M.D.*, ზემოაღნიშნული სქოლიო 314, 4.

<sup>322</sup> იხ. მაგ., Searle Study, ზემოაღნიშნული სქოლიო 308. სასამართლო პროცესშიც შეიძლება იყოს განმეორებით მოთამაშესთან დაკავშირებული იგივე გადახრები, რაც სავალდებულო არბიტრაჟში. Marc Galanter, *Why the Haves Still Come Out Ahead: Speculations on the Limits of Legal Change*, 9 *Law & Soc'y Rev.* 95 (1974), (განიხილავს სასამართლო სისტემის დადებით შედეგებს განმეორებით მოთამაშესთან დაკავშირებით). იხ., აგრეთვე, გორდონი, ზემოაღნიშნული სქოლიო 3033, 274-275 (სასამართლო პროცესმა ვითარება შეატრიალა მომხმარებლების საწინააღმდეგოდ).

<sup>323</sup> იხ. Gordon, ზემოაღნიშნული სქოლიო 3033, 282-იდან (ციტირებულია: რამდენიმე ემპირიული შესწავლა შეერთებულ შტატებში).

<sup>324</sup> Niedermaier, ზემოაღნიშნული სქოლიო 305, 18; ZPO, ზემოაღნიშნული სქოლიო 321, § 1031(5).

<sup>325</sup> იხ. Margaret L. Moses, *Privatized "Justice,"* 36 *Loy. U. Chi. L.J.* 535, 545-47 (2005).

<sup>326</sup> იხ. არბიტრაჟის შესწავლა, ზემოაღნიშნული სქოლიო 306.

<sup>327</sup> იქვე, მე-2 ნაწილი, 31 (მომხმარებელს ეძლევა შეზღუდული დრო საარბიტრაჟო ხელშეკრულებიდან გამოსვლაზე განცხადების წარსადგენად).

<sup>328</sup> იქვე, მე-2 ნაწილი, 32 (კონკრეტული ტიპის საჩივრები „გამოყოფილია“ საარბიტრაჟო ხელშეკრულებიდან, ანუ არ ექვემდებარება საარბიტრაჟო წესით განხილვას).

<sup>329</sup> იქვე, მე-2 ნაწილი, 57 (რწმუნებულის ჰონორარი და ხარჯები კონტრაქტის საფუძველზე ნაწილდება მხარეებს შორის).

<sup>330</sup> იქვე, მე-2 ნაწილი, 51 (კონტრაქტი ასაჯაროებს არბიტრაჟის რისკებს, როგორებიცაა შეზღუდული გასაჩივრებები).

სასამართლო განხილვა ფორმის სავალდებულობის მოთხოვნის ბუნებრივი გაძლიერებაა. ამ კუთხით მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ევროკავშირის საბჭოს დირექტივამ 93/13/EEC (საბჭოს დირექტივა 93)<sup>331</sup>. საბჭოს დირექტივა 93 აცხადებს, რომ ნებისმიერი სავალდებულო საარბიტრაჟო შესწორება, სავარაუდოდ, არ არის სამართლიანი.<sup>332</sup> რამდენადაც ეს შესწორებები ოფიციალურად არ არის გამორიცხული, ევროპული თანამეგობრობის სასამართლოს შემდგომ გადაწყვეტილებებში ისინი ფიგურირებენ როგორც საჯარო წესრიგის ნაწილი და განხილული უნდა იქნეს ევროკავშირის ეროვნული სასამართლოების მიერ *sua sponte* (ნებაყოფლობით) მიუკერძოებლობისთვის და საბჭოს 93-ე დირექტივის შესაბამისად.<sup>333</sup>

ერთ-ერთი პრობლემა მოთხოვნის ფორმულირებისა და მასთან დაკავშირებული სასამართლო კონტროლის გაფართოებისას არის გაზრდილი ხარჯები. გაფართოებული სასამართლო მიმოხილვა თითოეულ ინდივიდუალურ საქმეში გაახანგრძლივებდა დავის გადაწყვეტისათვის საჭირო დროს და ძირს გამოუთხრიდა არბიტრაჟის დასრულებულობის მნიშვნელოვან პრინციპს.<sup>334</sup> უფრო მეტიც, ზოგადი სამართლის პრინციპის – *stare decisis* („გადაწყვეტილზე დგომა“) გარეშე სხვადასხვა ქართველი მოსამართლის შედეგები შეიძლება ყოფილიყო ურთიერთსაწინააღმდეგო. ეს გამოიწვევდა დაბნეულობას და ხელშეკრულების შემუშავებლებს გაუძნელდებოდათ მართებული ხელშეკრულებების ჩამოყალიბება. ქართული სასამართლო სისტემა ისევ ეწყობა კანონს არბიტრაჟზე და მის ნორმებს სასამართლოს შეზღუდულ ჩარევასთან დაკავშირებით. გაფართოებული სასამართლო კონტროლი საწინააღმდეგოდ მოაბრუნებდა ამ ტენდენციას და გამოიწვევდა დაბნეულობას.

## გ. საკითხის გადაწყვეტა „L“-ის („გასაჯაროება, არბიტრის დანიშვნა, ლიცენზირება“) ღონისძიებებით

არბიტრაჟის საკითხის გადაჭრის საუკეთესო საშუალებები აერთიანებს ღონისძიებებს, რომლებიც განკუთვნილია არბიტრაჟის პროცესის სრულყოფისათვის, მომხმარებლების გამორიცხვის გარეშე. გადაჭრა ფოკუსირდება სამ საკითხზე: გასაჯაროება, არბიტრის დანიშვნა და ლიცენზირება.

### 1. გასაჯაროება

არბიტრაჟის პროვაიდერებს უნდა მოეთხოვებოდეს სავალდებულო არბიტრაჟთან დაკავშირებული საბაზისო მონაცემების შეზღუდული რაოდენობის გასაჯაროება. ინფორმაცია შეიძლება მოიცავდეს: (I) არამომხმარებელი მხარის იდენტიფიკაციას; (II) დავის ტიპს; (III) არბიტრ(ებ)ის იდენტიფიკაციას; და (IV) შედეგს. იდეალურ შემთხვევაში პროვაიდერებმა ეს ინფორმაცია უნდა გახადონ საჯარო ვებგვერდებზე ან მოთხოვნისამებრ. როგორც მინიმუმ, ის უნდა მიეწოდოს სათანადო სახელმწიფო ორგანოებს, მათ შორის თანამდებობაზე დანიშვნის უფლების მქონე დამოუკიდებელ ინსტანციას (IAA, ქვემოთ). კალიფორნიამ ამ ბოლო დროს დაადგინა ანალოგიური გასაჯაროების რეჟიმი<sup>335</sup> დადებითი შედეგების მისაღებად.<sup>336</sup> თუმცა მხოლოდ გასაჯაროება ვერ შეცვლის მომხმარებლის ქცევას, ის ხელს შეუწყობდა გამჭვირვალობას და გააუმჯობესებდა ტრიბუნალის ქმე-

<sup>331</sup> საბჭოს დირექტივა 93/13/EEC, 5 აპრილი, 1993, არასამართლიან პირობებზე მომხმარებელთა კონტრაქტებში, 1993 O.J. (L 095) 29-34, <<http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CELEX:31993L0013:en:HTML>>.

<sup>332</sup> მე-3(1) მუხლი, დანართი.

<sup>333</sup> ნიდერმეიერი, ზემოაღნიშნული სქოლიო 3055, 18.

<sup>334</sup> ფერმერი, ზემოაღნიშნული სქოლიო 2899, 2363-2364.

<sup>335</sup> იხ. კალიფორნიის სამოქალაქო პროცესულური კოდექსი §1281.96(ა) (დასავლეთი, 2015).

<sup>336</sup> იგი საშუალებას აძლევდა საზოგადოებას, უკეთ შეესწავლა არბიტრაჟის მუშაობა. იხ. *Fellows M., The Same Result as in Court, More Efficiently: Comparing Arbitration and Court Litigation Outcomes*, Metro. Corp. Couns. 2006, 32 <<http://www.metrocorpocounsel.com/pdf/2006/July/32.pdf>>. (არბიტრაჟის მონაცემების გაანალიზების შესაძლებლობა განპირობებული იყო წესების გასაჯაროებით.)

დებას,<sup>337</sup> საშუალებას მისცემდა ხალხს, შეეფასებინა, სისტემატური პრობლემა იყო თუ არა კონკრეტულ პროვაიდერთან. მას შეიძლება, იძულებული გაეხადა კიდევ ზოგი კომპანია, თავიდან მოეცილებინა საექვო პროვაიდერი. I-ს, აგრეთვე, მიაწვდიდა ინფორმაციას IAA-ს (ქვემოთ) მოსალოდნელ მიუკერძოებლობაზე და ინდივიდუალურ პირებს მოამარაგებდა უკეთესი ინფორმაციით პროვაიდერის დანიშვნის პროცესში.

## 2. არბიტრის დანიშვნა

კანონი არბიტრაჟზე იცავს ტიპური კანონის წესებს არბიტრის დანიშვნაზე. ეს წესები არის სათანადო საერთაშორისო არბიტრაჟისთვის და შიდასახელმწიფოებრივი არბიტრაჟისათვის კომერციულ მონაწილეებს შორის,<sup>338</sup> მაგრამ დანიშვნის პროცესი საჭიროებს მოდიფიცირებას სავალდებულო სამომხმარებლო არბიტრაჟისათვის, სადაც ცალკეული არბიტრი ინიშნება პროვაიდერის მიერ. მიუკერძოებლობა მოითხოვს, რომ ცალკეული არბიტრი იყოს ნამდვილად ნეიტრალური და ობიექტური. კანონი უნდა აუზღოვებდეს არბიტრის მიუკერძოებლობას პროვაიდერის ჩამოშორებით დანიშვნის პროცესიდან. კანონი არბიტრაჟზე უკვე უზრუნველყოფს პრობლემის ნაწილობრივ გადაჭრას: როდესაც არის ერთი არბიტრი, მხარეები უნდა ეცადონ, დასთანხმდნენ მის დანიშვნას, მაგრამ თუ შეთანხმება ვერ ხერხდება, მხარემ შეიძლება მოითხოვოს სასამართლოს დანიშვნა.<sup>339</sup> ეს ძალაში იქნება, თუ მხარეები არ თანხმდებიან სხვადასხვა პროცესზე. პრობლემის ერთი გადაწყვეტა არის მხარეებისთვის არჩევანის შესაძლებლობის ჩამორთმევა სხვაგვარად შესათანხმებლად და ეს უნდა გახდეს წესი, რომელიც მოითხოვება სამომხმარებლო არბიტრაჟის დასანიშნავად.<sup>340</sup> სასამართლოს დანიშვნას აქვს ხარვეზები. სასამართლოები არ არიან ჩართულნი არბიტრაჟში რეგულარულად და შეიძლება არ გააჩნდეთ შესაბამისი არბიტრაჟის არჩევის უნარი.<sup>341</sup> სასამართლოები არიან აგრეთვე დაკავებული და მართლმსაჯულების „ბორბალს“ დიდი დრო სჭირდება, რომ იმოქმედოს დანიშვნაზე.<sup>342</sup> საბოლოოდ, ერთ-ერთი სპეციალისტის თანახმად, საქართველოს სასამართლოები არ არიან მონდომებულები დანიშვნის პროცესში მონაწილეობის მისაღებად.<sup>343</sup>

თუ მხარეები ვერ თანხმდებიან, უკეთესი გადაწყვეტა არის დანიშვნის სიმძიმის გადატანა IAA-ზე (თანამდებობაზე დანიშვნის დამოუკიდებელ ინსტანციაზე). IAA შეიძლება იყოს პიროვნება ან ინსტიტუტი, როგორცაა, მაგალითად, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის (GBA) პრეზიდენტი ან თვით GBA.<sup>344</sup> ის შეიძლება იყოს საქართველოს საარბიტრაჟო ასოციაცია ან გარე ორგანიზაცია; აგრეთვე, შეიძლება იყოს სპეციალურად მომზადებული და სპეციალური უფლებამოსილებით აღჭურვილი ორგანო, დანიშნული იუსტიციის სამინისტროს მიერ. მთავარია არბიტრების დანიშვნის უფლებამოსილების ჩამორთმევა დისკრედიტებული ინსტიტუტებისთვის. არბიტრაჟის კანონის 2015 წლის შესწორებებმა გააფართოვა დანიშვნის უფლებამოსილებები და სასამართლოებთან ერთად უფლება მიეცა „ნებისმიერ ინსტიტუტს“. ასე რომ, კანონი ამ მიმართულებით ხორციელდება.<sup>345</sup>

<sup>337</sup> მეორე მხრივ, ზოგი შეიძლება ამაყად აგრძელებდეს ფასიან მომსახურებას, როგორც დაკავშირებული საქმიან მოღვაწეობასთან.

<sup>338</sup> ერთ-ერთი ადგილობრივი სპეციალისტი რეკომენდაციას უწევდა ქართველი არბიტრების ერთობლივ შერჩევას. Giorgi Narmania, *Party-Appointed Arbitrators: Past, Present and Future*, 2014 Alt. Disp. Resol. Y.B. Tbilisi St. U., 106, 120-21.

<sup>339</sup> კანონი არბიტრაჟზე, ზემოაღნიშნული სქოლიო 104, მე-11(3) (ბ) მუხლი.

<sup>340</sup> *გორდონი*, ზემოაღნიშნული სქოლიო 3033, 285 (სამომხმარებლო არბიტრაჟის დანიშვნისათვის რეკომენდირებს სასამართლოს მხრიდან და ერთობლივ დადასტურებას).

<sup>341</sup> Akseli, ზემოაღნიშნული სქოლიო, 126, 252.

<sup>342</sup> იქვე.

<sup>343</sup> იხ. *Tsertsvadze, Commentary*, ზემოაღნიშნული სქოლიო 77, 105-06.

<sup>344</sup> იხ. *Redfern A., Hunter M., Law and Practice of International Commercial Arbitration* 3<sup>rd</sup> ed., 1999, 200.

<sup>345</sup> იხ. განმარტებითი ბარათი, ზემოაღნიშნული სქოლიო 125, §(ა) (ა.გ.) („არბიტრ(ებ)ის დანიშვნის წესებთან დაკავშირებული მეორე ცვლილება კონკრეტულად ადგენს, რომ არბიტრები შეიძლება ინიშნებოდნენ დაკავშირებული მეორე ცვლილებით“).

მხარის ავტონომიის პრინციპის შესანარჩუნებლად გამოყენებული უნდა იქნეს სიების სისტემა. ამერიკის საარბიტრაჟო ასოციაცია და სხვა გაერთიანებები იყენებენ სიების სისტემას.<sup>346</sup> UNCITRAL-ის არბიტრაჟის მოდელური წესებით, მაგალითად, თუ მხარეები ვერ თანხმდებიან ცალკეულ არბიტრზე, დანიშვნის უფლების მქონე დამოუკიდებელი ორგანიზაცია თითოეულ მხარეს გადასცემს პოტენციური არბიტრების იდენტიურ სიას.<sup>347</sup> თითოეულ მხარეს ეძლევა დროის შეზღუდული პერიოდი, რა დროშიც უნდა დააბრუნოს სია, საიდანაც ამოღებული ექნება გვარები (მიზეზის გარეშე),<sup>348</sup> დარჩენილი გვარები რანჟირებული იქნება უპირატესობის მინიჭებით.<sup>349</sup> შემდეგ ეს დამოუკიდებელი უფლებამოსილი ორგანიზაცია მხარეების უპირატესობებზე დაყრდნობით ნიშნავს არბიტრს.<sup>350</sup> თუ საერთო გვარები არ ფიგურირებს ორივე მხარის მიერ დაბრუნებულ სიებში, უფლებამოსილი ორგანიზაცია საკუთარი ნებით ნიშნავს არბიტრს.<sup>351</sup> თუმცა სიით დანიშვნის სისტემა უფრო ნელია, ვიდრე უშუალოდ პროვაიდერის დანიშვნა. მხარეებს საშუალება ეძლევა, გამოხატონ საკუთარი არჩევანი და თავი იგრძნონ პროცესის ნაწილად, რაც მნიშვნელოვანი პრინციპია, რომელიც გამოტოვებულია ქართულ სამომხმარებლო არბიტრაჟში.<sup>352</sup> სიების სისტემა მხარეებს იცავს აგრეთვე IAA-ს გამოვლენილი მიუკერძოებლობისაგან. ის არბილებს განმეორებითი მოთამაშის პრობლემას, ვინაიდან პროვაიდერები არ აკონტროლებენ არბიტრების სიას და არბიტრებს არ გააჩნიათ სტიმული, დახმარება გაუწიონ ინსტიტუციურ მხარეებს. ის, აგრეთვე, გააუმჯობესებს არბიტრაჟის აღქმებს მოსახლეობაში.

IAA-სთვის ძალაუფლების მინიჭებას აქვს ორი ნაკლი: პირველი – ის შეანელებს პროცესს, როდესაც შევადარებთ უშუალოდ პროვაიდერის დანიშვნას, განსაკუთრებით, სიების სისტემის გამოყენებისას.<sup>353</sup> მაგრამ სამართლიანობის ზრდა და მისი აღქმა შეიძლება ღირდეს იმ გაზრდილ დროდ, რომელიც იხარჯება დანიშვნაზე; მეორე – ის არ იქნება პოპულარული პროვაიდერებში, ვინაიდან ისინი დაკარგავენ კონტროლს არბიტრის დანიშვნაზე.<sup>354</sup> ამავე დროს, თუ ამ ინსტიტუტებს სურთ, განაგრძონ მსხვილმასშტაბიანი სამომხმარებლო საქმიანობის მიღება, ეს შეიძლება მათთვის იყოს ერთადერთი განხორციელებადი გზა გასაგრძელებლად. ალტერნატივა შეიძლება იყოს ბლანკეტური სამომხმარებლო არბიტრაჟის აკრძალვა.

---

ნებოდეს არა მხოლოდ სასამართლოს მიერ, არამედ ნებისმიერი დაწესებულების მიერ (თუ მხარეები არიან ამაზე შეთანხმებული)“).

<sup>346</sup> იხ., აგრეთვე, AAA-ს წესები, ზემოაღნიშნული სქოლიო 143, at R. 2013, 12.

<sup>347</sup> G.A. Res. 65/22, UNCITRAL-ის არბიტრაჟის წესები, 2010-ე მუხლი, 8, <<http://www.uncitral.org/pdf/english/texts/arbitration/arb-rules-revised/arb-rules-revised-2010-e.pdf>>, (ბოლოს ნანახია 7 ოქტომბერს, 2015), (შემდგომში – UNCITRAL-ის არბიტრაჟის წესები).

<sup>348</sup> შეერთებულ შტატებში გვარის ამოღებას (მიზეზის გარეშე) ზოგჯერ უწოდებენ არამოტივირებულ აცილებას.

<sup>349</sup> UNCITRAL-ის არბიტრაჟის წესები, ზემოაღნიშნული სქოლიო 350, მე-8 (2) მუხლი. არამოტივირებული აცილებების (არა აცილებები კონკრეტული მიზეზით) რაოდენობა შეიძლება შემცირდეს, რათა იყოს უფრო მაღალი ალბათობა, რომ დასახელდება მინიმუმ ერთი სათანადო პიროვნება და, ამრიგად, შემცირდება არბიტრის დანიშვნის შესაძლებლობები. იხ. მაგ., AAA Securities Arbitration Supplementary Procedures, R. 2009, 3(a), <[https://www.adr.org/cs/groups/commercial/documents/document/dgdf/mda0/~edisp/adrstg\\_004107~1.pdf](https://www.adr.org/cs/groups/commercial/documents/document/dgdf/mda0/~edisp/adrstg_004107~1.pdf)>. (ბოლოს ნანახია 23 თებერვალს, 2015).

<sup>350</sup> UNCITRAL-ის არბიტრაჟის ნორმები, ზემოაღნიშნული სქოლიო 350, მე-8(2) მუხლი.

<sup>351</sup> იქვე, მე-8 (2) (d) მუხლი.

<sup>352</sup> MacNeil, ზემოაღნიშნული სქოლიო 127, §27:3:6:1 (რომელიც აღნიშნავს მხარეთა თანაბარი მონაწილეობის მნიშვნელობას შერჩევის პროცესში).

<sup>353</sup> Douglas Earl McLaren, *Party-Appointed vs. List-Appointed Arbitrators: A Comparison*, 20 J. Int'l Arb. 233, 236 (2003).

<sup>354</sup> ერთ-ერთი ალტერნატივაა, მიეცეს პროვაიდერებს შესაძლებლობა, მართონ არბიტრის დანიშვნის პროცესი, მაგრამ გამოიყენონ სიების პროცედურა, რომელიც ღია იქნებოდა ყველა ლიცენზირებული არბიტრისა და მომხმარებლისთვის, გამოეყოთ საჯარო ხარჯებით დაფინანსებული ადვოკატი, რომელიც უფლებამოსილი იქნებოდა, დახმარებოდა მომხმარებლებს პროცედურის წარმართვაში. ეს შეიძლება, უფრო მეტად სასიამოვნო იყოს პროვაიდერებისთვის, თუმცა ნაკლებად იდეალური მომხმარებლებისთვის.

საბოლოოდ, IAA შეიძლება დაეხმაროს ამ ინსტიტუტებს რეპუტაციის ამაღლებაში, არბიტრაჟზე შემდგომი მოთხოვნის სტიმულირებით მომავალში.

### 3. ლიცენზირება

საქართველომ უნდა ჩამოაყალიბოს არბიტრის ლიცენზირების რეჟიმი. საქართველოს საარბიტრაჟო ასოციაცია იქნებოდა ბუნებრივი მხარე ამ პროგრამის დასაწესებლად, მაგრამ ის შეიძლება იმართებოდეს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის, დავების ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრის (NCADR)<sup>355</sup> ან სხვა პრესტიჟული ინსტიტუტის მიერ. ამ რეჟიმის მთავარი კომპონენტები იქნებოდა: შესასვლელი ტესტი უნარებსა და ეთიკაში, უწყვეტი განათლება, მკაცრი სახელმძღვანელო პრინციპების დაცვა ეთიკასა და კომპეტენციაში, და დისციპლინური პროცედურა. ლიცენზირების რეჟიმი ხელს შეუწყობდა კომპეტენციასა და პროფესიონალიზმს, ისევე როგორც საზოგადოებრივ ნდობას.<sup>356</sup> არბიტრების მომზადებით ძირითად სამედიატორო უნარებში არბიტრაჟის კანონის განხორციელების პირობას<sup>357</sup> მეტი ყურადღება მიექცეოდა და მხარეებს ექნებოდა უკეთესი შესაძლებლობები თავიანთი ფინანსური ურთიერთობების ურთიერთმოგებიანად მოსაწესრიგებლად.<sup>358</sup>

DAL-ის (გასაჯაროება, არბიტრის დანიშვნა და ლიცენზირება) სამივე კომპონენტი ერთმანეთს აძლიერებს. მაგალითად, ინფორმაციის გასაჯაროება მნიშვნელოვანი იქნებოდა IAA-სთვის მხარეების უზრუნველსაყოფად საარბიტრაჟო ნეიტრალური სიით, ხოლო ლიცენზირება იქნებოდა IAA-ს არბიტრთა სიის ხარისხის ძირითადი საკონტროლო მექანიზმი.

DAL განკუთვნილია არბიტრაჟის გასაუმჯობესებლად და არა მის შესაზღუდავად. ეს შესაბამეა ევროკავშირის ახალ დირექტივას დავების ალტერნატიულ გადაწყვეტაზე სამომხმარებლო დავებისათვის.<sup>359</sup> DAL ხელს უწყობს საზოგადოებრივ ნდობას არბიტრაჟისადმი, იცავს მომხმარებლებს ტენდენციურობისაგან და ინარჩუნებს არბიტრაჟის მნიშვნელოვან უპირატესობებს: ეფექტურობას, ღირებულებას, მოქნილობასა და პროცესის დასრულებულობას. გადაწყვეტილება ნაკლებად მავნებლური იყო, ვიდრე სრული აკრძალვა ან მოთხოვნების რთული ფორმა არაპროგნოზირებადი სასამართლო გადახედვით.

მაგრამ DAL არ არის სრულყოფილი. მონაცემების გასაჯაროება ინვესტს ახალი აღრიცხვების ხარჯებს, თუმცა ისინი უნდა იყოს მინიმალური. გასაჯაროება შეამცირებს კონფიდენციალობის დაცვას, თუმცა დაცვები, ძირითადად, ემსახურება განმეორებით მხარეს. მონაცემების გასაჯაროება შეიძლება გაერთიანდეს საკონტროლო უფლებამოსილებასთან, სისტემატური შეცდომების შემთხვევების გადახედვისა და დასჯის მიზნით,<sup>360</sup> თუმცა ეს უფრო გაართულებდა საკითხს და შეიძლება, არც კი ღირდეს მიღებული მოგება. გასაჯაროებით არბიტრები და პროვაიდერები შეცვლიან თავიანთ ქმედებებს (საჭირო დონემდე) შეცდომების ან მიუკერძოებლობის აღქმის თავიდან ასაცილებლად. ამ საკითხის ნათელყოფა საგრძნობ სარგებელს მოიტანს.

<sup>355</sup> The NCADR is located at Tbilisi State University. Its website is available at <<http://ncadr.tsu.ge/eng/2/news/52-ncadr-initiatives-for-business-law-reform>> (ბოლოს ნანახია 2015 წლის 23 თებერვალს).

<sup>356</sup> იხ. *Blechman M.D.*, ზემოაღნიშნული სქოლიო 314, 13.

<sup>357</sup> კანონი არბიტრაჟზე, ზემოაღნიშნული სქოლიო 104, 38-ე მუხლი.

<sup>358</sup> Teo Kvirikashvili, *Med-Arb / Arb-Med and Prospects of Their Development in Georgia*, 2014 *Alt. Disp. Resol. Y.B. Tbilisi St. U.* 51; *Raeschke-Kessler H.*, *The Arbitrator as Settlement Facilitator*, 21 *Arb. Int'l* 2005, 523, (discussing windows of settlement opportunity during arbitration).

<sup>359</sup> ევროპარლამენტის დირექტივა 2013/11/EU და საბჭოს 2013 წლის 21 მაისის დავების ალტერნატიული გადაწყვეტა მომხმარებელთა დავებისათვის, №2006/2004 და დირექტივა 209/22 EC, 2013 O.J. (L 165) 63 (წვერი სახელმწიფოებისგან მოითხოვს ADR-ის (დავების ალტერნატიული გადაწყვეტა) მექანიზმების განვითარებას მომხმარებელთა კონფლიქტებისთვის).

<sup>360</sup> იხ. *Farmer*, *supra* note 299, at 2369-93 (recommending provider liability for systemic bias). However, systemic bias would be difficult to define and penalize. Civil liability would also achieve little for Georgian consumers. Georgian law already provides for criminal liability for arbitrators. იხ. *Tsertsvadze*, *Commentary*, *supra* note 77, at 115.



დანიშვნის პროცესის ჩამორთმევა პროვაიდერებისთვის იქნება მკაცრი საშუალება, მაგრამ გადაწყვეტილება არის განხორციელებადი და არ უნდა გამოიწვიოს ეკონომიკური ზარალი პროვაიდერებისთვის ან არბიტრებისთვის. რამდენადაც ეს გადაწყვეტილება იძლევა სავალდებულო სამომხმარებლო არბიტრაჟის გადარჩენის საშუალებას, იგი არის სარგებლის მომტანი პროვაიდერებისთვის დრაკონულ ალტერნატივებთან შედარებით.<sup>361</sup> ლიცენზირება, აგრეთვე, გამოიწვევს კონტროლისა და დისციპლინური რეჟიმის შემოტანასთან დაკავშირებულ დამატებით ხარჯებს, რასაც გადაიხდიან არბიტრები ისე, რომ ჯამური შედეგი მათ მიმართ იყოს მინიმალური; ასევე იქნება ადმინისტრაციული ხარჯებიც, მიმართული არბიტრაჟის დახვეწისაკენ.

## VII. დასკვნა

მიუხედავად ქვეყნის არბიტრაჟის პრობლემური ისტორიისა, ქართველები მაინც მიმართავენ არბიტრაჟს დავების გადასაწყვეტად. ეს კარგი ნიშანია. რეკომენდებული ცვლილებებით არბიტრაჟის კანონმა უნდა წაახალისოს საერთაშორისო ინვესტიციები, ხელი შეუწყოს ქვეყნის შიდა ეკონომიკურ აქტივობას და შეამსუბუქოს განსახილველი საქმეებით გადატვირთული სასამართლოები. კანონი არსებითად გაუმჯობესებულია წინა არბიტრაჟის სისტემასთან შედარებით, მაგრამ იგი კვალავ განვითარების პროცესშია. კანონის მსგავსებები UN-CITRAL-ის ტიპურ კანონთან ადგენს ნაცნობ სტრუქტურას ბევრი მონაწილისათვის.

კანონის ნაკლოვან მხარეებზე რეაგირება შეიძლება კანონიერი შესწორებებით. თუ კანონი იძლევა უფრო მეტ სიცხადეს, ნაკლები იქნება გაუგებრობა, შეუსაბამობა და მისი არასწორად გამოყენება. მნიშვნელოვანი საკითხები უკავშირდება სასამართლოების როლს. ისტორიის მიხედვით, ქართული სასამართლოები ეჭვით უყურებენ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებს, განსაკუთრებით მომხმარებლებთან დაკავშირებულთ. რამდენიმე დამატებითი შესწორება, როგორცაა, მაგალითად, რემისიის პროცესისა და საჯარო წესრიგის განმარტების დამატება, დაეხმარება სასამართლოებს, დაიცვას მხარეები კანონის არასწორად გამოყენებისაგან, არბიტრაჟის განვითარებისათვის ზიანის მიუყენებლად. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დაამტკიცა მზაობა უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულებაზე საშინაო ფირმების მიმართ. საჯარო წესრიგზე შემდგომი სიცხადის შემოტანით სასამართლო პრაქტიკა გახდება ბრწყინვალე მაგალითი სხვა განვითარებადი ქვეყნებისთვის.

არბიტრაჟისათვის ძირითადი მუქარა საქართველოში და სადმე სხვაგანაც არის სავალდებულო სამომხმარებლო არბიტრაჟის გამოყენება. თუმცა არსებობს მკაცრი გადაწყვეტილებები, როგორცაა სარგებლის მიღების მიზნით მოქმედი პროვაიდერების აკრძალვა ან გამორიცხვა, უფრო დაზუსტებულ მიდგომას შეიძლება ჰქონოდა უფრო მეტი აზრი. ყველაზე დიდი ალბათობით წარმატებული იქნებოდა გადაწყვეტილება, რომელიც დააბალანსებდა ყველა დაინტერესებული მხარის გათვალისწინებებს და ძირეულ მიზეზებზე (განმეორებითი მოთამაშისა და არბიტრის დანიშვნის პრობლემები) რეაგირების მცდელობებს.

სხვა განვითარებადმა ქვეყნებმა შეიძლება ისწავლონ საქართველოს გამოცდილებიდან. არბიტრაჟი იქნება მძლავრი ინსტრუმენტი, რომელიც ხელს შეუწყობს ეფექტურობასა და ეკონომიკურ აქტივობას. ის შეიძლება, აგრეთვე, გახდეს იარაღი, რომელიც უარყოფს ინდივიდუალური პირების ფუნდამენტურ უფლებებს. როგორც საქართველო სწავლობს, მომხმარებელთა მნიშვნელოვანი დაცვა უნდა დადგეს საშინაო არბიტრაჟში სოციალური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. განმეორებითი მოთამაშის პრობლემებზე რეაგირება უნდა ხდებოდეს პროექტირების ეტაპზე. განმარტებული და კონტროლირებადი უნდა იყოს სასამართლოების განსაკუთრებული როლი. ეთიკის ნორმები მიღებული და აღსრულებული უნდა იყოს დასაწყისიდანვე. ფართო პროფესიონალური განათლება და მუდმივი გადამზადება იქნება მთავარი ინგრედიენტი. გარკვეული შესწორებებით საქართველოს არბიტრაჟი შეიძლება გახდეს მოდე-ლი განვითარებადი მსოფლიოსთვის.

<sup>361</sup> იხ. *Blechman M.D.*, ზემოაღნიშნული სქოლიო 314, 14-15 (რეკომენდირებს იმ პროვაიდერების აკრძალვის შესახებ, რომლებიც მოქმედებენ მოგების მიზნით); *ტყემალაძე ს.*, ახალი კანონი, ზემოაღნიშნული სქოლიო 733, 671 (რეკომენდირებს სამომხმარებლო არბიტრაჟის შეზღუდვის შესახებ).